პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 29 აგვისტო 1928 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 200 (2243)

საცდელი მობილიზაცია დიდი წარმატებით მიმდინარეობს

თბილისის მშრომელი ახალგაზრდობა საზეიმო დემონსტრაციით ეგებება საცდელ მობილიზაციას

საცდელი მობილიზაცია

წინასწარი შედეგები

(საუბარი ქართ. მსროლელ დივიზიის უფროს ამხ. გიორგაძესთან)

გუშინ ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა საცდელი მობილიზაციის შემმოწმებელ კომისიის თავმჯდომარეს და ქართულ მსროლელ დივიზიის უფროსს ამხ. გიორგაძეს, რომელმაც საცდელი მობილიზაციის მიმდინარეობის შესახებ შემდეგი სთქვა:

„საცდელ მობილიზაციის ამოცანას შეადგენს არა მარტო სამხედრო აპარატის შემოწმება, არამედ უმთავრესად იმის გამორკვევა, თუ როგორ იცნობს მშრომელი მასა თავდაცვის ამოცანას და რამდენათ არიან მზად საბჭოთა, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები სწრაფად გადავიდნენ სამხედრო მდგომარეობაზე.

საცდელი მობილიზაცია ჯერ არ დამთავრებულა, მის შედეგებს ჯამი გაუკეთდება დამთავრების შემდეგ. მაგრამ უკვე მიღებულ წინასწარ ცნობების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მთავრობის მოწოდებას ქალაქის მოსახლეობა და გლეხობა შეხვდა სრულიად შეგნებულად. გამოწვეულების გამოცხადება საუკეთესოდ მიმდინარეობს. მობილიზაციიდან თავის დაძვრენის ცდებს ადგილი არა აქვს. ეს გარემოება აიხსნება ფართო მშრომელი მასის შეგნებული მიდგომით თავდაცვის საკითხებისადმი. არა ერთი მაგალითი გვაქვს, რომ მობილიზაციაზე ცხადდებიან ისეთი პირები, რომელთაც მობილიზაცია არ ეხებათ, მაგრამ ცხადდებიან და წინადადებას გვაძლევენ გამოვიყენოთ ისინიც გამოცდაში.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ შესაკრებ პუნქტზე მთვრალი არ გამოცხადებულა არც ერთი გაწვეული. წვეულები შესაკრებ პუნქტზე უყურადღებოდ არ ყოფილან დატოვებული არც ერთ წუთს.

სააგიტაციო პუნქტების და ცნობათა ბიუროების ფართოდ გაშლილი ქსელი მოწოდებულია დააკმაყოფილოს გაწვეულთა კონტინგენტის მრავალფეროვანი მოთხოვნები. საცდელ მობილიზაციით გამოწვეულ გლეხობას შემთხვევა მიეცა გაეღრმავებია თავისი ცოდნა თავდაცვის საკითხებში კვალიფიციური ლექტორების და აგიტატორების დახმარებით. წვეულთა ნაწილი განსაკუთრებული ყურადღებით ისმენდა მოკლე მოხსენებებს საჰაერო ქიმიურ თავდაცვის შესახებ და აღფრთოვანებით ეგებებოდა ჩვენი თავდაცვა-ავიაქიმის რაზმების მუშაობას.

წვეულთა არც ერთი შეკითხვა და არც ერთი განცხადება არ ყოფილა დატოვებული უყურადღებოდ.

შემკრეფი პუნქტი მუშაობდა სწორად, გარკვეულად და ყოველგვარ შეფერხების გარეშე.

საცდელმა მობილიზაციამ ნათლად დაგვანახვა არა მარტო ის, რომ მშრომელთა ძირითადი მასები მზათ არიან იარაღით ხელში დაიცვან მუშათა და გლეხთა თავისუფლება, არამედ ნათლად დაგვანახა, რომ ქალაქსა და სოფელს შორის გაბმულია მტკიცე და შეუწყვეტელი კავშირი.

ქალაქის და სოფლის მშრომელმა მასებმა პარტიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ეს ამოცანა შეასრულეს სასახელოდ.

მუშებისა და გლეხების უსაზღვრო ერთგულობა, ჯანსაღი აღფრთოვანება და განსაკუთრებული დარაზმულობა თავდებია ჩვენი თავდაცვის საქმის შემდგომი წარმატებისა.

საცდელ მობილიზაციის დასასრულს უნდა მოეწყოს ფართო სამხედრო სწავლება. კომკავშირის და თავდაცვა-ავიაქიმის თვითეულმა უჯრედმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ დარგში მუშაობას.

მთელი თბილისის პროლეტარიატის ცენტრალურ ამოცანად უნდა გარდაიქცეს კომკავშირის და თავდაცვა-ავიაქიმის თვითეულ წევრის ნამდვილი პრაქტიკული გასამხედროება.



კომკავშირელთა კარნავალი 28 აგვისტოს დემონსტრაციაზე.

კომკავშირი მზად!

(გუშინ თბილისის ქუჩებში)

საჭირო იყო ყველას ენახა გუშინ საღამოს თბილისის ქუჩებზე ჩვენი ახალი თაობა,—პიონერები, კომკავშირელნი, ახალგაზრდა პროლეტარები, მოწაფეები, მუშფაკელები; ენახა მტკიცე მოსიარულე მათი რაზმები; მოესმინა მათი რევოლიუციონური აღფრთოვანებით სავსე სიმღერა; მათი აღზნებული სიტყვები; წაეკითხა მათი პლაკატები, ენახა მათ მიერ გამასხარავებული, ისტორიისაგან განწირულნი ძველი ქვეყნის წარმომადგენელნი, მოესმინა მათი მოწოდება, მათი ყიჟინა, მათი სიცილი, მათი სიხარული,—ენახა და გაეგონა ყველაფერი ეს.

ნუ თუ ამ ქვეყნათ რამე შეედრება ასეთ ახალგაზრდობას, ლენინის იდეალებისთვის მებრძოლს, სულით და ხორცით საღს, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობას?

ნუ თუ ვისმე შეიძლება ეპარებოდეს ეჭვი, რომ მომავალი მას ეკუთვნის, ვისაც ეს ახალგაზრდობა წარმოუშვია და აღუზრდია.

რამ აღელვა, რამ ააფორიაქა, რამ გამოიყვანა ახალგაზრდა მშრომელთა რაზმები თბილისის ქუჩებზე?

დააკვირდით მათ პლაკატებს, მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, მათ ლოზუნგებს და მიიღებთ პასუხს.

ვის შეუძლია ასე გამოეხმაუროს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გამოცდას, თუ არა ჩვენ მოზარდ თაობას?

განა საცდელი მობილიზაცია უწინარეს და უადრეს ყოვლისა მას არ შეეხება;

ნუ გიკვირთ, თუ მშრომელმა ახალგაზრდობამ ამ გამოცდას საზეიმო ხასიათი მისცა; ნურავის უკვირს, თუ იგი აღმაფრთოვანებელი სიტყვები და მარშით ხვდება ხელისუფლების ბრძანებას ქვეყნის თავდაცვისათვის მზადების შესახებ.

ახალგაზრდა მუშისთვის განა შეიძლება იყოს იმაზე უდიდესი ბედნიერება და სიხარული, როგორიც არის ბრძოლა რევოლიუციონური დროშის ქვეშ?

ნუ თუ ვისმე ეპარება ეჭვი, რომ ეს ახალგაზრდები, რომელნიც ეხლა თავის მაგარი და ენერგიულ ნაბიჯებით გვაგრძნობინებენ თავის კლასის ძლიერებას,—ეს ახალგაზრდები ამაზე ნაკლები ენტუზიაზმით აისხამენ იარაღს თავის მოსისხლე კლასიური მტრის წინააღმდეგ?

ნუ თუ ვისმეს ეპარება ეჭვი, რომ თუნდაც—აი ეს რაზმი, რომელსაც წინ მიუძღვის ძველი წითელი დროშა პირველი კომკავშირელის ბორის ძნელაძის სურათით,—თუნდ აი ეს რაზმი უკანასკნელ კაცამდე არ შეაკვდება ამ უძვირფასეს დროშას თავის ბელადის სურათით?

ბუნებრივია, თუ დღეს პარტიისა და მთავრობის პირველ მოწოდებისთანავე ქუჩებზე გამოფენილი პროლეტარული ახალგაზრდობა არ ივიწყებს თავის კლასიურ მოწინააღმდეგეებს.

ვინ არიან ისინი? დააკვირდით კარდონზე გამოხატულ შარჟებს, მანეკენებს, ნიღაბებს და გრიმებს და იცნობთ: ჩემბერლენებს, პუანკარეებს, პილსუდსკებს, მეორე ინტერნაციონალის გმირებს—კაუცკებს, მაკდონალდებს, ბაუერებს, ქართველ მენშევიკებს, ბურჟუებს, კაპიტალისტებს, ყველა ქვეყნის ჟანდარმებს, ყველა სარწმუნოების მსახურებს: ღვდლებს, პატრებს, მოლებს, ხოჯებს, ხახამებს.

ნუ შეილახება, კუდგაფცქვნილო თავადო, შენი თავმოყვარეობა თუ კომკავშირელთა რიგებში თვალი მოჰკრა ვირზე უკუღმა წამოჭიმულს შენი წოდების წარმომადგენელს!

ნურც შენ გეწყინება, მორწმუნე ადამიანო, თუ კომკავშირელთა პროცესიაში დაინახო „ქრისტეს სახედარზე“ უკუღმა შემჯდარი შენი ძველი ნაცნობი ხუცესი.

შენც, გაუბედურებულო, უქმად მოხეტიალო აზნაურო ნუ გაწყრები ამ „თავხედობისთვის“... მაინცდამაინც რა დიდი დანაშაულია ვირზე უკუღმა შესვან ისინი, რომელნიც ფიქრობდნენ ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას.

მგონია, მათ თავხედობასთან შედარებით კომკავშირელთა ეს „უზრდელობა“ უწყინარი ხუმრობაა.

ნურც მეორე ინტერნაციონალის მოტრფიალენი აღშფოთდებიან, თუ ამ ინტერნაციონალის ცნობილ გამცემელ ბელადთა შორის გამოიცნონ ჩემბერლენი თავის მონოკლით.

— აბა შენ თვითონა სთქვი შენთვის,—(ნურავის გაუმხელ) რა განსხვავებაა ჩემბერლენსა და მაკდონალდს შორის, ან რით განსხვავდება მიულერი შტრეზემანისაგან?

განა მაკდონალდიც ჩემბერლენივით არ სცემს ჩინელ კულის თავში. ისე როგორც ამ ავტომობილზე ინგლისელ პოლისმენათ გამოწყობილი ჯენტლმენი სცემს ჩინელ მუშათ გადაცმულ კომკავშირელს? განა მაკდონალდების დასტურით არ იტანჯებიან კოლონიებში რევოლიუციონერები ისე, როგორც ამას წარმოგვიდგენს დღეს ავტომობილზე საგანგებოდ მოწყობილი საკანი.

აი ვინ არიან ის ვაჟბატონები, რომელთა წინააღმდეგ საბრძოლველად მუდამ მზადაა იარაღი აისხას პროლეტარულმა ახალგაზრდობამ.

— „დღეს ხელში გვიჭირავს ჩაქუჩი და წიგნი, მაგრამ თუ არ მოგვასვენეს, მათ შევცვლით ვინტოვკით“.—

ასე სწერია ერთ პლაკატზე, და ეს არის ახალგაზრდა პროლეტარიატის პასუხი ჩვენი მტრების „განიარაღებაზე“.

თუ როგორია მათი „განიარაღება“, ამას დიდებულად წარმოგვიდგენს „გრუზოვიკი“ სავსე ზარბაზნებით, ყუმბარებით, ტყვიისმფრქვეველებით, ტანკებით, ჯავშნოსნებით, ჰაეროპლანებით, გაზებით.

აი ეს „გრუზოვიკი“ დაანახვებს ყველას თუ როგორ ესმის ბურჟუაზიას განიარაღება.

ნუ თუ კიდევ არიან ისეთი ბეცი ადამიანები, რომელთაც სჯერათ დამარცხება ამ პიონერების, ამ ახალგაზრდების. ამ ბრძოლის ენერგიით სავსე კომკავშირელების?

ბევრ ბურჟუაზიულ ევროპას უხვად მოეპოვება ჰაეროპლანებიც, ტანკებიც, ყუმბარებიც და მხრჩოლავი გაზებიც.

მაგრამ არა აქვს ის, რაც ჩვენ გუშინ თბილისის ქუჩაზე ვნახეთ.

არა აქვს აღფრთოვანება, არა აქვს ასეთი ერთსულოვნება, არა აქვს ახალგაზრდული გატაცება და რაც მთავარია არა აქვს. —

ასეთი ურყევი რწმენა საბოლოო გამარჯვებაში.

დალი.

მცხეთელი გლეხების გუნდი

მზად ვართ!

კომკავშირის კარნავალზე

თბილისის კომკავშირმა საცდელ მობილიზაციასთან დაკავშირებით დიდი კარნავალი მოაწყო.

როგორც კი დასრულდა წარმოებების სამუშაო დღე და შეწყდა მანქანების ხმაურობა, პროლეტარულმა ახალგაზრდობამ პირდაპირ ქარხნებიდან გასწია კარნავალზე მონაწილეობის მისაღებად.

4 საათია. ქუჩებში დრო გამოშვებით დადიან წითელი არშიებით და პლაკატებით მორთული ავტომობილები, რომლებზედაც რაღაც უცნაურად გამოწყობილ ხალხს მოუკალათებია.

რუსთაველის პროსპექტის მახლობელი ქუჩები სავსეა ქალაქის რაიონის კომკავშირელებით. ისინი ელოდებიან სხვა რაიონების მოსვლას, დაუხრიათ დროშები და სასაცილოდ გაბღინძულ „მღვდლებისა“ და „პოლიციელები“-ს გაღიზიანებით იქცევიან თავს.

სამხედრო ორკესტრის ხმამ ქუჩა კიდევ უფრო გამოაცოცხლა. მოვიდა ლენრაიონი — თბილისის პროლეტარული ბურჯი.

მტკიცეთ და მწყობრათ მოაბიჯებენ „იუნგშტურმი“-ს ფორმაში გამოწყობილი ვაჟები და ქალები. ირხევა დროშების ტყე, ჩამავალ მზის შუქზე ბრწყინავს „ვინტოვკების“ ფოლადი, ნელი ტემპით მოსცურავენ პლაკატები:

„გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის თავ დაცვას“:

„ყველა თავდაცვა - ავიაქიმის რიგებში“;

„გაუმარჯოს წითელ ფრონტს-მსოფლიო რევოლიუციის მედგარ მუშტს“;

„გავაძლიეროთ წითელი არმია და ფლოტი“.

რუსთაველის პროსპექტი დაიფარა კომკავშირელთა შეიარაღებული რაზმებით. საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას შენობის წინ წითლად შემოსილ საბარგო ავტომობილზე გამართულია ტრიბუნა, რომელზედაც ამხ. ლოლობერიძე, ასრიბეკოვი, მაჩაიძე, ბაგიროვი და სხვები მოსჩანან.

იწყება კარნავალის მსვლელობა. კომკავშირელები მხიარულად მიერეკებიან „პოლიციელებს“, „თავადებს“ და სხვა ამ ჯურის ტიპებს. ჩვენი ახალგაზრდობის უმეტესობას არც ახსოვს ამ ორფეხა ცხოველების ნამდვილი გარეგნობა, ამიტომაა, რომ ისინი დიდი ინტერესით ათვალიერებენ „პოლიციელთა“ შელანძღულ კოსტიუმებს და „დერჟი მორდულ“ სახეებს.

— იყავით მზად საბჭოთა კავშირის დასაცავად,—იძახის ტრიბუნიდან ამხ. მაჩაიძე.

— მუდამ მზად ვართ.—უპასუხებს პიონერთა წკრიალა ხმა.

— გაუმარჯოს საცდელ მობილიზაციას—ჩვენი ძალების შემოწმებას, ვაშა!

— ვაშა-ა-ა-ა! ისმის კომკავშირლების მძლავრი გუგუნი.

და მოდიან, შეუწყვეტლად მოდიან ნორჩ ლენინელთა რაზმები...

კანდიდ.

ცხენები და გადასაზიდი საშუალებებით ელოდებიან რიგს

ზეიმით და მხიარულებით

ცენტრალურ შესაკრებ პუნქტზე საცდელ მობილიზაციის მესამე დღესაც ისეთივე მხიარულებაა, როგორიც გუშინ იყო. დღის 12 საათია, სოფლებიდან დღეს უფრო მეტი წვეულები არიან ჩამოსული, ვიდრე გუშინ.

აი კიდევ მოვიდა სოფლელ წვეულთა ახალი გუნდი. ახლად მოსული გუნდი შემჭიდროებული რაზმის შთაბეჭდილებას სტოვებს. მათ შორის უმეტესობა მოჯამაგირე მწყემსებია. ეზოში შემოსვლის შემდეგ გუნდი იშლება და მონაწილეობას იღებს საერთო მხიარულებაში. ნაწილი ახლად მოსულებისა ჟურნალ-გაზეთებისკენ მიიწევს. აი ერთი ჯგუფი შემოუსხდა მაგიდან და დაიწყეს გაზეთის კითხვა.

— ვანო მოიცა, მიმართა კუთხეში მჯდომმა ხმა-მაღლა გაზეთის მკითხველ ამხანაგს,—როგორ შეურიგდა შენი ანა შენს გაწვევას, ხომ იცის, რომ ამ დღის ხელფასი უნდა გადაგიხადოს.

— შეურიგდაო? შეურიგდა კი არა კაცი სიხარულით ცას ეწია, გონია, რომ მართლა ომი იწყება.

— ერთი იმისი ყოფა ნახეთ,—ჩაერია მესამე წვეული,—როდესაც ხვალ დილით ვანო კარს მიადგება უვნებელი და გაიგებს, რომ იმისი მოლოდინი არ გამართლდა.

— ბარემ არ ესიამოვნება, მაგრამ დიდი ფარისეველია და ისე მოიქცევა, ვითომ აქ არაფერიაო.

— ვერა შვილოსა,—ირონიით ამბობს ერთი წვეული,—იმისი კბილი მოსინჯული გვაქვს და გი თავის მელა-კუდაობით ჩვენ კეთილის მსურველად თავის-თავს ველარ გაასაღებს.

— კაცო, იმ ჩარჩზე ლაპარაკში დროს გაცდენას, ის არ სჯობია, რომ გაზეთი წავიკითხოთ.

— გიგოლი, წაიკითხე თუ ძმა ხარ.. გიგოლი განაგრძობს გაზეთის კითხვას.

ეზოში შეუწყვეტელი მხიარულებაა. მიმღებ მაგიდის რიგში ორი ახალგაზრდა სტუდენტი შეხვდა ერთი-მეორეს.

— ლადო შენც გაწვეული ხარ?

— როგორ, მე შენზე ნაკლები ბიჭი ვარ თუ? მე რა მიშავს, გამოცდები გაზაფხულზევე ჩავაბარე, მაგრამ შენი საქმე როგორ არის? სამართლის თეორია მომზადებული გაქვს.

— ჯერ სად არის! აქამდე მხოლოდ ინტერესთა დაცვის თეორია მოვამზადე და ეს დიდი ხანი გავცდი მობილიზაციის გამო, ვაი, თუ ვერ მოვასწრო პირველი სექტემბრისათვის.

— არა ძმაო, მობილიზაცია შენ ბევრ დროს არ წაგართმევს, მაგრამ თუ საგანი არ მომზადე ტყუილად იმედს ნუ იქონიებ. იოლად ვერ გაძვრები.

— სტუდენტებმა ამ ლაპარაკით მიაღწიეს მიმღებ მაგიდასთან. მაგიდასთან შეუწყვეტელი რიგია. აგერ მწყემსებიც მოვიდნენ. ყველა აცხადებს, რომ ჯანსაღია.

რიგი გიგოლიზე მიდგა.

— ჯანსაღი ვარ—განაცხადა გიგოლმა.

მიმღებმა შეაჩერა გიგოლი.

— კაცო, შენ ამბობ ჯანსაღი ვარო და მარჯვენა ხელზე ორი თითი კი გაკლია.

— მართალია მაკლია ნეკი და არათითი, მაგრამ ჩახმახის გამოსაშლელად ორი თითიც მეყოფა. შენ ჯავრი ნუ გაქვს, ამხანაგო, დასწერე ჯანსაღია თქო და თუ საჭიროებას დროს სხვაზე ნაკლები ვაჟკაცობა გამოვიჩინო უვარგისი ბიჭი მაშინ დამიძახე..

კონი.

„ოთხივე შვილებით ავისხამ იარაღს“

ჩასაბარებელ პუნქტზე მეოთხე დღესაც დიდი ფუსფუსია. ცხენი, ურემი, და „პოვოზკა“, ყველა დიდუბისაკენ მიჰყავთ; მიჰყავთ კი არა მიაქროლებენ. აბა ვინ მივა პირველი, ვინ ვის მოასწრებს. თემებიდან ჩამოსულმა გლეხებმა იცოდნენ, რომ 28 აგვისტო მობილიზაციის უკანასკნელი დღე იყო. ყველა მიეშურებოდა ჩასაბარებელ პუნქტისაკენ.

თბილისის მაზრის თემებიდან გამოცხადნენ ისეთი პირები, რომლებმაც საპატიო მიზეზების გამო ვერ მოასწრეს დღემდე გამოცხადება.

— მართალია ამხანაგო დავაგვიანე, მაგრამ ექიმის მოწმობა მაქვს, რომ ავად ვიყავი, არ იფიქროთ, რომ განზრახ დავიგვიანე.

— მიზეზი საპატიოა.

და ჩამოსულ გლეხებს ისტუმრებენ მისაღებ პუნქტისაკენ.

გლეხები მუსიკით და წითელი დროშებით მოვიდნენ ჩასაბარებელ პუნქტზე.

დოლმა ლეკური დაუკრა. ორმა აღბულელმა გლეხმა ორჯერ მოხდენილად ჩამოუარა.

ამ ოთხი დღის განმავლობაში პუნქტზე ცხადდებოდნენ ისეთებიც, რომელთაც გაწვევა არ ეხებოდათ. მანგლისის რაიონიდან ოთხას ორმოცი ცხენის მაგიერ ჩამოიყვანეს რვაას ოცდაათი ცხენი.

მფრინავ მიტინგზე აგიტატორებმა გლეხებს გააცნეს საცდელი მობილიზაციის მნიშვნელობა.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ გლეხები. სამოცი წლის ვანო აფციაურმა (თიანეთის მცხოვრები) განაცხადა, რომ საჭიროების დროს ჩვენი მტრების საპასუხოდ ავისხამ იარაღს და ოთხივე შვილებით გამოვალ საბჭოთა კავშირის დასაცავადო.

— შევამჭიდროვებთ ჩვენს რიგებს და ვაჩვენებთ ჩვენს მტრებს, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელნი მზათ არიან ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დაცვისათვის,— ამბობს წალკის რაიონის მცხოვრები მოქ. ბაირამოვი.

ამით დამთავრდა მიტინგი.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი შემთხვევა, გლეხს საჩივარი შეეტანოს მიმღებ კომისიის უკანონო მოქმედების შესახებ, არ ყოფილა.

ვ—ა.

პირველ დაძახებისთანავე

(თბილისის მონადირეთა საერთო კრება)

28 აგვისტოს, საქართველოს მონადირეთა კავშირის ცენტრალურმა საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწვია კავშირის წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 350 კაცი.

საცდელ მობილიზაციის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ა.-კ. წითელ დროშოსან არმიის შტაბის უფროსმა ამხ. ალაფუზომ.

მომხსენებელმა დამსწრეთ გააცნო ის ამოცანები, რომელსაც ისახავს საცდელი მობილიზაცია.

მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვები მქუხარე ტაშმა დაჰფარა.

მოხსენების შესახებ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ მონადირეთა კავშირის წევრები მზად არიან მუშურ-გლეხურ მთავრობის პირველ დაძახებისთანავე გამოვიდნენ მშრომელთა რესპუბლიკების დიდი კავშირის დასაცავად.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ კრების მონაწილენი მწყობრი რიგებით გამოვიდნენ კომკავშირთა დემონსტრაციაზე.

მონადირე.



ცნობათა მაგიდა შესაკრებ პუნქტზე

მაზრაში

თიანეთი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

თიანეთის რაიონის მშრომელი მოსახლეობა სრული შეგნებითა და ერთსულოვნებით შეხვდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ საცდელი მობილიზაციის გამოცხადებას. დაუყოვნებლივ შესდგა სამეული მობილიზაციის ჩატარების სახელმძღვანელოდ. მოწვეულ იქნა პარტორგანიზაციის სასწრაფო სხდომა, რომელზედაც შემუშავდა სამოქმედო გეგმა. თემსაბჭოს წევრებს მიეცათ საჭირო დავალებანი.

მეორე დღეს შეიკრიბა გლეხობა დანიშნულ ადგილებში, სადაც მათ განუმარტეს საცდელი მობილიზაციის მნიშვნელობა. აღრიცხვაზე გამოცხადებულთა რაოდენობამ მოლოდინს გადააჭარბა. არავითარ გაუგებრობას ადგილი არ ქონია. 26 აგვისტოს აღრიცხვაზე აყვანილი ცხენები და გადასაზიდი საშუალება გამოიგზავნა თბილისში, ხოლო 27 აგვისტოს გამოემგზავრენ თვით გაწვეულები.

გ. თამაზაშვილი.

ერწოს რაიონი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საცდელ მობილიზაციის გამოცხადებისთანავე სასწრაფოდ მოწვეულ იქნა პარტკომის სხდომა. დაუყოვნებლივ გამოაკრეს განცხადებები და მოწოდებები თვალსაჩინო ადგილას. მშრომელი გლეხობა შეგნებულად შეხვდა საცდელ მობილიზაციის გამოცხადებას. ყველა სოფლებიდან თავმოყრილი გლეხობა თემსაბჭოს წევრთა და პარტმუშაკების თანხლებით წითელი დროშებით და სიმღერით შეგროვდენ თემაღმასკომის ეზოში, სადაც მოთავსებული იყო სააღრიცხვო მიმღებ კომისია. იქვე მოეწყო ცნობის მიმცემი ბიურო. დაინტერესებული გლეხობა ღებულობდა საჭირო ცნობებს. გლეხობაში ჩატარდა საუბარი საცდელი მობილიზაციის მნიშვნელობის შესახებ.

გლეხობა ერთხმად ამბობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ერთად-ერთი დამცველია მუშებისა და მშრომელი გლეხობის. ჩვენ ყოველთვის მზადა ვართ შევასრულოთ ჩვენი ხელისუფლების ყოველგვარი მოთხოვნილება. ჩვენ არ ავყვებით კულაკებისა და ბნელი ელემენტების პროვოკაციას, საჭიროების დროს ყველანი ვიბრძოლებთ საბჭოთა წყობილების დასაცავად.

საცდელი მობილიზაცია არაჩვეულებრივ მწყობრად ჩატარდა. აღრიცხვაზე აყვანილი ცხენები და გადასაზიდი საშუალება თბილისისაკენ გაემგზავრა 26 აგვისტოს დილით, ხოლო გაწვეული გლეხობა 27-ს.

მიმღებ კომისიაში ბლომად ცხადდებოდენ ისეთებიც, რომელთაც წლოვანობის მიხედვით გაწვევა არ ეხებოდათ.

გ. თ—ლი.

გამოცდა საუცხოვოდ ჩააბარეს

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პრიოტმა, მანგლისმა და წალკამ მთელი ასი პროცენტით ჩაატარეს საცდელი მობილიზაცია, კიდევ მეტი. გამოწვეულთა წამოსვლის შემდეგ თემაღმასკომებში მოდიოდნენ გლეხები და ეცხადებიან:

— გუშინ სახლში არ ვიყავი, ჯარში გაწვევა ყოფილა, არ ვიცი მეც მეხება გაწვევა თუ არაო. ასეთებს უსინჯავდნენ წიგნაკებს და უშვებდნენ სახლში.

ასეთი შემთხვევები ყველა თემში ხდებოდა.

საცდელი მობილიზაცია აღნიშნულმა თემებმა ჩინებულათ ჩაატარეს.

ნაძირალებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. მათი ჭორები, რომ არც კაცები დაბრუნდებოდნენ და არც ცხენები, 27-შივე გაბათილდა. ორშაბათს საღამოს პრიოტში უკვე დაბრუნდნენ ნაწილი ცხენებისა და ფურგუნებისა.

სოფელ დრეში 27 აგვისტოს საღამოს გაიმართა მოხსენება-საღამო. აქ მოიტანეს მოძრავი კინო და აჩვენეს გლეხებს საუკეთესო რევოლიუციონური სურათი.

ამ სოფელს ჯერ ასეთი არა უნახავს რა.

კრების დროს დაბრუნდა ადგილობრივი გლეხი, რომელიც გაწვეული იყო თავისი ცხენით, რამაც გლეხებში გამოიწვია დიდი აღფრთოვანება და ზიზღი ჭორების გამავრცელებლების მიმართ.

კინო-სურათი სოფლელებს ძალიან მოეწონათ. ისინი მოითხოვდნენ ხშირად მოეტანათ აქ მოძრავი კინო.

გუშინ თბილის-მანგლისის შარა გზა სავსე იყო თბილისიდან დაბრუნებული ფურგუნებით და ცხენებით. სიმღერით უბრუნდებიან თავიანთ ოჯახს.

ს. დ—ძე.

მუშკოოპის ფარდული შესაკრებ პუნქტზე

მანევრები გორის მაზრაში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

მანევრები დაიწყო

28 მაისი. დილის 7 საათია. № დივიზიის ლეგიონები, გამგზავრებულნი სალაშქროთ, მწყობრათ დგანან თავიანთ კარვების წინ.

გაისმა ინტერნაციონალის ხმა. ლეგიონების მედროშენი მიდიან წინ და თავიანთ ადგილს.

ისმის ბრძანება: „სალაშქრო რაზმულათ ნაბიჯით იარ“. და „წითლების“ რაზმი, როგორც ერთი კაცი, მტკიცე ნაბიჯით გაუდგა გზას შინდისის მიმართულებით.

რაზმს წინ მიუძღვის დროშები.

თითქმის ერთ კილომეტრის მანძილზეა რაზმი. ქვეითი ნაწილები, არტილერია, სამნეო ნაწილი, სანიტარული რაზმი, ყველანი მიდიან სრული წესრიგით, არევ-დარევას არა აქვს ადგილი.

წითელარმიელთა შორის მოსჩანან მუშის ტანსაცმელში გამოწყობილნი მოქალაქენი. ესენი არიან თავდაცვა-ავიაქიმის წევრები. სარდლობამ ავიაქიმელები გაგზავნა არა ცალკე რაზმათ, არამედ არმიელებთან ერთად. ეს კარგი ნაბიჯია. ავია-ქიმელები უფრო ზედმიწევნით გაეცნობიან ლაშქრობას და გაიწვრთნებიან ბრძოლისათვის.

გორის ბანაკი დაგვრჩა უკან. კარვები თეთრად ელვარებენ მზეზე.

⁂

მშვენიერი დღეა. ცაზე არც ერთი ღრუბელი. ჩრდილოეთიდან უბერავს გრილი ნიავი, რომელიც არმიელებს უადვილებს სიარულს.

გავიარეთ ხუთიოდე კილომეტრი.

„სდექ დასასვენებლად“. ისმის განკარგულება და რაზმი ისვენებს.

ხეების ძირას ჩრდილში გროვდებიან არმიელები. პოლიტხელმძღვანელები ტყვილად არ კარგავენ დროს. მოუსხდენ არმიელებს და გააბეს საუბარი მანევრებზე და იმ ამოცანებზე, რომლებიც დაეკისრებათ არმიელებს „ბრძოლაში“ და სოფლად მუშაობის დროს.

„ადექ“—ისმის განკარგულება და რაზმი კვლავ მიდის წინ.

გავიარეთ სოფელი კარალეთი. აგუგუნდა სასულე ორკესტრი. გზით ორივე ნაპირას გამოჩნდენ სოფლელები. კითხულობენ, სად მივდივართ, ეძებენ ნაცნობ სახეებს

სოფელში გაჩაღებული მუშაობაა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ძველებურად „მარიობაა“.

— სოფელს არც ახლებურად უუქმია „მარიობა“. საერთო კრებაზე დავადგინეთ, რომ ძველებურადაც და ახლებურადაც ვიმუშაოთ ამ დღეს, —გვეუბნება ერთი გლეხი.

სოფელი მორჩა კალოობას. ეხლა შესდგომია მიწის მოხნას საშემოდგომოთ.

გავცდით ყარალეთს. მივდივართ ცხინვალ-გორის შარა გზით. გზა მტვერიანია, ალაგ-ალაგ გაფუჭებული; მოძრაობა გზაზე დიდია.

⁂

გორიდან მე-14-ე კილომეტრზე დავტოვეთ შარა-გზა და გადაუხვიეთ დასავლეთით, შინდისისაკენ.

აი სოფელი ძევერა. უნუგეშო შთაბეჭდილებას სტოვებს იგი წითელარმიელებზე. უგზოობა, უსუფთაობა, წვიმის დროს გაუვალი ტალახი. ეტყობა, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა ადგილობრივ ორგანოების მიერ ამ სოფელს.

უკვე დღის 12 საათია. ჩამოცხა, ვისვენებთ, წითელი არმიელები მხიარულათ არიან. ბაასობენ, უზიარებენ ერთი-მეორეს შთაბეჭდილებებს.

— ვერ არის კარგათ მოწყობილი ქართლის სოფლები. ძალიან მჭიდროთ არიან დასახლებულნი, ეს კი იწვევს უსუფთაობას — იძახის ერთი.

— არ ექცევა სათანადო ყურადღება სახლების აშენების საკითხს, აი რამდენი ახალი სახლი შენდება უსწორმასწორათ, უგეგმოთ, უნდა შემუშავდეს გეგმა; რომ სოფელმა მიიღოს რიგიანი სახე. აი ისე, როგორც არის ქალაქად — გამოსთქვამს თავის აზრს მეორე წითელარმიელი.

ხილის ბაღებიც ვერ არის კარგათ მოვლილი. ეტყობა აგრონომი ცოტა მოიზარმაცებს — შენიშნავს მესამე.

გამოჩნდა სოფელი შინდისი, სადაც მოგვიხდება ღამის გათევა. უახლოვდებით სოფელს, წინ გველობება გიუმაყი ლიახვი. რაზმი შეჩერდა, მეთაური იძლევა განკარგულებას. არმიელნი იხდიან ფეხსაცმელს და გადიან მდინარეს.

ყოველ ლეგიონს მიჩნეული აქვს თავისი ადგილი, სადაც უნდა გაათიოს ღამე.

სოფელ შინდისში 460 კომლია. დასახლოებით აქაც იგივე სურათია, როგორიც სხვა სოფლებში; მაგრამ ეტყობა, რომ ეს სოფელი გაცილებით მდიდარია სხვა სოფლებზე.

შენდება ხილის სახმობი ქარხანა.

სოფელი შესდგომია სკოლის, კლუბის და ბიბლიოთეკა-სამკითხველოს აგებას.

წითელი არმიელები დაისვენებენ და შემდეგ შეუდგებიან სოფლის გაცნობას. საღამოთი იწარმოებს საგიტაციო საპროპაგანდო მუშაობა.

ე. ხუციშვილი.

ს. შინდისი, 28 აგვისტო.

მანევრების ქრონიკა

— „წითლები“ დაბანაკდენ სოფ. შინდისში. 28 აგვისტოს, საღამოთი, სოფელში გაჩაღდება საგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობა, ნაჩვენები იქნება კინო-სურათი.

— 29 აგვისტოს, დილიდან გამომუშავებული იქნება საორგანიზაციო გეგმა. ამავე დღეს შესდგება მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის საერთო კრება, სადაც გაკეთებული იქნება მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე.

— „წითლები“-ს რაზმს თან ახლავს „ამიერ-კავკასიის სამხედრო“ კოოპერატივის განყოფილება, რომელიც მიაწოდებს მანევრებში მონაწილეთ საჭირო სურსათ-სანოვაგეს.

ავიაქიმის ინსტრუქტორი ასწავლის გაწვეულთ გაზების საწინააღმდეგო ნიღაბის ხმარებას

ს. კ. პ. (ბ) ცეკას მე-4-ე
მორიგი პლენუმი
მაზრკომების, ოლქკომების მდივნებთან და მაზრაღმასკომების თავმჯდომარეებთან ერთად
იხსნება აიწ. 10 სექტემბერს
ს. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი ლ. ლოლობერიძე

საბჭოთა კავშირის პასუხი ერთა ლიგას

საბჭოთა მთავრობა შესაძლებლად არ სცნობს მონაწილეობა მიიღოს ერთა ლიგის იმ კომისიის მუშაობაში, რომელიც კონტროლს გაუწევს იარაღის დამზადებას

27 აგვისტოს პარიზში ხელი მოაწერეს კელოგის ხელშეკრულებას

ბრიანი „ომის აკრძალვის" შესახებ

საბჭოთა კავშირის პასუხი ერთა ლიგას

მოსკოვი, 28 აგვისტო. 27 აგვისტოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის თანამდებობის დროებითმა აღმასრულებელმა ამხ. **ლიტვინოვმა** ერთა ლიგის გენერალურ მდივანს დრიუმონდს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„საბჭოთა მთავრობამ გერმანიის მთავრობის საშუალებით მიიღო შეკითხვა — შეუძლიათ თუ არა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებს მიიღონ მონაწილეობა იმ სპეციალური კომისიის მეორე სესიაში, რომელსაც მინდობილი აქვს იარაღის დამზადების კონტროლის საკითხი, ამ მომართვის გამო გაცნობებთ შემდეგს:

საბჭოთა მთავრობამ განიარაღების მოსამზადებელ კომისიაში თავის დროზე, ნამდვილი მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად, შეიტანა საყოველთაო განიარაღების პროექტი, რომელიც, თუ კი იგი განხორციელდებოდა, სავსებით მოსპობდა იარაღის წარმოებას. სამწუხაროდ, მოსამზადებელმა კომისიამ უარყო ეს პროექტი. ამის შემდეგ საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა მეორე პროექტი ნაწილობივი განიარაღების შესახებ, მაგრამ მოსამზადებელმა კომისიამ იგი არც კი განიხილა. ხოლო ერთა ლიგის კომისიის შემდგომი სესიის მოწვევამ არავითარი შედეგი არ მოგვცა ნამდვილი განიარაღების მიმართულებით. ამიტომ საბჭოთა მთავრობა სრული უფლებით აღნიშნავს, რომ ერთა ლიგის და მისი ორგანოების მხრივ არაფერი გაკეთებულა და არც კეთდება განიარაღების —თუნდაც ნაწილობრივი განიარაღების — პრობლემის გადასაწყვეტად. ამავე დროს ყველა ხალხის არსებითი ინტერესი, ამჟამად უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მოითხოვს მთელი ძალღონის ამოძრავებას განიარაღების საქმის მოსაგვარებლად, მაშასადამე, ახალი ომების საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ასეთ პირობებში კონტროლს იარაღის წარმოებაზე, მუშაობას ამ კონტროლის მიმართულებით, შეუძლია საზოგადოებრივი აზრი შეცდომაში შეიყვანოს, რადგან იგი შექმნის ისეთ ილიუზიას, თითქოს ერთა ლიგის წევრები განიარაღების საქმეს ანხორციელებენ, რასაც ნამდვილად ადგილი არა აქვს. სავსებით ცხადია, რომ სპეციალური კომისიის მუშაობის ამა თუ იმ შედეგებით შეუძლებელია მილიტარიზმის მძიმე უღლის შემსუბუქება და მშვიდობიანობის საქმის ოდნავ მაინც წინ წაწევა იმ დრომდე, სანამ გრძელდება დღევანდელი მდგომარეობა, როცა სახელმწიფოები ერთმანეთს ეჯიბრებიან შეიარაღების გაფართოვებასა და იარაღის წარმოების გაძლიერებაში. ამრიგად, სპეციალური კომისიის მუშაობა, რომელიც ვერავითარ პრაქტიკულ შედეგს ვერ მოგვცემს, მხოლოდ ხელს შეუწყობს ისეთი ილიუზიების გაჩენას, რომლებიც ბურუსში გაახვევენ განიარაღების საკითხის ნამდვილ მდგომარეობას.

აღნიშნულის გამო საბჭოთა მთავრობას შესაძლებლად არ მიაჩნია მონაწილეობა მიიღოს სპეციალური კომისიის მუშაობაში. ამავე დროს საბჭოთა მთავრობა ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ იგი მზად არის მიიღოს უაღრესად აქტიური მონაწილეობა ისეთ მუშაობაში, რომელსაც მიზნად ექნება ნამდვილი განიარაღების განხორციელება, და ისეთ საერთაშორისო კონვენციების შემუშავებაში, რომლებიც გამომდინარეობენ ნამდვილი განიარაღების ამოცანებიდან".

უმცირესობის მოძრაობის კონფერენცია

ლონდონი, 26 აგვისტო. დაიხურა უმცირესობის მოძრაობის კონფერენცია. უკანასკნელ სხდომაზე კონფერენციამ ერთხმად მიიღო ორი რეზოლიუცია, ერთი უმუშევრობის, ხოლო მეორე მშვიდობიანობის შესახებ მრეწველობაში. მეორე რეზოლიუცია სასტიკად ჰკიცხავს გენერალურ საბჭოს, რომელიც დასთანხმდა შემარიგებელ კომისიის შექმნაზე. კონფერენცია ჰკიცხავს შეთანხმებას სამრეწველო მშვიდობიანობის შესახებ და პროტესტს აცხადებს გენსაბჭოს წინააღმდეგ, რომელმაც მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. მუშათა მასების დაუკითხავად. რეზოლიუცია წინადადებას აძლევს გენერალურ საბჭოს, გამართოს ფართო დისკუსია პროფკავშირთა ორგანოში, „დეილი ჰერალდ"-ში, იმ მიზნით, რომ დისკუსიის შემდეგ ჩატარებულ იქნეს რეფერენდუმი ამ საკითხის შესახებ.

რეზოლიუცია უმუშევრობის შესახებ ხაზს უსვამს უმუშევრობის არაჩვეულებრივ ზრდას და აცხადებს, რომ უმუშევრობის საბოლოო ლიკვიდაცია შეუძლებელია არსებული სისტემის დამხობამდე, რასაც უნდა ესწრაფოდნენ მუშები. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ მუშათა კლასის მდგომარეობის მცირედი გაუმჯობესება შეუძლია 6 საათის სამუშაო დღეს შემოღებას და სხვა ანალოგიურ ღონისძიებებს.

კუკმა და მექსტონმა წერილით მიმართეს კონფერენციას, ამ წერილში ისინი ხაზს უსვამენ პროფკავშირების აქტიური ელემენტების ჩახრჩობის ცდებს.

უმცირესობის მუშაობა უფლებას აძლევს მუშებს თავისუფლად აღიარონ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებანი, მაგრამ ბევრი პროფკავშირის მუშები ასეთ უფლებას მოკლებულნი არიან. როგორც კუკი და მექსტონი სწერენ, კონფერენცია უნდა ეცადოს, განახორციელოს თავისი მოთხოვნა იმის შესახებ, რომ პროფკავშირის ყველა წევრს თავისუფლად შეეძლოს თავისი პოლიტიკური რწმენის აღიარება.

გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტიის კრიზისი

ბერლინი, 27 აგვისტო. „ფორვერტს" მოწინავე წერილში აღიარებს, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიას 10 აგვისტოს შემდეგ (ამ დღეს მინისტრთა საბჭომ დაადგინა, დაიწყოს ჯავშნოსანის აგება) „არ შეუძლია სთქვას, რომ პარტიის შიგნით არ არსებობს კრიზისი"-ო. ეს გამოწვეულია „სოციალ-დემოკრატ მინისტრების სავსებით მოულოდნელი გადაწყვეტილებით" (ხმის მიცემა ჯავშნოსანის აგებისათვის).

„ფორვერტს"-ის სიტყვით, შინაპარტიული კრიზისის მიზეზები გაცილებით უფრო ღრმაა. კრიზისის პირველი მიზეზი მდგომარეობს ტაქტიკურ სიძნელეებში, რომლებიც დაკავშირებულია ოპოზიციიდან მთავრობაში გადასვლასთან. კრიზისის მეორე მიზეზი,—„ფორვერტს"-ის აზრით,—პრინციპიალური ხასიათისაა. პარტიამ საბოლოოდ უნდა გამოარკვიოს თავისი დამოკიდებულება სახელმწიფოს თავდაცვის პრობლემისადმი. დასასრულ, „ფორვერტს" აცხადებს, რომ პასუხს ამ კითხვაზე დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეხლანდელი კონფლიქტის გადასაწყვეტად, არამედ, საერთოდ, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მდგომარეობის გამოსარკვევად.

კომუნისტური გაზეთი „როტე ფანე" აქვეყნებს წერილს, რომელსაც ხელს აწერენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის და ახალგაზრდათა სოციალისტური კავშირის 60 მეტი ყოფილი თანამდებობის პირნი. რომელთა ერთი ნაწილი გამორიცხულ იქნა პარტიიდან და კავშირიდან, ხოლო მეორე ნაწილმა თვითონ დაანება თავი პარტიას და კავშირს. წერილის ავტორები სასტიკად გმობენ სოციალ-დემოკრატების სოციალ-იმპერიალისტურ პოლიტიკას და აცხადებენ, რომ გადადიან გერმანიის კომუნისტურ პარტიაში. ამავე დროს ერცგებირგ ფოხტლანდის ოლქში უკანასკნელ დღეებში გერმანიის კომპარტიაში შევიდა 97 ახალი წევრი, რომელთა უმრავლესობა ყოფილი სოციალ-დემოკრატები არიან. (ადს).

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის მუშაობა

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის წინაშე სდგას ორი მეტად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი საკითხი—თვითკრიტიკა და რაციონალიზაცია.

ჩვენ გვაქვს მძლავრი საგიტაციო-საპროპაგანდო აპარატი, რომელიც შესდგება არა ჯამაგირიანი მოხელეებისაგან, არამედ პარტიის მრავალი ათასეული აქტივისაგან, კომკავშირისა და პროფკავშირებისაგან. ყრილობებისა, კონფერენციებისა და პარტიის და საბჭოთა ცენტრალური ორგანოების მიერ გადასროლილმა ლოზუნგმა ხანმოკლე დროის განმავლობაში, სულ რამდენიმე კვირის განმავლობაში, მიაღწიეს მიყრუებულ კუთხეებამდე. ეს ლოზუნგები უკვე მისაწვდომი ხდებიან მილიონიანი მასებისათვის და იჭრებიან მუშათა და გლეხთა ოჯახების ცხოვრებაში.

ამაშია ჩვენი ძალა. ასევე ფართოდ გავრცელდა თვითკრიტიკის და რაციონალიზაციის ლოზუნგები. განა შეიძლება დავასახელოთ ისეთი კუთხე, განა შეიძლება მოიპოვებოდეს ისეთი მუშა და მოწინავე გლეხი, რომელიც არ იცნობდეს ამ ლოზუნგებს და არ ემყარებოდეს მათ? რასაკვირველია, არ მოიპოვება.

მაგრამ ეს გარემოება, რომელსაც უდიდესი ღირებულება აქვს მასების შეკავშირების საქმეში, ხშირად ჩრდილავს იმ ამოცანებს, რომლებიც ჩვენს წინაშე სდგანან დასახული პრობლემების შემდგომ გაფართოვებასა და გაღრმავებასთან დაკავშირებით.

როცა ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ კარგად შეითვისეს, თუ როგორი ყურადღებით ეპყრობიან მუშები და გლეხები თვითკრიტიკისა და რაციონალიზაციის ლოზუნგებს, ჩვენ უნებლიეთ გვეჩვენება, რომ ყველაფერი უკვე გაკეთებულია და მეტი აღარაფერია საჭირო.

ნამდვილად კი ჩვენ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი ამ მხრივ. მიუხედავად უდიდესი წინსვლისა და უეჭველი რეალური შედეგებისა, როგორც თვითკრიტიკის, ისე რაციონალიზაციის დარგში ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ გაგვიკეთებია. პლენუმის ამოცანას შეადგენს—გამოცდილების შეჯამება ნიადაგზე აწიოს მთელი მუშაობა უფრო მაღალ საფეხურზე. ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი უდავოდ—არის თვითკრიტიკის კამპანიის უდიდესი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. მასები ამოძრავდნენ და თამამად, თუ არ ასუსტებენ, პირიქით, ამაგრებენ კიდევაც საბჭოთა წყობილების სიმტკიცეს.

ეს გარემოება გვაიძულებს განსაკუთრებული ყურადღებით მოვეპყრათ თვითკრიტიკის კონკრეტულ ფორმებსა და მეთოდებს დამუშავებას. ზოგიერთი ლოზუნგი უფრო დაწვრილებით და მკაფიოდ უნდა იქნას გარკვეული და ახსნა-განმარტებული. ავიღოთ თუნდაც „პიროვნებათა" საკითხი. ჩვენთვის არავითარი მერყეობა არ არსებობს ამის შესახებ, რომ უნდა დავზოგოთ თუ არა თვალსაჩინო თანამდებობის ცნობილი მუშაკები, თუ მათი მოქმედება ეწინააღმდეგება პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და მუშათა დემოკრატიის პრინციპებს, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პირდაპირ დირექტივებს ამა თუ იმ დარგში. უკვე გახრწნილი ან გახრწნის გზაზე მდგომი ელემენტების დაუნდობლად მხილება და მკაცრი კრიტიკა—თვითკრიტიკის ელემენტალურ და უპირველეს საფუძველს წარმოადგენს. მაგრამ აშკარა ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრა სრულებითაც არ არის ერთად-ერთი და უმთავრესი ამოცანა ამ დარგში. ბიუროკრატიზმთან წარმატებული ბრძოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ თავიდან ავიცილებთ და განვკურნავთ ძირითად ორგანიულ ავადმყოფურ მოვლენებს და დეფექტებს ჩვენი მეურნეობის სახელმწიფო მექანიზმის ცალკე ნაწილების მუშაობაში. „პიროვნებათა" საკითხი ამ მხრივ სხვანაირად სდგება ჩვენს წინაშე.

შეიძლება თუ არა, მაგალითად, პასუხისმგებლობა სამმართველო მოწყობილების გამოუვლენლობისათვის დავაკისროთ პერსონალურად ქარხნის დირექტორს, თუ ეს მოხდა მთელი რიგი ობიექტიური მიზეზებისა და სუბიექტიური შეცდომების გამო?

თვითკრიტიკა ასეთ შემთხვევაში უნდა ისახავდეს უფრო ფართო, უფრო სერიოზულ და უფრო ძნელ ამოცანას—მან უნდა გამონახოს ბოროტების ფესვი, რომელიც იმალება არა მარტო პიროვნებებში, არამედ რომელიმე ორგანიზაციული ხასიათის დეფექტში. დაკმაყოფილება მხოლოდ იმით, რომ დასჯილ განაზღვრული პიროვნება, ნიშნავს თვითკრიტიკის ლოზუნგის გამარტივებას და გავულგარებას.

თვითკრიტიკის მამხილებელი და დამსჯელი როლი, რასაკვირველია, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება მოქცეული ჩვენ ყურადღების ცენტრში, მაგრამ ამასთან ერთად და მის პარალელურად ჩვენს წინაშე სდგას აუცილებლობა იმისა, რომ დიდი მუშაობა იქნას წარმოებული მეურნეობის ცალკე დარგებისა და მმართველობის ზედმიწევნით გამოსაკვლევად. ეს მთლიანად და სავსებით შეეფერება იმ აზრს, რომელიც ლენინმა საფუძვლად დაუდო მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის ორგანიზაციას.

ამაშია თვითკრიტიკისა და რაციონალიზაციის განუყრელი კავშირი. გაღრმავებული მუშაობის უმაღლეს საფეხურზე ასული თვითკრიტიკა წარმოადგენს ფართო პლაცდარმა არა სქემატიური და გამოგონილი, არამედ ნაყოფიერი, პრაქტიკული, უშუალო შედეგებით აღსავსე მუშაობის გაფართოებისათვის. ამავე დროს მისი მუშაობა უფრო და უფრო მეტად უნდა გახდეს პროფილაქტიური და გამაფრთხილებელი, რომლის აუცილებლობაზედაც ლაპარაკობდნენ პლენუმზე ამხ. ლებედი და იაროსლავსკი.

ცენტრ. საკონტრ. კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა მრავალი კარგი ფორმა გამონახეს მშრომელთა ფართო ფენების ჩასაბმელად მათ მუშაობაში, მაგრამ ამ ფორმებმა უკანასკნელ ხანებში უკვე გადალახეს მათთვის მიკუთვნილი მუშაობის ფარგლები, ისინი მოითხოვენ უფრო ღრმა შინაარსს, და ეს აუცილებლად უნდა მივსცეთ, რომ არ მოისპოს ფართო მასებთან კავშირის ფორმები და იმედის გაცრუება არ გამოიწვიოს.

ყველანი, ვინც აქტიურ მონაწილეობას იღებს თვითკრიტიკის მუშაობაში—დაწყებული ცალკე მუშკორებით და გათავებული „მსუბუქი კავალერიის" რაზმებით, ბოლოს მოწინავე პოზიციებზე მყოფი—პრესა, ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმისაგან მოელის, რომ მან დასახოს თვითკრიტიკის შინაარსი, რომელიც შეფარდებული იქნება ნათლად გამომჟღავნებულ ამოცანებთან და რომელიც გაითვალისწინებს მიმდინარე წლის თუმცა ხანმოკლე, მაგრამ მეტად სასარგებლო გამოცდილებას.

ცენტრ. საკონტრ. კომისიამ ამ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში შეასრულა უდიდესი მუშაობა ფართო შინაპარტიული დემოკრატიის პირობებში.

მრავალი მილიონი მშრომელი დიდის ყურადღებით და ღრმა კმაყოფილებით ადევნებდა თვალყურს ამ მუშაობის ყველა ეტაპს, რომელიც უნაკლო ბოლშევიკური სიმტკიცით და დაუნდობლად იქნა ჩატარებული. ჩვენ ეხლა მომზადებული გვაქვს საუცხოვო ნიადაგი იმისათვის, რომ ღრმა და სერიოზული მუშაობა ვაწარმოოთ რაციონალიზაციისა და თვითკრიტიკისათვის.

ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმი საბოლოოდ გამოაცლის ნიადაგს ერთ ადგილზე გაშეშებულ მუშაკებს, რომლებიც თვითკრიტიკას რაღაც დროებით და სამწუხარო ეპიზოდად სთვლიან.

თვითკრიტიკა ნიშნავს არა მარტო კრიტიკას სხვების მიერ და მუშათა კლასის პროლეტარული დიქტატურის ფარგლებში — ის ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ თვით მუშაკები მუდამ კრიტიკულად მიუდგნენ თავიანთ მუშაობას, ფხიზელი ყურადღებით მოეპყრან მითითებული შეცდომებისა და დეფექტების გამოსწორების საქმეს, ის ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ მუშაკებმა სრულებით არ გამოიჩინონ წვრილმანი თავმოყვარეობა და თვითკმაყოფილება, შეიგნონ თვითკრიტიკის ამოცანების უდიდესი სიძნელე და უდიდესი პასუხისმგებლობა მუშათა კლასის წინაშე.

„იზვესტია", 28 აგვისტო.

ხელის მოწერა კელოგის ხელშეკრულებაზე

ბრიანის სიტყვა კელოგის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის წინ

პარიზი, 27 აგვისტო. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის წინ საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბრიანმა წარმოსთქვა სიტყვა. ბრიანმა განაცხადა: „მე ცუდად მოვიქცეოდი საფრანგეთის მიმართ, თუ არ აღვნიშნავდი — რამდენად ღრმად გრძნობს იგი იმ პატივს, რომელიც მას წილად ხვდა: მიიღოს იმ სახელმწიფოების წარმომადგენლები, რომელნიც ხელს აწერენ პირველ საერთო აქტს ომის უარყოფის შესახებ. რამდენადაც ამით სათანადოდ შეფასებულია საფრანგეთის მორალური მდგომარეობა, მისი დაუღალავი მუშაობა მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეში, იმდენად მე ვალებულობ ამ პატივსცემას საფრანგეთის სახელით და ვიმედოვნებ, რომ, ბოლოს, მიხვდნენ საფრანგეთის გულის წადილს, გაიგებენ მისს ნაციონალურ ფსიქოლოგიას".

შემდეგ ბრიანმა მადლობა გადაუხადა კელოგს, ჩემბერლენს და შტრეზემანს და ხაზი გაუსვა მათ დაუღალავ მუშაობას, მათ ლოიალობას და ერთგულებას ზავის საქმისადმი. ბრიანმა ხოტბა შეასხა ერთა ლიგას, რომელიც მხარს დაუჭერს ხელშეკრულებას და ამით უზრუნველჰყოფს მის ძალას.

„ეს პირველია, — სთქვა ბრიანმა, — რომ საზეიმო აქტით, რომელიც განსაზღვრულ ვალდებულებებს აკისრებს დიდ ერებს და ყველა იმას, ვისაც განუცდია მძიმე წარსული და პოლიტიკური ბრძოლა, გადაჭრით უარყოფილია ომი, როგორც ეროვნული პოლიტიკის იარაღი, სხვანაირად: უარყოფილია ომის ყველაზე უფრო სპეციფიური, ყველაზე უფრო საშიში ფორმა — ეგოისტური და ნებაყოფლობითი ფორმა. ამიერიდან მას შეუძლია იარსებოს მხოლოდ არალეგალურად, იგი კანონს გარეშეა გამოცხადებული და გაკიცხული, — დარწმუნებული ვარ, — ხელშეკრულებაში მონაწილე ყველა სახელმწიფოს მიერ; ამრიგად, ომი ამოძირკვულია ძირიანფესვიანად. იმ სახელმწიფოების მორალური თანაგრძნობა, რომელთაც ჯერ ხელი არ მოუწერიათ, ნებას გვაძლევს ჩავსთვალოთ ეს ხელშეკრულება კაცობრიობის ყველაზე უფრო ფართო ხასიათის მიღწევად. ხელშეკრულება გულისხმობს დიდი იმედის განხორციელებას მსოფლიოსათვის. ამიერიდან ჩვენს წმინდა მოვალეობას შეადგენს — ვეცადოთ ყოველნაირად, რომ ეს იმედი არ გაცრუვდეს. ჩვენ ვეძებთ საერთო აზრს ჩვენი მისწრაფების გასაერთიანებლად. ყველა ერმა, რომელიც კი წარმოდგენილია აქ ამჟამად, დაღვარა სისხლი უკანასკნელი ომის ბრძოლებში. მოვიგონებთ, ეს დიდებული საქმე ვუძღვნათ დიდ ომში დაღუპულებს".

კელოგის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს

პარიზი, 27 აგვისტო. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„27 აგვისტოს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც ომი, როგორც ეროვნული პოლიტიკის იარაღი აკრძალულია" (ადს).

„ჰო თუ არა"

პარიზი, 27 აგვისტო. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი ესაუბრა კელოგთან ერთად ჩამოსულ ერთ-ერთ ამერიკელ ჟურნალისტს. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მისაწვევ ბარათს ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად გადასცემენ 27 აგვისტოს; ამ ბარათს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს ჩააბარებს საფრანგეთის ელჩი მოსკოვში ერბეტი. შემდეგ ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ კელოგის ან საფრანგეთის მიერ დაგზავნილ მოსაწვევ ბარათებს, კელოგი სთვლის ისეთ წინადადებად, რომელიც გულისხმობს, ხელშეკრულების მიღებას მთლიანად და უშენიშვნოდ და რომელზედაც პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ „ჰო"-თი ან „არა"-თი.

მაგრამ კელოგთან დაახლოვებულ წრეებში ეშინიათ, რომ მოსკოვი, თანხმობას განაცხადებს რა შეუერთდეს ხელშეკრულებას, თავის პასუხში წამოაყენებს მთელ რიგ შენიშვნებს ინგლის-საფრანგეთის შენიშვნების შესახებ და მოითხოვს განიარაღებას, როგორც ისეთ პირობას, რომელიც ხელშეკრულებას რეალური მნიშვნელობას მისცემს. ის გარემოება, რომ პარიზი ამოირჩევს პაქტის ხელის მოწერის ადგილად, ჟურნალისტმა ახსნა შეერთებული შტატების სურვილით — ფორმალურად გაემართლებია საბჭოთა კავშირის მიწვევა და ეს მიწვევა მოეხდინა საფრანგეთის მეშვეობით (ადს).

ზალესკის განცხადების კომენტარიები

ვარშავა, 27 აგვისტო. „ნაშ პშეგლონდ"-ი ეხება ზალესკის განცხადებას. როგორც ვიცით, ზალესკიმ გადაჭრით უარჰყო ცნობა იმის შესახებ, რომ პოლონეთმა ლონდონში გადადგა ნაბიჯები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რათა იგი დაეშვან კელოგის ხელშეკრულებაში მონაწილეობისათვის, გაზეთი სწერს: „ბუხარინს ვერაფრად ეჭაშნიკება იმის გაგება, რომ პოლონეთის მთავრობა მოხარულია დაინახოს საბჭოთა კავშირი იმ სახელმწიფოთა რიცხვში, რომლებმაც ხელი მოაწერეს კელოგის ხელშეკრულებას".

შემდეგ გაზეთი სწერს: „პატეკ შეეძლო ეკისრა შუამავლის როლი და ეცნობებია საბჭოთა კავშირისთვის შეუერთდეს კელოგის ხელშეკრულებას, და, ამრიგად, ზედმეტი გახდა გერმანიის შუამავლობა".

„რეჩ პოსპოლიტა" სთვლის, რომ კელოგის ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს პოლონეთისათვის, ვინაიდან იგი ამცირებს ომის საფრთხეს გერმანიასა და საბჭოთა კავშირთან" (ადს).

პუანკარე კელოგთან

პარიზი, 27 აგვისტო. პუანკარემ ინახულა კელოგი. „ექსცელსიორ"-ის ცნობით, საუბრის დროს შეეხნენ საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად არის შესაძლებელი განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მოწვევის დაჩქარება. (ადს).

ხელშეკრულების ხელის მოწერის პროცედურა

პარიზი, 28 აგვისტო. დიდის ამბით მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას. დელეგატები აწერდნენ იმ კალმისტარით რომელიც კელოგს მიართვა ჰავრის მუნიციპალიტეტმა, ხოლო კალამს აწობდნენ იმ ისტორიულ სამელნეში, რომელიც 150 წლის წინათ იხმარეს საფრანგეთისა და ამერიკის პირველი ხელშეკრულების დამტკიცების დროს. დარბაზში დადგეს რამოდენიმე კინემატოგრაფიული და რადიო-აპარატი. ქალაქი და საზოგადოებრივი შენობები გაჩირაღდნებული იყო (ადს).

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა

მოსკოვი, 28 აგვისტო. „27 აგვისტოს საფრანგეთის ელჩმა ერბეტმა, საფრანგეთის მთავრობის დავალებით, გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობის დროებით აღმასრულებელს ამხ. ლიტვინოვს გადასცა საბჭოთა კავშირის ოფიციალური მიწვევა იმ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც კანონს გარეშე აცხადებს ომს (ეგრედწოდებული კელოგის პაქტი). ერბეტი თავისი მთავრობის დავალებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს ენიჭება ისეთივე უფლებები, და უპირატესობანი, როგორიც მინიჭებული აქვთ იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელშეკრულებას 27 აგვისტოს მოაწერეს ხელი. ამასთან ერთად ერბეტმა ჩააბარა ამხ. ლიტვინოვს ხელმოწერილი პაქტის ასლი.

ამხ. ლიტვინოვმა, ოფიციალურად სთხოვა ერბეტს, აცნობოს იმ მთავრობათა სია, რომელთაც ასეთივე მიწვევა გაეგზავნათ, აგრეთვე ხელშეკრულების შესახებ დიპლომატიური მიწერ-მოწერის ყველა საბუთი. ამასთან ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ აღნიშნული ცნობები საბჭოთა მთავრობას დასჭირდება საფრანგეთის ელჩის აღნიშნული წინადადების განხილვის დროს (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

გომინდანელების განთავისუფლება

პეკინი, 27 აგვისტო. მუკდენიდან იუწყებიან: ჩჟან სიუე-ლიანმა გაანთავისუფლა ყველა, ვისაც ჩჟან ცზო-ლინის დროს გომინდანთან კავშირი ჰბრალდებოდა და ამის გამო დაპატიმრებული იყო. (ადს)

მუკდენისა და ენ სი-შანის შეთანხმება

ტოკიო, 27 აგვისტო „დზი-დზის" ცნობით, ოფიციალური წყაროებიდან იუწყებიან, რომ მუკდენსა და ენ სი-შანს შორის მოხდა შეთანხმება რაც ვითომდა მიზეზია ფინ იუი-სიანის წასვლისა ნანკინიდან. იმავე წყაროებიდან იუწყებიან, ვითომ ფინ იუი-სიანს ეშინია, რომ, ენ სი-შანის მეტოქეობის წყალობით, გავლენა არ დაჰკარგოს ჩრდილოეთში. (ადს).

მუქარა

შანხაი, 27 აგვისტო. ფინ იუი-სიანის სააგენტო „ტაჰუნი" იუწყება: იაპონიის სამხედრო სარდლობამ კიოაჩაოში გამოაცხადა, რომ მას განზრახული აქვს გაანადგუროს სოფლები ქალაქის მიდამოებში, რადგან ეს სოფლები გადაიქცნენ გლეხთა ორგანიზაციის „დიდი დანების" მეამბოხე რაზმების ბაზად. (ადს).

დახმარებას თხოულობენ

შანხაი, 27 აგვისტო. ნანჩანში ჩასული ჯარი საკმაო არ გამოდგა იმისათვის, რომ ებრძოლონ ცზიანსის პროვინციაში მომქმედ შეიარაღებულ რაზმებს, რომლებსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ. პროვინციის ხელისუფალნი სთხოვენ ნანკინის მთავრობას ჯარის ახალ ნაწილებს. (ადს).

იაპონია-ჩინეთის ურთიერთობის მოგვარება

ტოკიო, 27 აგვისტო. „ნიჩი ნიჩი"-ს ცნობით, იაპონიის მთავრობა განზრახვა აქვს ნანკინის, ხანკოუს და ცზინანის ინციდენტები მოაგვაროს დამოუკიდებლად იმ მოლაპარაკებისა, რომელიც სწარმოებს ჩინეთთან დადებული ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ (ადს)

სპეციალური წარმომადგენელი

შანხაი, 27 აგვისტო. ნანკინის სააგენტოს გომინის ცნობით, იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს ნანკინში სპეციალური წარმომადგენელი, რომელსაც მოლაპარაკება უნდა აწარმოოს ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულებისა და ეგრედ წოდებული ნანკინის ინციდენტის მოწესრიგების შესახებ (ადს).

წითელი დროშა

საფრანგეთის იალქნიან ნავზე

პარიზი, 27 აგვისტო. იალქნიანი ნავების შეჯიბრების დროს შაპიუსში, მარენის მახლობლად, რამდენიმე ნავმა, რომლებიც მუშათა სასპორტო ორგანიზაციებს ეკუთვნოდნენ, საფრანგეთის სამფეროვანი დროშის ნაცვლად, აფრიალეს წითელი დროშები, რომლებზედაც ჩაქუჩი და ნამგალი იყო გამოსახული. საზღვაო სამინისტროს ორმა წარმომადგენელმა პროტესტი განაცხადა, დროშები დაუშვეს, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი კვლავ აღმართეს, რის შემდეგ საზღვაო სამინისტროს წარმომადგენლებმა დემონსტრატიულად დასტოვეს შეჯიბრების ადგილი (ადს).

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის პრესა კელოგის ხელშეკრულების შესახებ

ბერლინი, 28 აგვისტო. პრესა ძალიან თავშეკავებულად უკეთებს კომენტარიებს კელოგის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას. ენტუზიაზმს არსებითად იჩენს მხოლოდ „ფორვერტს". „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი" ხაზს უსვამს, რომ ბრიანმა თავის სიტყვაში ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დროს ხელშეკრულების მნიშვნელობა განმარტა საფრანგეთის პოლიტიკის მიხედვით. ნაციონალისტების პრესა მკაცრად ილაშქრებს „მშვიდობიანობის ბურუსის" (ასე უწოდებს პრესა კელოგის ხელშეკრულებას) წინააღმდეგ. გერმანიის, პრესა, განსაკუთრებით ოფიციოზური, სენსაციის სახით აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ. რომ საბჭოთა კავშირი მოწვეულია შეუერთდეს კელოგის ხელშეკრულებას (ადს).

ამერიკის წინადადება კელოგის ხელშეკრულების შესახებ

ვენა, 28 აგვისტო. ამერიკის საქმეთა რწმუნებულმა ვენაში ავსტრიის კანცლერის კანცლერის გადასცა ნოტა, რომლითაც აცნობებს კელოგს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას და წინადადებას აძლევს შეუერთდეს მას. ასეთივე ნოტა ამერიკის ელჩმა ბელგრადში გადასცა, სამხრეთ-სლავიის მთავრობას (ადს).

საპროტესტო მიტინგები კელოგის ხელშეკრულების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 28 აგვისტო. იმპერიალიზმთან და კოლონიალური ხალხების ჩაგვრასთან მებრძოლი ლიგის ამერიკულმა სექციამ იმ ქუჩაზე, სადაც მოთავსებულია მთავარი ბანკები და სამრეწველო დაწესებულებანი, მოაწყო საპროტესტო მიტინგი-დემონსტრაცია კელოგის ხელშეკრულების წინააღმდეგ. მაგრამ პოლიციამ მიტინგი გარეკა. მიუხედავად ამისა, ლიგამ ნიუ-იორკის სხვა რაიონებში მაინც მოაწყო ორი მიტინგი (ადს).

პუანკარეს შეხვედრა შტრეზემანთან

პარიზი, 28 აგვისტო. გუშინ პუანკარე შეხვდა შტრეზემანს, მათი საუბარი გაგრძელდა 1 ს. 30 წუთს. საუბარის ხანგრძლივობამ ყველანი გააოცა, ვინაიდან შტრეზემანს ექიმებისაგან აკრძალული აქვს ხანგრძლივი საუბარი. საუბრის დროს სამინისტროში მივიდა შტრეზემანის ექიმი პროფესორი ზონდეკი, რომელიც შევიდა კაბინეტში, სადაც საუბარი სწარმოებდა. როცა კაბინეტიდან გამოვიდა ზონდეკმა განაცხადა, რომ ის პარიზში ჩავიდა საკუთარი სურვილით და რომ შტრეზემანი სავსებით კარგად გრძნობს თავსო. საუბარის შესახებ არავითარი ცნობა არ გამოუქვეყნებია (ადს).

თეთრი ემიგრანტების გადასახლება პოლონეთიდან

ვარშავა, 28 აგვისტო. თეთრი ემიგრანტების გაზ. „ზა სვობოდუ" იუწყება, რომ პოლონეთიდან ასახლებენ მთელ რიგ თეთრ ემიგრანტებს. ვარშავაში უკვე მიღებულია უწყებები, რომლითაც რამდენიმე პირს ეძლევა წინადადება დასტოვონ პოლონეთი. გადასახლებულთა შორის არიან ეგრედწოდებული რუსეთის კომიტეტის გამგეობის წევრები ლეხნო, ინჟინერი გლადკო, ისაკოვი და მოსალსკი. იმავე გაზეთის ცნობით, წინადადება გადასახლების შესახებ ვილნოში მიეცა ოთხ თეთრ ემიგრანტს. რომლებმაც 14 დღის განმავლობაში უნდა დასტოვონ პოლონეთი. ყველა გადასახლებული გააფრთხილეს, რომ გადაწყვეტილება გადასახლების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრება არ შეიძლება. თუ განკარგულებას არ შეასრულებენ, მიღებულ იქნება იძულებითი ზომები (ადს).

ჩხრეკა და დაპატიმრებანი ვარშავაში

ვარშავა, 28 აგვისტო. კვირას ღამით პოლიციამ გაჩხრიკა 120 პირი, რომელნიც შენიშნულნი არიან კომუნისტურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღების მხრივ. პოლიციის ცნობით, 40 გაჩხრეკილ ბინაზე აღმოჩენილ იქნა არალეგალური ლიტერატურა, რომელიც უმთავრესად შეეხება ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს. დაპატიმრებულთაგან 20 კაცი მალე გაანთავისუფლეს. საპატიმროში დასტოვეს 40 კაცი, რომელნიც პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი. გაზეთების ცნობით, ჩხრეკა მოხდა მთავრობის კომისარის პირადი ხელმძღვანელობით. ჩხრეკის მიზანია ხელი შეუშალონ იმას, რომ ვარშავის კომკავშირი არ მოემზადოს ახალგაზრდათა საერთაშორისო დღისათვის.

ვარშავის ციხეებში

ვარშავა, 28 აგვისტო. 26 პოლიტიკური „პავიაკის" ციხიდან გადაიყვანეს ცნობილ საკატორღო ციხეში —„ვრონკი"-ში. ციხეში დარჩენილი პოლიტიკურები და აგრეთვე ქალთა ციხეში „სერბია"-ში მყოფი პატიმრები კვლავ განაგრძობენ სიმშილობას (ადს).

შეთანხმების შესასრულებლად

ქაბული, 27 აგვისტო. საბჭოთა კავშირი და ავღანისტანი შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ქაბულში და ავღანისტანის მისია მოსკოვში ამიერიდან ჩაითვალონ საელჩოებად. ამის გამო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა სტარკმა ოფიციალურ მიღების დროს გადასცა ავღანისტანის ფადიშაჰს თავისი, როგორც ავღანისტანში საბჭოთა კავშირის ელჩის, რწმუნების სიგელი (ადს).

აკადემიკ პოსეს გარდაცვალება

ლენინგრადი, 28 აგვისტო. 24 აგვისტოს გარდაიცვალა უდიდესი მატემატიკოსი აკადემიკი პოსე (ადს).

კომინტერნის VI კონგრესი

მოსკოვი, 28 აგვისტო. 27 აგვისტოს დამთავრდა კომინტერნის საპროგრამო კომისიის მუშაობა. კომისიამ საბოლოოდ მიიღო პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად კონგრესს წარედგინება.

კონგრესის მიერ გამოყოფილმა სპეციალურმა სარედაქციო კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ ამხ. ბუხარინი, ემბერ დრო, მოლოტოვი, მიკოლოსი, და ლენცი, პროექტში შეიტანა ყველა ის შესწორება და წინადადება. რის შეტანაც, კონგრესმა სასურველად იცნო.

მოხსენებას საპროგრამო კომისიის მუშაობის შესახებ კონგრესის პლენარულ სხდომაზე გააკეთებს ამხ ბუხარინი.

კონგრესის პლენალური სხდომა 29 აგვისტოს მოხდება (ადს).

ხელის მოწერა კელოგის ხელშეკრულებაზე

ერთა ლიგის საბჭოს სესიის წინ

ბერლინი, 27 აგვისტო. გერმანიული გაზეთები უკიდურეს თავდაჭერილობას იჩენენ ერთა ლიგის მომავალი სესიისადმი. «დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი» მეთაურ წერილში სწერს:

„ერთა ლიგა გზაჯვარედინზე სდგას, ვინაიდან მან განიარაღების საკითხის გადაჭრაზე სრული უარი სთქვა. თუ აღმოჩნდა, რომ ერთა ლიგას არ შეუძლია აცილება იმ მიზეზებისა, რომლებიც ადრე თუ გვიან ომს უქადიან ევროპას,—ეს გარემოება უშედეგოდ არ ჩაივლის. უფრო და უფრო ცხადი ხდება ის აზრი, რომ მშვიდობიანობის განმტკიცება შეიძლება მხოლოდ ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვით" (ადს).

ახალი წევრების ჩაბმა პროფკავშირებში

ბერლინი, 27 აგვისტო. იმ კვირეულთან დაკავშირებით, რომელსაც ატარებს 27 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე გერმანიის კომპარტია პროფკავშირებში ახალი წევრების ჩაწერის მიზნით, გერმანიის კომპარტიის ცეკამ გამოუშვა მოწოდება გერმანიის მუშებისა და მუშა-ქალებისადმი. ცეკა მოუწოდებს მუშებს ჩაეწერონ პროფკავშირებში, ხოლო პროფკავშირის წევრებს შეუერთდნენ პროფკავშირის მემარცხენე უმცირესობის პლატფორმას (ადს).

„კრასინი" ბერგენიდან გავიდა

ოსლო, 27 აგვისტო. როგორც ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ყინულის მჭრელმა „კრასინმა" 27 აგვისტოს დილით დაამთავრა ქვანახშირის დატვირთვა და ფიორდში გაემგზავრა კომპასების შესამოწმებლად. ყინულის მჭრელი კინგსბეიში გაემგზავრება არა უადრეს სამშაბათ დილისა.

სტავანგერის გაზეთის ცნობით, „კრასინ"-ის შეკეთება დაჯდა 80.000 მანეთი (ადს).

ყინულის მჭრელი კრასინი", 28 აგვისტო. 28 აგვისტოს პირველის ნახევარზე „კრასინი". ნახშირისა და წყლის სრული ტვირთის მიღების შემდეგ, ბერგენიდან გავიდა. შევსებულია სურსათის, მანქანებისა და მოწყობილების მარაგიც. წასვლის წინად „კრასინი" ინახულეს მუშათა ორგანიზაციების იმ კომიტეტის წარმომადგენლებმა, რომელსაც ყინულის მჭრელის მიღება ჰქონდა დავალებული. მათ კეთილი მგზავრობა უსურვეს „კრასინ"-ს. სამოილოვიჩმა, ყინულის მჭრელის, კაპიტანმა და კომისარმა მთელი ექსპედიციის სახელით მადლობა გადასცეს დახვედრის ორგანიზატორებს, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს და განაცხადეს, რომ ექსპედიცია ყოველგვარად შეეცდება შეასრულოს ის ამოცანა, რომელიც მას საბჭოთა საზოგადოებამ და საბჭოთა მთავრობამ დააკისრა.

ყინულის მჭრელის პირადი შემადგენლობა საუკეთესოდ გრძნობს თავს.

ნორვეგიის ჩრდილოეთით. ქალაქ გორშტადში „კრასინი" მიიღებს ახალ სურსათს და შპიცბერგენისკენ გაემართება (ადს).

გულწრფელი მადლობა

მოსკოვი, 28 აგვისტო. ჩეხო-სლოვაკიის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა მოსკოვში გირსმა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს გადასცა ნოტა. ნოტა იუწყება, რომ პრაღის საბჭომ დაადგინა, ქალაქ პრაღის სახელით გადასცეს გულწრფელი მადლობა „იტალია"-ს დამხმარე ექსპედიციის ხელმძღვანელს, მფრინავებს, ყინულის მჭრელის კაპიტანსა და მთელ ეკიპაჟს იმ თავდადებული მუშაობისათვის, რომელიც გასწიეს მათ ნობილეს პოლიარული ექსპედიციის მონაწილეთა გადასარჩენად (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კომფრაქციის წინადადება რეიხსტაგის უხუცესთა საბჭოს სხდომაზე

მოსკოვი, 28 აგვისტო. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი კაიტი იტყობინება:

გერმანიის რეიხსტაგის უხუცესთა საბჭომ განიხილა კომუნისტური ფრაქციის წინადადება იმის შესახებ, რომ დაუყონებლივ ყოფილიყო მოწვეული რეიხსტაგის სხდომა ჯავშნოსანის აგების საკითხის გასარჩევად.

კომფრაქციის წინადადება უხუცესთა საბჭომ სამარისებური დუმილით მოისმინა. სოციალ-დემოკრატ დეპუტატმა ლებემ განაცხადა, რომ ყველანი, გარდა კომუნისტებისა, რეიხსტაგის სხდომის მოწვევის წინააღმდეგი არიანო რითაც მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლები.

ნაციონალისტური პარტიის დეპუტატმა ვილდაუმ შემდეგნაირათ ახსნა უხუცესთა საბჭოს დუმილი კომფრაქციის მიერ წამოყენებულ წინადადებაზე: საბჭოს ასეთი დუმილი გამოწვეულია იმით. რომ საკითხი ჯავშნოსანის აგების შესახებ, სულ ერთია, მაინც გადაწყვეტილიაო.

კომფრაქციის წინადადებისათვის კენჭი არ უყრიათ.

რამდენი წარმოება გადავა 7 საათის სამუშაო დღეზე

მოსკოვი, 28 აგვისტო. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ პროფესიონალურ კავშირებისა და სამეურნეო ორგანოების მონაწილეობით შეიმუშავა იმ წარმოებათა სია, რომელნიც მიმდინარე წლის განმავლობაში უნდა გადაყვანილი იქნან 7 საათის სამუშაო დღეზე. აღნიშნული სიის თანახმად, 1928 წელში 7 საათის სამუშაო დღეზე გადავა 159 წარმოება, რომლებშიაც მუშაობს 170 ათასამდე კაცი.

სამუშაო დღის შემცირების გამო საჭირო იქნება 7 ათას კაცის მიღება სამუშაოზე.

მისი მანქანა აღმოჩნდა ყველაზე უფრო გამძლე

მოსკოვი, 28 აგვისტო. საზოგადოება „ავტოგზა"-ს წარმომადგენელმა, რომელიც ღებულობდა მონაწილეობას მოტოციკლეტების გადარბენაში მოსკოვი—თბილისი — მოსკოვი, შემდეგი განაცხადა გადარბენის საბოლოო შედეგების შესახებ:

მთელი გზა თბილისიდან მოსკოვამდე იძულებული გავხდით გაგვევლო დიდ წვიმებში და ტალახებში. ბევრ რაიონებში, ისედაც დაზიანებული გზები, ხანგრძლივი წვიმებისაგან უძნელეს პირობებს ქმნიდა მანქანების წინსვლისათვის. მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, საბჭოთა საბარგო ავტომობილი „ამო" ისე მოვიდა ფინიშამდე, რომ მას არც ერთი ნაწილი არ დაზიანებია.

ეხლა, როცა უკვე ეს დიდი გადარბენა დასრულდა შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ევროპის ფაბრიკა-ქარხნებში დამზადებული მანქანები გაცილებით უფრო გამძლე გამოდგა, ვიდრე ამერიკული. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანიის ფირმის —ნეანდერის მოტოციკლის იშვიათი ღირსება.

ბოროტმოქმედებანი საფეიქრო მრეწველობაში

მოსკოვი, 28 აგვისტო. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს განყოფილებამ მატყლის ნაწარმოების ტრესტში აღმოაჩინა დიდი ბოროტმოქმედება. კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ ტრესტის ბოროტმოქმედებებში მონაწილეობა მიუღია მთელ რიგ საფეიქრო ფაბრიკების დირექტორებს. ამის გამო ამ დღეებში დაპატიმრებულ იქნენ მთელ რიგ დიდი საფეიქრო ქარხნების დირექტორები.

პარტიული ცხოვრება

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 28 აგვისტო. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმზე ამხ. ლებედის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 40 კაცმა. ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრების გარდა, თავისი აზრი გამოსთქვეს სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. ორატორების თვალსაჩინო ნაწილმა ყურადღება მიაქცია იმ საკითხს, თუ რა კალაპოტით უნდა მიმდინარეობდეს თვითკრიტიკა. ბევრი ითქვა თვითკრიტიკის დეფექტებისა და დამახინჯების შესახებ.

კამათში გამოსულმა ამხ. ნაზაროვმა თვითკრიტიკის განვითარების ერთ-ერთ ხელის შემშლელ დაბრკოლებად დაასახელა ის წინააღმდეგობა, რომელსაც მას ზოგჯერ დაწესებულებათა და საწარმოთა ადმინისტრაცია უწევს. ამაში ხშირად დამნაშავენი არიან არა იმდენად სამეურნეო მუშაკ-კომუნისტები, რამდენადაც აპარატი და სპეციალისტები, რომლებიც ამ მხრით ყოველთვის კარგ გავლენას არ ახდენენ.

თვითკრიტიკას ზოგჯერ წინააღმდეგობას უწევენ პროფმუშაკებიც.

ამხ. შაცკინის აზრით, აშკარა შეცდომით მიუდგნენ საკითხს ის ამხანაგები, რომლებმაც მთავარი ყურადღება თვითკრიტიკის დამახინჯებას მიაქციეს. საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ არსებობენ თვითკრიტიკის განვითარების ხელისშემშლელი დაბრკოლებანი. ამას უნდა მივაქციოთ მთავარი ყურადღება. მაგრამ დიდ საფრთხეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ დამახინჯებასთან ბრძოლის მომიზეზებით, ზოგიერთი იბრძვის თვითკრიტიკის წინააღმდეგ. ამხ. შაცკინმა აღძრა აგრეთვე საკითხი გამკრიტიკებლების დაცვის შესახებ.

„არ უნდა დავივიწყოთ,—სთქვა ამხ. მოროზმა,—რომ თვითკრიტიკა უნდა გავატაროთ არა მარტო ქვემოდან ზემოთ, არამედ ზემოდან ქვემოთაც. ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ცდილობს ასიამოვნოს სათანადო პირებს იმ მიზნით, რომ თავიდან მოიცილოს თვითკრიტიკა. ასეთ მდგომარეობას მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა თავიანთი პრაქტიკული მუშაობის დროს ბოლო უნდა მოუღონ; მათ უნდა მოახერხონ, რომ როგორც მუშები აკრიტიკებენ დირექტორს, ისე დირექტორს შეეძლოს ოსტატის, ოსტატს—მუშის გაკრიტიკება და სხვ.

ბევრმა ორატორმა აღნიშნა მუშათა კლასის აქტივობისა და თვითმოქმედების ზრდა თვითკრიტიკასთან დაკავშირებით. კერძოდ, გაიზარდა მუშა ახალგაზრდობის აქტივობა. სავსებით გაამართლა თავისი არსებობა კომკავშირის „მსუბუქმა კავალერიამ". მას ესაჭიროება პროფესიონალური, პარტიული და სხვა ორგანიზაციების დახმარება.

დიდი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. იაროსლავსკიმ. მან მთავარი ყურადღება მიაქცია თვითკრიტიკის შემდგომი განვითარების საკითხს. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ თვითკრიტიკა საკმაოდ არ არის განვითარებული, აქა-იქ შემჩნეულია ჩაჩუმება და გულგრილობა თვითკრიტიკისადმი.

ეჭვი არ არის, ჯერ ყველას არა აქვს გაგებული თვითკრიტიკის ამოცანები. ამხ. იაროსლავსკიმ უპასუხა ზოგიერთ ამხანაგებს, რომლებიც მეტის-მეტად მკაცრად ილაშქრებდნენ პრესის წინააღმდეგ, და სთქვა: „არ შეიძლება ხელაღებით დავგმოთ პრესაში მოთავსებული მხილებანი. ყველამ იცის უდიდესი მნიშვნელობა მუშგლეხკორთა მოძრაობისა, რომელმაც ჩვენ დიდი სარგებლობა მოგვიტანა. რასაკვირველია, ყველა მუშკორი კარგი არაა, არიან ცრუმუშკორებიც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველი შენიშვნის შემოწმებაა საჭირო. ეს რომ ასე იყოს, მაშინ გაზეთების რედაქციები მარტო იმას უნდა მოუნდნენ, რომ შენიშვნები უგზავნონ შესამოწმებლად საგუბერნიო მუშათა და გლეხთა ინსპექციებს. ეს ძალიან დიდ დროს დაგვაკარგვინებს და, გარდა ამისა, გამოძიების დროს შენიშვნის შინაარსსა და სიმწვავეს მნიშვნელობა დაეკარგება. ზოგიერთი ამხანაგის სიტყვით, მუშკორი კარგია, როცა იგი აკრიტიკებს და ამხელს არაყის მხდელებს, კულაკებს და წვრილ ადამიანებს, ხოლო ის უფრო დიდ პირებს შეეხო, აღარ ვარგა.

არ შეიძლება აგრეთვე ხელი წავაფაროთ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო მტკივნეულ მხარეს, როგორც ამას ზოგიერთი ამხანაგი სჩადის.

„ჩვენ ყოველთვის ვერ ვახერხებთ,—განაგრძო ამხ. იაროსლავსკიმ,—სინათლისა და ჩრდილის პროპორციის სწორ დაცვას. ჩვენ ლაპარაკი არ ვიცით მიღწევების შესახებ. ამის ცოდნა საჭიროა, ვინაიდან დეფექტების გამომჟღავნებასა და უვარგისი საქმის დაგმობასთან ერთად მიღწევებიც არ უნდა დავივიწყოთ.

რამდენიმე სხვა ამხანაგის სიტყვის შემდეგ ამხ. ლებედმა საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა.

ცენტრ. საკონტრ. კომისიის 27 აგვისტოს დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ურალის მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ.

28 აგვისტოს მოსმენილ იქნება ამხ. კუიბიშევის მოხსენება მრეწველობის რაციონალიზაციის შესახებ. (ადს).

კრებების გაჯანსაღებისათვის

კრებები ჩვენი საზოგადოებრივი საქმიანობის ორგანიულ ნაწილად გადაიქცა. კრებები აუცილებელი და თან მნიშვნელოვანი საშუალებაა სამეურნეო და კულტურულ წინსვლისათვის. ამიტომ ბუნებრივია ის, რომ ჩვენში კრებები და სხვადასხვა სხდომების რიცხვი ფრიად დიდია. მაგრამ არ კმარა სხდომების მარტო სიმრავლე, საჭიროა ეს მძლავრი იარაღი მოხერხებულად, გონივრად იქნას გამოყენებული, რომ მას მეტი რეალური შედეგი მოყვეს, რომ მან თავისი დანიშნულება სავსებით გაამართლოს.

ზოგიერთები ფრიად ზერელედ უყურებენ კრებებს—კოლექტიურ მუშაობის ამ ერთ-ერთ ფორმას. ბევრ ადგილას არ ესმით კრების მოწვევის მთავარი აზრი და ჩატარების ტეხნიკა, არ შეუძლია მისი დასახულ მიზნების განსახორციელებლად გამოყენება. ამის გამო ხშირად ხდება, რომ კრებაზე გულს იყრუებენ, ნაკლებად ესწრებიან. ვერ იღებენ აქტიურ მონაწილეობას საკითხების გადაჭრაში.

კრებების მოწვევა, ჩატარება, მიღებული რეზოლიუციის განხორციელება და სხვ. ფრიად რთული პროცესია. ამ პროცესში მთელი რიგი ცვლილებების შეტანაა საჭირო იმისათვის, რომ კრებამ თავისი ამოცანა შეასრულოს.

კრებების შინაარსი, ხარისხი ჯერ დაბალი და პრიმიტიულია. კრებები უსისტემოდ ტარდება. არავინ გრძნობს პასუხისმგებლობას მათი მუშაობისათვის და არც კონტროლს უწევს მათ.

კრებების მოწვევაში აუცილებლად რაიმე წესი, სისტემა უნდა შეიქმნას. არ არის საჭირო ძალზე ბევრი კრების მოწვევა. კრების მოწვევამდე დღის წესრიგი დიდი დაკვირვებით უნდა შეადგინონ. ეს საქმე ჩვენში დღემდე ვერ არის კარგად დაყენებული, იხმება მრავალი და თითქმის ყოველგვარი საკითხი. დღის წესრიგის ცუდად შედგენა ცუდ შედეგებს იწვევს: კრება ან სხდომა საინტერესო აღარ არის დამსწრეთათვის, უკანასკნელნი მომხსენებელს ყურადღებით აღარ უსმენენ, საკითხს ვერ ეცნობიან და შეუფერებელი დადგენილებები გამოაქვთ.

ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს კრების მონაწილეებზე კრების გაჭიანურებაც. ხშირად კრება ჭიანურდება ცუდი ხელმძღვანელობის გამო, ხან კი—დღის წესრიგში დასმულ უამრავი საკითხებით. საჭიროა ამ მიზეზების თავიდან აცილება. წესად უნდა იქნას მიღებული რომ კრება და სხდომა იწვევოდეს მხოლოდ მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებზე.

სასურველია დღის წესრიგში დასმულ საკითხებს კრების წევრები წინასწარ გაეცნონ და მომზადებული, შემუშავებული აზრით გამოცხადდნენ კრებაზე.

მრავალსიტყვაობას უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა. საჭიროა ყველა ამხანაგი შევაჩვიოთ მოკლედ და მკაფიოდ გამოსთქვას აზრი ამ თუ იმ საკითხის გარშემო.

ჩვენში გავრცელებულია ზერელე შეხედულება კრების მნიშვნელობაზე. კრებას ადვილ საქმედ სთვლიან და მისთვის წინასწარ არ ემზადებიან, ესწრებიან ხშირად დაღლილნი და ზოგჯერ გასართობადაც. ხშირად მომხსენებლებიც არ გრძნობენ საჭირო პასუხისმგებლობას და ცუდად ემზადებიან. ასეთი დამოკიდებულება კრებებისადმი უნდა აღმოიფხვრას. კრება გაცილებით მეტ ყურადღებას, მეტ ენერგიის დახარჯვას მოითხოვს ჩვენგან, ვიდრე ჩვეულებრივი ფიზიკური ან გონებრივი სამუშაო. ამასთან კრებაზე დამსწრეთ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, აქ მეტი სიფხიზლე, მეტი შემოქმედებითი უნარის გამოჩენაა საჭირო.

კრებები და სხდომები უმთავრესად საღამოობით ხდება. ძნელია ამ წესის შეცვლა. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ასეთ კრებებზე უფრო დაღლილ აუდიტორიას ვხედავთ, ვიდრე შემოქმედ კოლექტივს.

აღნიშნულ ნაკლის გარდა ჩვენში კრებებს თან ერთვის სხვა სამახინჯეც. ხშირად კრების შემდეგ აჩვენებენ კინო-სურათს, აწყობენ წარმოდგენას და სხვა რაიმე გასართობს. ეს გარემოება საშინლად უშლის ხელს კრებების მუშაობას. გასართობი კრებას აზრს უკარგავს, ამიტომ ამათი დაშორება აუცილებელია. თუ კრებას ცუდად ესწრებიან, ამის მიზეზი უნდა იქნას გამორკვეული და აღმოფხვრილი. გასართობი, მართალია, აუდიტორიას შექმნის, მაგრამ კრებას კი წაახდენს.

უდიდეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს კრებებზე დაგვიანება. ამ დაგვიანების, ამ უპასუხისმგებლობის ფესვები ღრმად მარხია ჩვენს ცხოვრებაში. თუ გვინდა კრებების გაჯანსაღება, აუცილებელია უპირველეს ყოვლისა კრებებისადმი გულგრილობის მიზეზების გამორკვევა—შესწავლა და მათ წინააღმდეგ სერიოზული, სისტემატიური და გეგმიანი ბრძოლის წარმოება.

დ. ორაგველიძე.

დაწინაურების საქმე გორის მაზრაში

გორის სამაზრკომმა გამოიკვლია მუშათა დაწინაურების საკითხი. გამოკვლევის მიზანი იყო მუშათა დაწინაურების საქმეში არსებულ დეფექტების გამომჟღავნება და დაწინაურებულთა შრომის პირობების შესწავლა. გამოკვლევა ბორჯომის და ხაშურის რაიონებს შეეხო.

1927 წლის პირველ იანვრიდან ამა წლის პირველ აგვისტომდე ხსენებულ რაიონებში სულ 74 ამხანაგი დაწინაურებულა. ამათგან მუშა—70 და გლეხი—4, დაწინაურებულთა შორის მხოლოდ ერთი ქალია, რაც, რასაკვირველია, არა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

საწარმოო კომუჯრედები და პროფორგანოები მუშის წამოყენებას საწარმოო სტაჟისა და კვალიფიკაციის მიხედვით აწარმოებენ.

გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ დაწინაურება უმთავრესად თვით წარმოებაში ხდებოდა. პარტიულ სამუშაოზე წამოყენებულია 6 ამხანაგი, პროფესიონალურზე—17, საბჭოთა-ადმინისტრატიულზე—6, სამრეწ.-საწარმოოზე—37, სამეურნეო-კოოპერატიულზე—8. მუშის სხვა უწყებებში დაწინაურებას ის გარემოება აფერხებს, რომ ხშირად დაწინაურებული ახალ თანამდებობაზე ისეთ ხელფასს ვეღარ ღებულობს, როგორსაც წარმოებაში ღებულობდა.

საერთოდ კი დაწინაურებულთა ხელფასი მათ წინანდელ ხელფასთან შედარებით 40—55 პროც. არის გაზრდილი.

პროფკავშირების მუშაობა დაწინაურების დარგში სუსტია. ჯერ ერთი, ისინი არ სწავლობენ დაწინაურებულ რეზერვს, მეორე კა არ იწვევენ დაწინაურებულთა თათბირებს და არ ხელმძღვანელობენ მათ საქმიანობას. მთელ ამ მუშაობას თითქმის მარტო კომუჯრედები აწარმოებენ. პროფკავშირების მონაწილეობა დამაკმაყოფილებელია მხოლოდ ხაშურის რკ. გზის უბანში.

მუშაობის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ სოფლად ბევრია აქტიური გლეხი, რომლის გამოყენება თავისუფლად შეიძლებოდა, როგორც საბჭოთა ხაზით, ისე სხვა ორგანოებში, მაგრამ საბჭოების მუშაობა დაწინაურების დარგში ძლიერ სუსტია. მთელ მაზრაში ამჟამად ჩვენ მხოლოდ ოთხი დაწინაურებული გლეხი გვყავს.

ბორჯომის წარმოებებში ბევრია საბჭოს წევრი მუშა-ქალი. პარტიულ და პროფაქტივშიაც მუშა ქალების პროცენტი საკმაოა, მაგრამ მათი დაწინაურება თითქმის სრულიად არ სწარმოებს.

ერთ-ერთ უდიდეს ნაკლად უნდა ჩაითვალოს დაწინაურებულთა ზედმეტად დატვირთვა. მაგ. ხაშურის წარმოებაში არის დაწინაურებული მუშა, რომელსაც 5 პარტიული, 4 საბჭოთა, 3 პროფესიონალური და 5 სხვა დავალება აქვს.

დაწინაურებულმა მუშებმა სავსებით გაამართლეს მათზე დამყარებული იმედები. არ ყოფილა შემთხვევა, რომ წამოყენებულ მუშას მასზე დაკისრებული საქმე ვერ შეესრულებინა. ხაშურის სოც. დაზღვევის სალაროს გამგედ დააწინაურეს მუშა. ის პირველად შიშობდა საქმეს ვერ გაუძლებებიო, მაგრამ პარტიის დახმარებით დაწესებულების მუშაობის შინაარსი ორ კვირაში შეითვისა და ამჟამად საუკეთესო მუშაკად ითვლება. ბორჯომის სახ. მოსამართლე აგრეთვე დაწინაურებული მუშაა. მასზე ყველა იმ აზრის იყო, რომ ვერ გაერკვეოდა მოსამართლის რთულ მუშაობაში და დაიბნეოდა. ეს აზრი არ გამართლდა. რამდენიმე თვის განმავლობაში დაწინაურებული ისე გამოიცვალა, რომ ეხლა ისეთი მოსამართლე გორის მაზრას მეორე არა ჰყავს.

გორის სამაზრკომმა გამოკვლევის მასალების მიხედვით ადგილებს დირექტივა მისცა დაწინაურებულ მუშებსა და გლეხებს შორის მუშაობის შესახებ.

ვ. მ.

კომუნისტი
მიიღება ხელის მოწერა სექტემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ცხენოსან, არტილერიის და საინჟინერო სამხედრო სასწავლებელში
მისაღებ კანდიდატთა
გამოცდები იწარმოებს
ორშაბათს, ა. წ. სექტემბრის 3-ს დილის 9 საათიდან ა.-კ. ფეხოსანთა სამხ. სკოლის შენობაში (პლეხანოვის პრ. № 148).
ყველა მოქალაქე, რომელსაც ს.ს. ცაკთან არსებულ სამხედრო სკოლებში მიმღებ ცენტრალურ კომისიაში შეტანილი აქვს განცხადება ხსენებულ სკოლებში ჩარიცხვის შესახებ უნდა გამოცხადდეს ზემო აღნიშნულ ვადაზე ა.-კ. ფეხოსანთა სამხედრო სკოლაში. (3—1)

საბჭოთა საქართველო

წერილები

მეტი ყურადღება კულტმუშაობას

კულტურულ ფრონტზე მუშაობა დღეს გადაუდებელ ამოცანად სდგას ჩვენს წინაშე. განსაკუთრებით ეს ითქმის სოფლის შესახებ, სადაც შრომელი გლეხობის კულტურული დონე გაცილებით დაბალია ქალაქის მუშასთან შედარებით.

სოფლის პირობებში კულტმუშაობის ერთ-ერთ კერად ითვლება სამკითხველო, რომლის ირგვლივ თავს უნდა იყრიდეს ადგილობრივი კულტურული ძალები. სამკითხველოების როლი დღეს არ განისაზღვრება მარტო ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კითხვით. სამკითხველოებთან უსათუოდ უნდა იქნეს ჩამოყალიბებული სხვადასხვა წრეები, რომლებიც თვითგანვითარებას შეიტანენ მშრომელთა ფართო ფენებში. ამ მუშაობის ხელმძღვანელი და უშუალო ორგანიზატორი უნდა იყოს სამკითხველოს გამგე.

რა თქმა უნდა, სამკითხველოს გამგეებს ჩვენ მოვთხოვთ ყველაფრის ცოდნას, მაგრამ აუცილებელია მას ქონდეს სათანადო მომზადება და ერთგვარი გამოცდილებაც კულტურული მუშაობის დარგში.

ისმის საკითხი: გვყავს ჩვენ ყველგან სამკითხველოს ასეთი გამგეები? რა თქმა უნდა არა. მათი უმრავლესობა შეუფერებელია კულტმუშაობის ხელმძღვანელობისათვის.

ამის უმთავრესი მიზეზი კი სამკითხველოს გამგეთა ხელფასის სიმცირეა. ეს ხელფასი უდრის 20-დან 30 მანეთს, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამასაც ვერ იღებენ თავის დროზე. არის ისეთი შემთხვევები, როცა სამკითხველოს გამგეს სამი თვის ხელფასი მიუღებელი აქვს.

ასეთ პირობებში, თავისთავად ცხადია, საქმის მცოდნე და გამოცდილი მუშაკები გაურბიან სამკითხველოში მუშაობას და ეს ძალზე აფერხებს სამკითხველოების საქმიანობას.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თემაღმასკომების უმრავლესობა ნაკლებად არის დაინტერესებული თემში კულტურული მუშაობის გაცხოველებით. ისინი მეტ დროს და ენერგიას აღმშენებლობის საკითხების მოგვარებას ანდომებენ და ძალიან ეძნელებათ კულტურული საჭიროებისათვის საჭირო თანხების გაღება.

რა თქმა უნდა აღმშენებლობის წარმოებაც საჭიროა, მაგრამ დავიწყებული არ უნდა იქნეს კულტურულ ფრონტზე მუშაობაც. მშრომელი მასების თვითგანვითარების გარეშე აღმშენებლობაც ვერ იწარმოებს საფუძვლიანად.

ამიტომ მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს თემაღმასკომების მიერ კულტმუშაობის გაძლიერებას და ამასთან ერთად უზრუნველვყოთ სამკითხველოს გამგეთა მატერიალური მდგომარეობაც როგორც შრომის ხელფასის გადიდებით, ისე მისი თავის დროზე მიცემით.

გლეხკორი.

მოვსპოთ მალარიის ბუდე

(წერილი გურიიდან)

ზემო-გურიაში, სად. საჯევახოდან 6 კილომეტრის მანძილზე არის ეგრედ წოდებული „ნარიონალის ტბა“. ამ ტბას დიდი ზიანი მოაქვს მის მიდამოებში დასახლებულ გლეხობისათვის. ტბის მიერ მოწამლული ჰავა ასობით მუსრს ავლებს იქაურ გლეხობას: იქ ვერ იპოვნით ისეთ ადამიანს, რომელიც მალარიით არ იყოს შეპყრობილი. ეს იცის გურულმა გლეხობამ, მაგრამ რა ქნას, როდესაც საყანე მიწები მის მიდამოებში აქვს. ის ძალა-უნებურად ხდება ამ ტბის მოწამლული ჰავის მსხვერპლი. საკმარისია სამი დღე დაჰყოთ ამ ტბის ახლოს, რომ მალარიით დაავადმყოფდეთ.

ამ რამოდენიმე წლის წინად იქ კარგა მოზრდილი სოფელი იყო გაშენებული. დაარსებული რკინის გზის ბაქანიც, იმართებოდა ყოველკვირეული ბაზრობა, მაგრამ ამ ადგილზე ჩვენ ვხედავთ დღეს მხოლოდ ხუთიოდე მოსახლე გლეხს, რომელიც დაავადებულია, სახეზე ჩამომხმარი და გაყვითლებული.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოში აქაური გლეხობაც გამოაფხიზლა, გამოჩნდა სოფლის გულშემატკივარნიც და შეუდგნენ ჯანმრთელობაზე ზრუნვას. პირველადვე მოინდომეს ამ ტბის ამოშრობა, მოიწვიეს სპეციალისტიც და მთელი ლანჩხუთის რაიონის გლეხობა სიხარულით გამოვიდა არხის გასაყვან სამუშაოზე, რომლის სიგრძე რამდენიმე კილომეტრს აღწევდა.

მაგრამ, სამწუხაროდ სპეციალისტის უცოდინარობით იყო გამოწვეული თუ სხვა მიზეზით, არხზე მუშაობა შეჩერდა და ბოლოს სულ დავიწყებას მიეცა.

ამიტომ საჭიროა ამ მუშაობის კვლავ განახლება. აღნიშნული გლეხობა ისევ დიდი სიხარულით გამოვა სამუშაოთ, მხოლოდ უნდა ხელმძღვანელობა, საჭიროა კარგი ინჟენერის გაგზავნა ხსენებულ ადგილზე, რომ ამ ტბის ამოშრობით მალარიის საშინელებიდან დავიხსნათ მშრომელი გლეხობა. საჭირო თანხებს თვით ადგილობრივი ორგანოები გამონახავენ.

დაბოლოს, ამ ტბის ამოშრობა ორგვარი დადებით მნიშვნელობისაა ჩვენთვის. ერთი მხრივ ჩვენ დავიხსნით იქაურ გლეხობას გადაშენებისაგან, ხოლო მეორე მხრივ რამდენიმე ათასი დესეტინა სახნავ-სათესი მიწა შეეძინება ჩვენ მშრომელ გლეხობას, რომლიდგანაც სახელმწიფო შემოსავალიც გადიდდება და თვით გლეხობაც უზრუნველყოფილი იქნება.

სერგო დოლიძე.

ქალის გატაცება

ს. აბასთუმანი, ზუგდიდის მაზრა

17 აგვისტოს ს. აბასთუმანში ამავე სოფლის მცხოვრები ბუხუტი თოდუა (კულაკის შვილი, სისხლის სამართლის დამნაშავე), რამოდენიმე შეიარაღებული ძმა-ბიჭების თანხლებით ღამით მოულოდნელად თავს დაესხა სოფლად დროებით ჩამოსულ კომკავშირელ სტუდენტ ქალს თ. თ-ლს. თავდამსხმელებმა ააწიოკეს მთელი ოჯახი, შეურაცხყვეს მოხუცი მშობლები და ძალით გაიტაცეს ქალი.

ეს ამბავი მაშინვე ეცნობა ხელისუფლებას სამაზრო ორგანოებს; მაგრამ სამაზრო პროკურორი თავის ადგილას არ აღმოჩნდა, ხოლო მილიციის წარმომადგენელი მხოლოდ მეორე დღეს გამოცხადდა ბოროტმოქმედების ადგილზე. გატაცებულ ქალის ძებნა გრძელდება. ძალზე სუსტია მილიციის მოქმედება.

ნ. დ.

უმეტეს დროს ქეიფს ანდომებენ

საყულიის თემი, ქუთ მაზრა

როგორც სხვა თემებში, ისე საყულიის თემშიაც არსებობს თემაღმასკომი, გლეხკომი, კოოპერატივი, 7-წლედი, სამკითხველო და სხვა. ყველა ამ ორგანიზაციებს ყავთ თავიანთი ხელმძღვანელები, მაგრამ მათი უმრავლესობა ქეიფობაზე უფრო არიან გადაყოლილი, ვინემ თავიანთ მოვალეობის ასრულებაზე. თემ-აღმასკომიდან ოცი ნაბიჯის დაშორებით არის ორი სამიკიტნო, ხოლო ცოტა უფრო შორს მესამე, რომელიც ამ ორი თვის წინედ გაიხსნა. სამიკიტნოებში არღნებიცაა და ჩვენი თემის მესვეურებიც აქ ეწევიან თავდავიწყებულ ქეიფს.

ერთ ასეთ შემთხვევას ადგილი ქონდა 25 ივლისს. ამ დღეს ქეიფს ჩხუბიც მოყვა. თემის ერთ ერთ პასუხისმგებელმა პირმა და სამიკიტნოს პატრონმა რიგიანად მიბეგვეს ერთმანეთი ღვინის სმაში პირველი ადგილი უჭირავს ადგილობრივ შვიდწლედის გამგე ვ. ლომაძეს, რომელიც იმავე დროს თემაღმასკომის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეც არის.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ თემის სამკითხველოთი მხოლოდ ერთი უბანი სარგებლობს. თემაღმასკომმა ისიც ვერ მოახერხა, რომ სამკითხველო თემის ცენტრში გადმოეტანა, რითაც მთელი თემის მოსახლეობა ისარგებლებდა.

გულშემატკივარი.

ღვთის მორწმუნე პედაგოგი

(შორაპნის მაზრა)

შორაპნის სამაზრო განათლების მუშაკთა კავშირმა მოაწყო მასწავლებელთა ექსკურსია კახეთში, სადაც მიწვეულ იქნა 25-მდე მასწავლებელი სხვადასხვა თემებიდან. ექსკურსიას განზრახული ქონდა თბილისის დათვალიერებაც, ამ მიზნით ექსკურსია 18 აგვისტოს გაემგზავრა ზესტაფონიდან. ექსკურსანტებმა დაათვალიერეს კახეთის მნიშვნელოვანი ადგილები და 22 აგვისტოს ჩამოვიდნენ თბილისში.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ექსკურსიის მონაწილე ლ. კვესიტაძე უღირსი წევრი გამოდგა ჩვენი ექსკურსიის. მისი მოქმედება ყოვლად შეუფერებელი იყო სახალხო მასწავლებლისათვის. ჯერ კიდევ კახეთში ყოფნის დროს კვესიტაძემ კახელ გლეხთან საუბარში შემდეგი განმარტება მისცა კოლმეურნეობის შესახებ: „კოლექტიური მეურნეობის შექმნა სისულელეა, როდესაც ორი ძმა ერთად არ ჩერდებაო“. ხოლო თბილისში კვესიტაძემ სიონის ეკლესიას მიაშურა და მუხლმოდრეკით ევედრებოდა ხატებს. შეკითხვაზე, თუ რატომ ლოცულობდა, მან განაცხადა, რომ სიონის ეკლესია, სხვაზე უფრო ძლიერიაო.

საექსკურსიო ბიურომ კვესიტაძეს პასუხი მოსთხოვა ასეთი შეუფერებელი მოქმედებისათვის და მოხსნა ის თავის რიგებიდან. აგრეთვე დაადგინა აცნობოს ამის შესახებ სამაზრო პროფორგანიზაციას.

ასეთი პედაგოგი საბჭოთა პრინციპებზე ვერ აღზრდის ჩვენს ახალთაობას.

გ. სამხარაძე.

წერილებიდან

მცხეთა. მცხეთის პოლიტგანის მუშაობა ვერაა დამაკმაყოფილებელი. სამკითხველოში უსუფთაობაა, აუარებელი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები მოუვლელობის გამო ფუჭდება. გამგის ავადმყოფობის გამო სამკითხველო ხშირად დაკეტილია. საჭიროა ეს დეფექტები აღმოიფხვრას.

სიმართლე.

მუხიანის თემი, (ქუთაისის მაზრა) ს. მესხეთის კოოპერატივში მოქ. შალვა ფხაკაძემ გამართა ნადიმი, სადაც მიწვეია მღვდელი დიასამიძე თავისი ოჯახობით და სხვები. მოქეიფენი ტკბილად შექცეოდნენ კახურ ღვინოს. ფხაკაძის მოქმედებამ უკმაყოფილება გამოიწვია გლეხობაში. ნუ თუ კოოპერატივი სამიკიტნოთ უნდა გადავაქციოთ?

გლეხკორი „შ“.

აბასთუმნის თემი, (ზუგდ. მაზრა). ადგილობრივი შვიდწლედი თემის განაპირა კუთხეშია მოთავსებული და უმრავლესობისათვის მიუწვდომელია. მოწაფეებს 7—8 კილომეტრის მანძილზე უხდებათ სიარული. თემსაბჭომ არა ერთხელ დაადგინა სკოლის შენობის ცენტრში გადმოტანის შესახებ, მაგრამ დადგენილება სისრულეში არ იქნა მოყვანილი. საჭიროა განათლების განყოფილებამ ამ საკითხს ყურადღება მიაქციოს.

მიხ. ცხადაია.

ქ. სენაკი. სენაკის მაზრის სოფლებში არსებული აფთიაქები მომარაგებულნი არ არიან საჭირო წამლებით. ამის გამო ავადმყოფები ხშირად უწამლოდ რჩებიან. საჭიროა ჯანმრთელობის განყოფილებამ მეტი უნარი გამოიჩინოს აფთიაქების წამლებით მომარაგების საქმეში.

ლ. ნ.

მუშათა ცხოვრება

ზოგი რამ დიდუბის სადგურის შესახებ

30 ივლისს თბილის-ავჭალის გადასარბენზე გაიხსნა ახალი სადგ.—დიდუბე. სადგური ჯერ-ჯერობით მატარებლების მხოლოდ მიღებას და გასტუმრებას აწარმოებს. ამის გამო მისი შტატი მცირეა. შემდეგისათვის განზრახულია სადგ. თბილისის განსატვირთავად 13 ლიანდაგის დაგება და კომერციული ოპერაციების გადატანა. ამას მაუდის დიდი ქარხნის, გრეხილ-ავეჯის ქარხნის და აგრეთვე ლითონტრესტის ქარხნების საჭიროებაც მოითხოვს. გადაწყვეტილია სადგურთან მდ. მტკვარზე გაკეთდეს ბორანი, შემდეგ კი ხიდიც.

ასე, ამრიგად სულ მოკლე დროში ეს მშვენიერი ადგილი მჭიდროდ დასახლებულ კუთხედ გადაიქცევა, და თბილისის ერთ-ერთი სამრეწველო უბანი იქნება.

ახლად გახსნილ სადგურის ლიანდაგები დიდ მატარებლებსაც თავისუფლად იტევენ. მხოლოდ აქ ერთ დეფექტზე მინდა მივაქციო სამმართველოს ყურადღება. სადგურის ლიანდაგებზე არის გაკეთებული სასოფლო-საურმე გზის გადასასვლელი. ამ გადასასვლელის დამცველად რკინის გზას დაქირავებული ყავს ოთხი დარაჯი, რომლებსაც წლიურად სამი ათას მანეთამდე ხელფასი ეძლევათ. ამ ჟამად,—როდესაც სადგური უკვე გაიხსნა, საურმე გზის გადასასვლელის დატოვება ყოვლად დაუშვებელია. იმ ადგილიდან სადაც ეხლა გადასასვლელი არის თბილისისაკენ ასი საჟენის მანძილზე გაყვანილია რკინის გზის ქვეშ ხვრელი ნაწვიმარი წყლისა და პირუტყვების გასასვლელად. აი ამ ხვრელში თავისუფლად შეიძლება საურმე და საცლე გზის გაკეთება, რომელიც შედარებით იაფი დაჯდება. ამ გასასვლელს არც დარაჯი დასჭირდება და ამ სახით რკინის გზას ყოველ წლიურად სამი ათასი მანეთის ეკონომია მიეცემა.

სასმელი წყალი სადგ. დიდუბის მუშა-მოსამსახურეთა და მგზავრთა საჭიროებისათვის წყლის მზიდველს ავჭალის წყალსადენის მილიდან მოაქვს. მილი სადგურიდან სამი ვერსით არის დაშორებული და წყლის მზიდველი ამ საქმეში ყოველ-თვიურად 65 მანეთს ღებულობს. კარგი იქნება თუ რკინის გზა სასმელ წყალს მოიყვანს დიდუბის მაუდის ქარხნიდან, რომელიც სადგურიდან სულ რაღაც ორასი საჟენის მანძილზეა.

ასევე ითქმის განათებაზედაც.

ეხლა ორიოდე სიტყვა მოსამსახურეთა ბინების შესახებ. დიდუბის სადგურის მოსამსახურეთა რიცხვი ჯერ-ჯერობით თორმეტია. სადგურის შენობაში კი მხოლოდ სამი პატარა ოთახია განთავისუფლებული კანტორის საჭიროებისათვის და ერთიც სადგ. უფროსისათვის. დანარჩენ ოთახებში გზის ოსტატი და ლიანდაგის დარაჯები ცხოვრობენ. ამრიგად არც ერთ ახლად გადმოყვანილ თანამშრომელს ბინა არა აქვს, რაც მეტად აბრკოლებს სამსახურის საქმეს. საჭიროა სადგურის შენობაში ბინების განთავისუფლება და ახალი შენობის აგებაც. მეტად ხელსაყრელი იქნება რკინის გზისათვის, თუ სადგურის ეხლანდელ შენობაზე დაშენებულ იქნება მეორე სართული. ახალი საცხოვრებელი სახლის გაკეთება კი უფრო დიდ დროს მოინდომებს და გაცილებით უფრო ძვირი დაჯდება.

ვ. მახხულია.

საქმის გაჭიანურებას ბოლო უნდა მოეღოს

მუშკოოპის გამგეობას უნდა მიეცა გრძელვადიანი სესხი კოოპერატივის ყველა წევრთათვის, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ დაპირების შემდეგ უკვე ექვსი თვე გავიდა, სესხის მიღებას დღემდე საშველი არ დაადგა. რამდენჯერაც არ მივედით გამგეობასთან სესხის მიღების ნებართვის მისაღებად—იმდენჯერ გამგეობა ტკბილი სიტყვებით გვიმასპინძლდება და გვპირდება პირველი დაპირების შესრულებას. უკანასკნელად, როგორც იქნა გამგეობამ გადასწყვიტა კოოპერატივის ყველა წევრებს მიეცეს გრძელვადიანი სესხი, მაგრამ ვერც ამ გადაწყვეტილებამ უშველა საქმეს. სესხს აძლევენ მხოლოდ იმათ, რომლებიც შვებულებაში მიდიან, დანარჩენებს კი ჯერ-ჯერობით არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს წევრთა შორის.

მუშკოოპის გამგეობის მიერ საქმის ასე გაჭიანურება, ეს არის საქმისადმი ბიუროკრატიული მიდგომა. სათანადო ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას.

პეტრე-პავლე.

შრომის კოლექტივები

შრომის კოლექტივები ერთად-ერთი საშუალებათაგანია უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. საქ. პროფ. კავშირებმა, შრომის ბირჟამ და სხვა ორგანიზაციებმაც სწორედ ამ მიზნით დააარსეს შრომის კოლექტივები.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირების შრომის კოლექტივებს აქვთ საკანდიტროები, ბუბლიკის საცხობები და სხვა, რომლებიც სავსებით აკმაყოფილებენ ბაზრის მოთხოვნილებას.

აღნიშნულ შრომის კოლექტივებში მრავალი უმუშევარია ჩაბმული. ყველა მათგანი ცდილობს წარმოებას მისცეს მეტი მოგება, გააჯანსაღოს შრომის კოლექტივების საქმიანობა და დაიმკვიდროს კოოპერაციის ბაზრის დაპყრობაში. მართალია, ამ კოლექტივებს არა აქვთ დიდი ხნის ისტორია, მაგრამ არის ნიშნები იმისა, რომ მას შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს კერძო ვაჭრობას.

ამ მხრივ კოოპერატივზე ზრუნვა და მათზე ხელმძღვანელობა ზედმიწევნით საჭიროა დამაარსებელ ორგანიზაციების მიერ, რათა შრომის კოლექტივებმა არ მიიძინოს და ჩააბან მრავალი უმუშევარი უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის ფერხულში. ასეთი შრომის კოლექტივების ქსელი რაც შეიძლება უნდა გაფართოვდეს.

ს. აბუთიძე.

რა აბრკოლებს პროფ-მუშაობას

(ხაშური)

პროფკავშირებს დიდი მოვალეობა აწევთ, როგორც კოლექტიური ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების მხრივ, ისე სერიოზულ წარმოების აყვავება-გამაგრების მხრივაც. მაგრამ ზოგიერთი პროფკავშირის ადგილობრივ უჯრედებს ეს მოვალეობა არა აქვთ შეთვისებული. ისინი ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევენ წარმოების კეთილდღეობას.

თანახმად დებულებისა, ადგილკომებმა საწარმოო კომისიების სხდომები უნდა მოიწვიონ არა უგვიანეს ორ კვირაში ერთხელ. საწარმოო თათბირების სხდომები კი თვეში ერთხელ უნდა მოიწვიონ. მაგრამ გადის თვეები ისე, რომ საწარმოო კომისიები და თათბირები სრულიად არ იწვევა. ხდება ისიც, რომ საწარმოო თათბირები წვრილმან საკითხებით არიან დატვირთული, რაც აძაბუნებს თათბირს და მუშა-მოსამსახურეებს უკარგავს ხალისს. წვრილმანი საკითხები უნდა ირჩეოდეს საწკომისიების სხდომებზე და აქვე უნდა წყდებოდეს ისინი საბოლოოდ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოება, რომ ხშირად ადგილკომები იტვირთებიან არა პირდაპირ მოვალეობით; როგორც არის მაგალითად უმუშევრების სამსახურში გაგზავნა და სხვა, რაც ხაშურში ძალიან ცუდადაა დაყენებული.

საჭიროა ხაშურში დაარსდეს შრომის ბირჟა, რომელიც აწარმოებს, როგორც უმუშევართა სამსახურში გაგზავნას, ისე უმუშევართა შორის კულტურულ და სხვა საზოგადო მუშაობასაც. ეს საჭიროა მით უმეტეს, რომ უმუშევართა შორის, ამჟამად ადგილკომები თითქმის არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ.

ხაშურში შრომის ბირჟის დაარსებით გარდა იმისა, რომ გავაუმჯობესებთ უმუშევართა სამუშაოზე გაგზავნის საქმეს, ადგილკომებსაც განვტვირთავთ ზედმეტ ხარჯებიდან და გავაცხოველებთ საწარმოო თათბირების მუშაობას.

ალ.

წარმოება ეცემა, ღირებულება მატულობს

13 აგვისტოს შესდგა თბილისის ხე-ტყის ქარხნის საწარმოო თათბირის სხდომა, რომელსაც ქარხნის მუშების უმრავლესობა დაესწრო.

საწარმოო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ცაგურიამ. მომხსენებელმა მუშებს გააცნო, თუ რა გააკეთა აღნიშნულმა კომისიამ. მან სხვათა შორის სთქვა: ქარხნის პროდუქციის თვითღირებულება თანდათან მაღლა იწევს. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ლარის ოსტატს ჯეირანოვს, სრულებით არ ესმის თავისი მოვალეობა. მან არ იცის როგორ დაახერხინოს ოსტატებს ხეები და სხვა.

მომხსენებლის აზრით ნაწარმოების თვითღირებულების გაძვირების თავიდან ასაცილებლად და მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად, საჭიროა გამოიცვალოს ლარის ოსტატი სხვა უკეთესი მომუშავეთ. ეს მეტ ნაყოფს მოუტანს ჩვენს წარმოებას. ადმინისტრაციამ ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს.

ზუმბა.

ხელფასს დროზე არ გვაძლევენ

(შორაპნის მაზრა)

შორაპნის მაზრაში ქოხ-სამკითხველოების გამგეთა შრომის ხელფასი ძალზე მცირეა. ადგილობრივი თემაღმასკომები თავის ბიუჯეტიდან სამკითხველოს გამგეებს აძლევენ ხელფასს 25 მანეთს, ხოლო სამაზრო პოლიტგანი დამატებით გვაძლევს 5 მანეთს. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: სამაზრო პოლიტგანიდან ზოგიერთი სამკითხველო დაშორებულია 30 კილომეტრის მანძილზე და სამკითხველოს გამგეს 5 მანეთის მისაღებად უხდება მაზრაში წასვლა, რომელსაც გზაში ეხარჯება 8—9 მანეთი. რატომ არ შეიძლება პოლიტგანმა მიაქციოს ამას ჯეროვანი ყურადღება და შეუთანხმდეს სამაღმასკომს, რათა 5 მანეთიც მისცენ ადგილობრივმა თემაღმასკომებმა?

მეორე უბედურება კიდევ ის არის, რომ სამკითხველოს გამგეთა ხელფასი ჯერ მცირეა და მერე იმასაც ვერ იღებენ თავის დროზე. სამი თვე სრულდება, რაც შორაპნის მაზრის სამკითხველოს გამგეებს შრომის ხელფასი არ მიუღიათ.

თუ ხელფასის დარიგების საკითხი არ მოწესრიგდა, ძალზე შეფერხდება მაზრაში კულტგანმანათლებელი მუშაობა.

რიხიშონ.

გაუგებრობაა თუ ნათლიმამობა?

(თბ. აღმასკ. უქსის საყურადღებოდ)

მთავრობის დადგენილებით ჩატარდა მოუვლელ სახლების ნაციონალიზაცია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ თბილისში ეხლა კიდევ ბევრი მოუვლელი სახლია დარჩენილი კერძო მფლობელების ხელში. მაგალითად, მე-11 უბანში გრონზის ქ. № 2 სახლი ეკუთვნის ვინმე ლოსკუტოვს. ეს სახლი შესდგება 17 ოთახისაგან. მოქ. ლოსკუტოვი სახლს არავითარ რემონტს არ უკეთებს, პირიქით ზოგიერთ ადგილას განზრახაც კი აფუჭებს სახურავს. ამის შესახებ მდგმურებმა არა ერთხელ შეიტანეს საჩივარი აღმასკომში, მაგრამ ვიღაცას „ნათლიმამური“ ხელი იფარავს გაიძვერა სახლის პატრონს.

საჭიროა ხელმეორედ დაინიშნოს კომისია და გამოირკვეს რას მიეწერება ამ სახლის ჩამოურთმევლობა გაუგებრობას—თუ ნათლიმამობას?

ისნარელი.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

სატყეო მეურნეობა

ამიერ-კავკ. სატყეო მეურნეობის გამოსაკვლევად ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ გამოჰყო სპეციალური კომისია ამხ. მ. ბაგიროვის (თავმჯდომარე), ზაკტრეგერის (ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატიდან), ვინოგრადოვ-ნიკიტინის (ამიერ-კავკ. საგ. კომისია), კილოსანიძის (ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია) და ამიერ-კავკ. რესპუბლიკათა სახ. კომისართა საბჭოების წარმომადგენლების შემადგენლობით.

კომისიას დაევალა იმ ვარაუდით აწარმოოს გამოკვლევა, რომ მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე შესაძლო იქნეს საკითხის საბოლოოთ განხილვა ამიერ-კავკ. უმაღლეს ეკონომსაბჭოში.

დებულება წყალთა მეურნეობის შესახებ

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატს, რომ წყალთა მეურნეობის ახალ დებულების ცხოვრებაში გასატარებლად ამ თავითვე შეუდგეს ღონისძიებების გამომუშავებას, იმ ვარაუდით, რომ 1928—29 წლის გადასახადის აკრეფა დაიწყოს არა უგვიანეს ამ წლის 1 დეკემბრისა. ამ წინასწარი სამუშაოების ჩასატარებლად გადადებულია 16.000 მანეთი.

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად დაჩქარებით უნდა იქნეს გამოკვლეული წყალთა მეურნეობის ქსელის ექსპლოატაციისა და ძირითად შტატების შენახვისათვის საჭირო ხარჯები და სათანადო დასკვნები დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს არა უგვიანეს 1 სექტემბრისა.

სტატისტიკური საგეგმო კომისია

ამიერ-კავკ. სტატისტიკური საგეგმო კომისია ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა შემდეგი შემადგენლობით: ა. გონჩაროვი, ი. ავერბახი, ბ. გოგიჩაიშვილი, გულოიანი, ტ. კილიევი, ფ. გოგიჩაიშვილი, გულოიანი, ტ. კეხელმანი, პ. მედვედევი, მ. მელიქ-ალახვერდოვი, ზ. მონტვიდი, ვ. ოვსეპიანი, ს. რუტშტეინი, არ. რუხაძე, ა. სმირნოვი, ბ. სმირნოვი, ს. ტიმოფეევი, მ. ტოროშელიძე, ზ. ჩუგოგიძე, ე. შევტელი, ს. ეფინგერი, მ. ალამალოვი, ა. კვირიკაძე, ს. სიმხოვიჩი, შაბანოვი და გ. მელიქ-კარაკოზოვი.

საქ. სახკომსაბჭოში

პროფკავშირების ჩაბმა 1928—29 წ. ბიუჯეტის განხილვაში

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ყველა დაწესებულებას, საწარმოს და სამეურნეო ორგანიზაციას ბიუჯეტის შედგენის დროს მოიწვიონ სათანადო პროფკავშირის წარმომადგენელი.

შეშის დამზადების შესახებ

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო აღიძრას შუამდგომლობა ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს წინაშე, რათა შეშის დამამზადებელ ორგანიზაციებს თავის დროზე მიეცეს ვაგონები შეშის გადასაზიდავად.

ადგილობრივ მრეწველობისათვის ფინანსების მიმწოდებელი კომისია

სმუ საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მრეწველობისათვის ფინანსების მიმწოდებელი კომისიის თავმჯდომარე ამხ. ვ. ავაქოვი განთავისუფლებულ იქნა ამ მოვალეობისაგან.

ხსენებულ კომისიის თავმჯდომარეთ დაინიშნა ს.მ.უ.ს. თავმჯდომარე ამხ. გ. ყურულაშვილი.

თანახმად ს.მ.უ.ს. შემადგენლობისა აღნიშნულ კომისიაში შეყვანილ იქნა სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელი ამხ. გრიგოლია.

მცხეთა-ხაშური—სურამის გზატკეცილი

წინადადება მიეცა ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს თბილისისა და გორის სამაზრო აღმასკომებთან ერთად შეისწავლოს მცხეთა-ხაშური-სურამი გზატკეცილის უხიდებოთ (ბორანებით) გაყვანის შესაძლებლობის საკითხი.

ქინვალი-ორწყალი-ბარისახოს გზატკეცილი

წინადადება მიეცა ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს წარმოადგინოს სახკომსაბჭოში ქინვალი-ორწყალი-ბარისახოს გზატკეცილის გაყვანის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.

ახალქალაქის წყალსადენი

წინადადება მიეცა ახალქალაქის სამაზრო აღმასკომს სასწრაფოდ წარუდგინოს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სატეხნიკო საამშენებლო კომიტეტს ახალქალაქის წყალსადენის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა.

მოაწერეთ ხელი სესხს!

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი გამოვა ორი გამოცემით

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები გამოშვებული იქნება 20.000.000 ცალის რაოდენობით. ხოლო თითო მთლიანი ობლიგაცია ეღირება 25 მანეთი. ეს ობლიგაციები გამოვა ორი გამოცემით. ერთი გამოცემა (10.000.000 ცალი ობლიგაცია) პროცენტიან მომგებიანი და მეორე გამოცემა (10.000.000 ცალი ობლიგაცია) უპროცენტო მომგებიანი.

ორივე გამოცემის სესხებს წლიურათ ეძლევათ 11 პროცენტი სარგებელი აქედან პირველ გამოცემის ობლიგაციებს სარგებლათ ერიცხებათ 6 პროცენტი, მთელი სარგებლის დანარჩენი 5 პროცენტი გათამაშებული იქნება. მეორე გამოცემის სესხის მთელი სარგებელი გათამაშებული იქნება მოგების სახით. მოგებათა გათამაშება ორივე გამოცემისათვის წელიწადში იწარმოებს ოთხჯერ.

პირველ გამოცემის პირველ 24 ტირაჟის დროს თითოეულ ტირაჟში გათამაშებული იქნება 29.000 მოგება—3.127.000 მანეთის რაოდენობით აქედან 5 მოგება იქნება თითო 5.000 მანეთიანი, 1000 მოგება თითო 1000 მანეთიანი; 750 მოგება თითო 250 მანეთიანი და 28.145 მოგება თითო 100 მანეთიანი. შემდეგ ტირაჟებში თანდათანობით მცირდება წვრილ მოგებათა რაოდენობა, ხოლო მსხვილ მოგებათა რიცხვი დარჩება უცვლელი. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხს სულ ექნება 88 ტირაჟი. პროცენტიან-მომგებიანი სესხის ყველა 88 ტირაჟებში გათამაშებული იქნება 956,750 მოგება 102.858.500 მანეთის რაოდენობით.

უპროცენტო მომგებიანი სესხის პირველ 24 ტირაჟიდან თითოეულ ტირაჟში გათამაშებული იქნება 61.000 მოგება 6.554.000 მან. რაოდენობით. აქედან მოგება იქნება თითო 5000 მანეთიანი, 200 მოგება თითო 1000 მანეთიანი, 1500 მოგება თითო 250 მანეთიანი და 59,290 მოგება თითო 100 მანეთიანი. გამოცემის სესხის ყველა 88 ტირაჟში გათამაშებული იქნება 1.964.750 მოგება. 209.176,500 მანეთის რაოდენობით.

ამრიგად, ორივე გამოცემის ყველა 88 ტირაჟით გათამაშებული იქნება 2,921,500 მოგება 811.585.000 მან. რაოდენობით, ხოლო პროცენტიან მომგებიანი სესხის სარგებლის სახით გაიცემა კუპონებით 106.818.000 მანეთი (რაც შეადგენს ამ გამოცემის სარგებლის 6 პროცენტს).

რა უნდა იცოდეს ობლიგაციის მეპატრონემ

ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის განმარტებით, თუმცა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი გამოშვებულია 10 წლის ვადით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფულის მსესხებელს არ შეეძლოს ამ ვადამდე სახელმწიფოსაგან თავისი ფულის უკანვე დაბრუნება. ყოველ მოქალაქეს, რომელსაც ექნება ამ სესხის ობლიგაცია, ყოველთვის შეუძლია ობლიგაცია გაანაღდოს ფულზე, მიჰყიდოს იგი სახელმწიფო ბანკს და შემნახველ სალაროს. თუ ობლიგაციის პატრონს დროებით დასჭირდება ფული, მას შეუძლია თავისი ობლიგაცია დააგირაოს ბანკში. ამ შემთხვევაში მას არ ეკარგება უფლება არც ობლიგაციაზე, დანარიცხ პროცენტებზე და არც მოგებაზე, რომელიც შეიძლება ხვდეს მის ობლიგაციას. ობლიგაციის თავისუფლათ გადახურდავებას ფულზე ეწოდება ობლიგაციის ლიკვიდიანობა. ამრიგათ, ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები არიან ლიკვიდიანები, მათი ლიკვიდიანობა დაწესებულ იქნება სესხის სრულიად განაღდების შემდეგ.

სესხის ჩატარების კამპანია თბილისსა და მის მაზრაში

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის უკანასკნელ გაფართოებულ სხდომაზე ამხ. მესხმა გააკეთა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის კამპანიის ჩატარების შესახებ თბილისსა და მის მაზრაში.

მოხსენების მოსმენის შემდეგ პრეზიდიუმმა დაადგინა თბილისსა და მის მაზრაში ინდუსტრიალურ მეორე სესხის კამპანიის ჩასატარებლად დაუყოვნებლივ იქნას დაწყებული მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც, როგორც თბილისში, ისე მის მაზრაში უნდა დამთავრდეს სექტემბრის ბოლომდე.

თბილისსა და მის მაზრაში სულ განაღდებული იქნება 2.800.000 მანეთის სესხის ობლიგაცია. აქედან ქალაქში გავრცელებული იქნება 2.600.000 მანეთის ობლიგაცია, ხოლო მაზრაში 200.000 მანეთის ობლიგაცია. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად პრეზიდიუმმა დაადგინა აღმასკომთან დარსებული იქნეს სამაზრო - საქალაქო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. მ. ბოლქვაძე (თავმჯდომარე), ავაქოვი, მესხი, ასრიბეკოვი, ხვიდელიძე, ბედია და ძოწიავა.

ამავე პრეზიდიუმის დადგენილებით მაზრაში სესხის ობლიგაციების გასავრცელებლად დაარსებული იქნება სათემო და სასოფლო კომისიები. სათემო კომისიებში შევლენ თემაღმასკომის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდ.), თემკომის, ახკომკავშირის, კოოპერატიულ ორგანიზაციის და გლეხკომის წარმომადგენლები.

სასოფლო კომისიები არჩეულ იქნებიან სასოფლო ყრილობებზე 3-5 წევრის შემადგენლობით.

პრეზიდიუმმა ხაფინგანს დაავალა სათემო და სასოფლო კომისიებს დაჩქარებით მიაწოდოს სათანადო მასალები და დირექტივები სესხის გავრცელების შესახებ.

ხაორგანიზაციო განყოფილებას დაევალა საფინგანთან ერთად გამოჰყოს მუშაკთა საჭირო კადრი მაზრაში გასაგზავნად. სესხის კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით, როგორც მაზრაში, ისე ქალაქში მოეწყობა მოხსენებები სესხის მნიშვნელობის შესახებ.

სესხის რეალიზაცია თბილისსა და მის მაზრაში უნდა დამთავრდეს ნოემბრის პირველამდე.

თითო თვის ხელფასი ობლიგაციების შესაძენად

სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში შესდგა ამავე კომისარიატის და მის ქვემდებარე დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარმა ამხ. მ. მაშაკიძემ. მომხსენებელმა აღნიშნა სესხის წარმატებით გავრცელების მნიშვნელობა სოციალისტურ მშენებლობის განვითარების საქმეში და მოუწოდა დამსწრეთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სესხის კამპანიაში

ამხ. ვაშაკიძის მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა სესხის ობლიგაციების შესაძენად გადასდონ თითო თვის ხელფასი.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოში

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომლებმა, რომლებმაც მოისმინეს სააგენტოს დირექტორ ამხ. პილკოვსკის მოხსენება სესხის შესახებ ჩაატარეს ხელის მოწერა სესხზე. მოსამსახურეთა უმეტესობამ ხელი მოაწერა თვიურ ხელფასის გადამეტებით, ხელის მოწერით შეგროვილია 8.000 მანეთზე მეტი.

თბილისის სასაკლაოში

27 აგვისტოს თბილისის სასაკლაოში შესდგა თანამშრომელთა საერთო კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. ასათიანმა. მოხსენების შემდეგ კრებამ დაადგინა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ხელი მოაწერონ არა ნაკლებ ერთი თვის ხელფასისა. თვიური ხელფასი დაახლოვებით შეადგენს 20.000 მანეთს.

მეორე სტამბაში

მეორე სტამბის თანამშრომელთა საერთო კრებაზე 27 აგვისტოს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა სახ. ბანკის თანამშრომელმა ამხ. დევიძემ. კრებამ ერთხმად დაადგინა სესხის ობლიგაციები შეიძინონ ერთი თვის ხელფასის რაოდენობით, რაც შეადგენს 3.000 მანეთს.

11.000 მანეთი საზ-ბა „საქ. ღვინო“-ს თანამშრომლებისაგან

„საქართველოს ღვინო“-ს თანამშრომელთა საერთო კრებაზე 27 აგვისტოს სახ. ბანკის თანამშრომელმა ამხ. ინწკირველმა გააკეთა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ. მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს თანამშრომლებს სესხზე ხელი მოაწერონ არა ნაკლებ ერთი თვის ხელფასისა, რაც შეადგენს 11.000 მანეთს.

მესამე სტამბაში

მესამე სტამბაში 27 აგვისტოს შესდგა თანამშრომელთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა სახ. ბანკის წარმომადგენელ ამხ. გორბაჩოვის მოხსენება სესხის შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა შეიძინოს ობლიგაციები ერთი თვის ხელფასის რაოდენობით.

60.000 მანეთი შინამრეწველ ხელოსნებისაგან

შინამრეწველ-ხელოსანთა საზაფხულო კლუბში 27 აგვისტოს შესდგა შინამრეწველ-ხელოსანთა საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელ ამხ. გოლორაშვილის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ. მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა სესხზე ხელი მოაწეროს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით, რაც დაახლოვებით შეადგენს 60.000 მანეთს. ხელის მოწერის ჩასატარებლად არჩეული იქნა კომისია.

ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში

არამიანცის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა დელეგატების საერთო კრებამ 27 აგვისტოს მოისმინა ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. ემხინოვის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ და დაადგინა მიიღოს ზომები, რომ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე საავადმყოფოს თანამშრომლებმა მოაწერონ ხელი არა ნაკლებ ერთი თვის ხელფასის რაოდენობისა. მათი ერთი თვის ხელფასი შეადგენს დაახლოვებით 20.000 მანეთს.

ადგილებზე

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაცია

სოხუმი, 28 აგვისტო. უკვე დაიწყო აფხაზეთში ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაცია. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს თანამშრომლებმა დაადგინეს, გაიღონ თითო თვის ხელფასი ამ სესხის ობლიგაციების შესაძენად. ასეთივე დადგენილება გამოიტანეს სოხუმის წყალზე მომუშავეებმა. ხელის მოწერის პირველ დღეს 8.040 მანეთი შეგროვდა (ადს).

ზაჰესის ენერგიაზე გადასვლა

[illegible] მეტია, რაც სწარმოებს ზაჰესის ენერგიის ექსპლოატაცია. პირველ ხანებში ზაჰესი არ იყო საკმაოთ დატვირთული, რაც გამოიწვია წარმოებებში ელექტრო-მოწყობილობათა დადგმის დაგვიანებამ.

ამჟამად თბილისის წარმოებების უმრავლესობა უკვე გადაყვანილია ზაჰესის ენერგიაზე, ხოლო ახლო ხანში კი ყველა დანარჩენი წარმოებებიც გადავლენ.

დიდუბის რაიონისათვის ენერგიის მისაწოდებლად ამჟამად იქ მუშაობს 500 კილოუატიანი ქვე-სადგური, მაგრამ ვინაიდან დიდუბის რაიონში დაიწყო ახალი ქარხნების აგება, რისთვისაც საჭირო იქნება გაცილებით მეტი ენერგია, გადაწყვეტილია ხსენებულ სადგურის გაფართოება იმ ვარაუდით, რომ მისი ძალოვნება გადიდებული იქნეს 2.500 კილოუატ ამპერამდე. ქვე-სადგური გაფართოებული იქნება 1928—29 წელში, რისთვისაც გადადებულია 70.000 მანეთი.

მეორე დიდი ქვე-სადგურის აგება გადაწყვეტილია სურამის ელექტროფიკაციისათვის. ეს ქვე-სადგური მზად იქნება რიონჰესის ამუშავების დროისათვის—1931 წლისათვის. ამ ქვე-სადგურს ექნება 12.000 კილოუატი ამპერი. ამავე დროისათვის ამუშავებული იქნება ზაჰესის მთავარ სადგურის მეოთხე ტრანსფორმატორი.

გარდა ამისა უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში [illegible] ბი და სხვა.

უკვე მიღებულია საჭირო ზომები მთავარ სადგურის ყინულებისაგან სავსებით დასაცავად.

სულ, უახლოეს 5 წლის განმავლობაში ზაჰესის ახალ ნაგებობათა მოსაწყობათ დაიხარჯება 2,610.000 მანეთი. აქედან 1928—29 წელს დაიხარჯება 440.000 მანეთი, 1929—30 წელს—460.000, 1930—31 წ.—450.000, 1931—32 წ.—450.000, ხოლო 1932—33 წელს—850,000 მანეთი.

საქართველოს ღვინის ექსპორტი უცხოეთში

(წინადადების წესით)

საქართველო მევენახეობის და მეღვინეობის ქვეყანაა; ვაზის სნეულებების და ფილოქსერის გავრცელებამდის ჩვენში ვენახების სავრცე 70000 ჰექტარს უდრიდა. ახლა ვენახების სივრცე შემცირდა. 40000 ჰექტარს აღწევს და მოდის ხუთას-ექვსასი ათასი ექტოლიტრი ღვინო. ღვინის უმეტესი ნაწილი იხარჯება ადგილობრივად და ბაზარზე გადის დაახლოვებით ათიათასი ექტოლიტრი ღვინო. უმთავრესად ჩვენი ღვინოები სალდება საბჭოთა კავშირის ბაზარზე, დიდ ქალაქებში—მოსკოვში, ხარკოვში, ბაქოში, ლენინგრადში და სხვ.

თუ ჩვენ ღვინით ვაჭრობის წარმოებას შევძლებთ ისეთი წესრიგით და მოქნილობით, როგორც საჭიროა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ახლანდელი ღვინის მოსავალი საბჭოთა კავშირის ბაზარზე გასატანად არც კი იკმარებს, რაც უფრო ფართო ექნება ბაზარი ჩვენს ღვინოს და ეყოლება მეტი მომხმარებელი, მით უფრო განვითარდება და გაუმჯობესდება ჩვენში მევენახეობა და მეღვინეობა. ჩვენი სახელმწიფო 40 ათას ჰექტარ ვენახზე უახლოეს წლებშიც ვერ შეჩერდება და საბჭოთა კავშირის გარეთ, ღვინის გატანას და გასაღებას საზღვარგარეთაც უნდა ვეცადოთ. ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ინტერესები.

საბჭოთა კავშირის ბაზარზე ჩვენი ღვინოების გასაღება შედარებით ადვილია, რადგან ყველა საკავშირო რესპუბლიკებში ვენახების დამუშავება და ღვინის დაყენება ხარჯების მხრივ თითქმის ერთნაირ დონეზეა. მართალია, ზოგ რესპუბლიკასთან შედარებით ჩვენში ღვინის დაყენება ცოტა უფრო ძვირი ჯდება, მაგრამ სამაგიეროდ მაღალი ხარისხის ღვინოები დგება და მეტი ფასიც აქვს. სულ სხვაა ღვინის გასაღების პირობები საზღვარგარეთის ბაზარზე: იქ დიდი კონკურენცია არსებობს ღვინის ხარისხის, გაწეული ხარჯების, ღირებულების, რეკლამების და ყოველივე იმის მხრივ, რაც ღვინით ვაჭრობას და გასაღებას შეეხება.

უპირველეს ყოვლისა უცხოეთში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გერმანიის ბაზარს. გერმანიაში ღვინოს მრავალი მომხმარებელი გაუჩნდა, ადგილობრივათ კი ღვინო ცოტა მოდის; ღვინის იმპორტი გერმანიაში რამოდენიმე მილიონ ვედრას უდრის. გერმანიის შემდეგ ჩვენ ღვინოს გასავალი ექნება ავსტრიის და საფრანგეთის ბაზარზე. ავსტრიას საკუთარი ღვინის მოსავალი არ ყოფნის. საფრანგეთი მთელ მსოფლიოში მეღვინეობის მხრივ პირველ სახელმწიფოდ ითვლება, სადაც წლიურათ მოდის ხუთას—ექვსას ათას ექტოლიტრზე მეტი, მაგრამ მას საკუთარი საჭიროებისათვის და უცხო ბაზარზე გასატანათ ამოდენი ღვინო არ ყოფნის და შეაქვს სხვა ქვეყნებიდან წლიურად 35000000 ვედრა ღვინო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ აღნიშნულ სახელმწიფოებში საკუთარი ღვინოც ალბად მოდის, და გარდა ამისა, მათ ირგვლივ აკრავთ ისეთი სახელმწიფოები, სადაც ღვინო უხვათ მოყავთ; ასეთი სახელმწიფოებია იტალია, ესპანეთი, რუმინეთი, საბერძნეთი და ბულგარეთი. რა თქმა უნდა აღნიშნული სახელმწიფოებიც ცდილობენ ღვინოების ბაზრის მოპოებას. იქ დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ვენახების დამუშავების და ღვინის წარმოების გაიაფებას. საფრანგეთში მაგალითად ზედმიწევნით არის განვითარებული მუშაობის მექანიზაცია; ღვინის მარნებსა და სარდაფებში თითქმის ყოველგვარი სამუშაო სრულდება ელექტრონის და მანქანის ძალით, რაც დიდათ აიაფებს ნაწარმოებს. ჩვენ კი ამ მხრივ ძლიერ ჩამოვრჩებით. ეს არის სხვათა შორის იმის მიზეზი, რომ ნაწარმოები ძვირათ გვიჯდება. მიუხედავად ამისა მაინც დიდათ სასარგებლო და საჭიროა ჩვენი ღვინოები გავცნოთ უცხოეთის ბაზარს, გაუჩინოთ მას ახალი მომხმარებელი. საკითხავია: როგორი ღვინოებით შეგვიძლია დავაინტერესოთ გერმანიის ბაზარი ისე, რომ ხელსაყრელი იქნეს ნაწარმოების გასაღება? უბრალო ღვინოებით თუ თავი და მაღალი ხარისხის სამარკო ღვინოებით უნდა გავიდეთ უცხო ბაზარზე? ჩვენს უბრალო ღვინოებს გერმანიის ბაზარი უსათუოდ მოიწონებს, მაგრამ საქმე იმაში არის, რომ უბრალო ღვინოები ფასით სხვა სახელმწიფოებს კონკურენციას ვერ გაუწევენ, რადგან ჩვენი უბრალო ღვინოების წარმოება უფრო ძვირად ჯდება და თან გერმანიაზეც უფრო დაშორებულები ვართ, ვიდრე სხვა სახელმწიფოები. ხელაღებით უარის თქმა გერმანიის ბაზარზე უბრალო ღვინოების გატანაზე არ იქნება მიზანშეწონილი, მაგრამ მასიური გაზიდვაც დაუშვებლათ უნდა ჩაითვალოს. ჩვენის აზრით, უცხო ბაზარზე ჩვენ უფრო თამამად შეგვიძლია გასვლა თავი და მაღალი ხარისხის სამარკო ღვინოებით. კახური და იმერული ხარისხოვანი ღვინოები ღირსებით და ფასით გაუძლებენ სხვა სახელმწიფოების ღვინოების კონკურენციას გერმანიის ბაზარზე და ბაზარი მათ კიდეც მოიწონებს. შემდეგში მუშაობის მექანიზაციის შემოღებით წარმოება თანდათანობით გაიაფდება და უბრალო ღვინოების გასაღებაც ხელსაყრელ ფასებში მოხდება.

გერმანიის გარდა ჩვენთვის საინტერესოა საფრანგეთის ბაზარიც; მხოლოდ ამ შემთხვევაში საკითხს სხვა თვალსაზრისით დასჭირდება მიდგომა: საფრანგეთს თვითონაც უამრავი აქვს თავი და მაღალი ღირსების სამარკო განთქმული ღვინოები; ამისათვის სამარკო ღვინოებით საფრანგეთის ბაზარზე შეჭრას, თის ბაზრის დაინტერესება შეიძლება მაღალი ხარისხის ღვინით, როგორიც საკუპაჟო მასალით. ამ მხრივ დიდ ინტერესს წარმოადგენს კახური საფერავი. კახური საფერავი ძვირფასი ჯიშის ვაზია, რომელსაც იშვიათად შეედრება სხვა ვაზი. ის უსათუოდ სახელს გაუთქვამს ჩვენს ქვეყანას უცხო ბაზარზეც.

უცხოეთის ბაზარზე ღვინით გასვლა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს; საქართველო, როგორც მეღვინეობის საუკეთესო ქვეყანა მთელ საბჭოთა კავშირში, უნდა გავიდეს უცხო ბაზარზე საკუთარი სახით, საკუთარი სამარკო ღვინოებით, რომლებსაც უკვე განთქმული აქვთ სახელი საბჭოთა კავშირის ბაზარზე.

კოტე ბერეკაშვილი.

საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის

ა.-კ. საგეგმო კომისიის დადგენილება

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო, რომ შემოდგომის თესვის კამპანიის დროს ამიერ-კავკასიაში დათესილ იქნეს 42.500 ჰექტარი პურეული და 1.600 ჰექტარი საქონლის საკვები.

თესვის კამპანიისათვის საჭირო კრედიტები ა.-კ. საგეგმო კომისიის მიერ განსაზღვრულია 750.000 მანეთით. ამ თანხით შეძენილი უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და ტრაქტორები და მოწყობილი უნდა იქნეს სარემონტო სახელოსნოები.

ა.-კ. საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო, რომ ამიერ-კავკასიის მთელმა აგრონომიულმა ქსელმა მაქსიმალური მონაწილეობა მიიღოს კამპანიაში. თავის დროზე უნდა იქნეს გახსნილი სასოფლო-სამეურნეო იარაღების გასაქირავებელი პუნქტები, იარაღის შესაკეთებელი სახელოსნოები; მიღებული უნდა იქნეს ზომები მანქანების რაიონებს შორის გასანაწილებლად, სათესი მასალის გასაწმენდათ და ხორბლის საწმენდ პუნქტების მოსაწყობად. ხორბლის წმენდა ჩატარებული უნდა იქნეს უფასოდ და პირველ რიგში სოფლის ეკონომიურად ჩამორჩენილ ფენებისათვის. გატარებული უნდა იქნეს მასიური აგიტაცია შემოდგომის კულტურების გაუმჯობესების საკითხზე. ყველა კოლექტიურ მეურნეობებში ჩატარებული უნდა იქნეს კამპანია იმის სასარგებლოდ, რომ შემოღებული იქნეს სხვადასხვა გაუმჯობესებანი სოფლის მეურნეობაში; მოწყობილი უნდა იქნეს საჩვენებელი ნაკვეთები, პირველ რიგში კოლექტიურ მეურნეობებში. სოფლის კრებებზე ჩატარებული უნდა იქნეს აგიტაცია ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შემოსაღებად სოფლის მეურნეობაში; ჯილდოები უნდა მიეცეს ცალკე სოფლებს, საზოგადოებებს და ინდივიდუალურ მეურნეობებს, რომლებიც გააუმჯობესებენ თავის მეურნეობას.

რიონჰესი

რიონჰესის აგება სულ დაჯდება 18 მილიონ.—1928—29 წელში სადგურის სამუშაოებზე დაიხარჯება 4 მილიონზე მეტი.—სადგურის აგება სავსებით დასრულდება 1930—31 წელში.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობით, რიონჰესის აგება სავსებით დამთავრდება 1930—31 საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის. წინასწარი გეგმით სადგურის ძირითადი სამუშაოები უნდა დამთავრდეს 1929—30 წელში, 1930—31 წლის ოქტომბერში მოხდება სადგურის გამოცდა.

რიონჰესის აგება სულ დაჯდება 18 მილიონი. აქედან 9.700.000 მანეთი გადადებულია საკავშირო ბიუჯეტით, ხოლო 8.300.000 მანეთი ამიერ-კავკ. ბიუჯეტით. დღემდე დახარჯულის გარდა, 1928—29 წელში რიონჰესის სამუშაოებზე დაიხარჯება 4.700.000 მანეთი, 1929—30 წელს—6.650.000 მ. და 1930—31 წ.—1.500.000 მანეთი.

უკანასკნელ წელში სადგურის გამოცდასთან ერთად იწარმოებს ქვე სადგურების მოწყობა, ხაზების გაყვანა და სხ.

საბჭ. დაწესებულებებში მთხოვნელთა მიღების წესის შემოწმება

საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექცია პირველი სექტემბრიდან შეუდგება დაწესებულებებში მთხოვნელთა მიღების და მათი განცხადებების განხილვის წესების შემოწმებას.

გამოკვლევა შეეხება რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და ამიერ-კავკასიის შრომის, სოციალური უზრუნველყოფის, მიწადმოქმედების კომისარიატის და ფინსახკომის ორგანოებს დაწყებული სატახტო ქალაქებიდან და გათავებული მაზრებით.

გამოკვლევა მიზნად ისახავს მთხოვნელთა მიღების წესის, დროის და ორგანიზაციის დაახლოვებას მოსახლეობის ფართე მასების საჭიროებებთან და მოსახლეობასთან საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთა დამოკიდებულების შემოწმებას.

ამ მიზნის მისაღწევად დეტალურად იქნება შესწავლილი მთხოვნელთა მიღების პროცედურა ყველა ზემოთჩამოთვლილ ორგანოებში, კერძოთ შრომის ბირჟებში, სამიწადმოქმედო კომისიებში, საგადასახადო ინსტანციებში და სხვ.

მთელი ეს მუშაობა ჩატარებული იქნება მუშებისა და გლეხების ძალებით, რომლებსაც მუშათა და გლეხთა ინსპექცია ამ მუშაობაში ჩააბამს ქალაქის საბჭოების სექციების, პროფესიონალური, პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციების და აგრეთვე გამოსაკვლევ დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებების საშუალებით.

პირველ საექიმო დახმარების პუნქტები

საქ. შრომის სახ. კომისარიატმა შეიმუშავა წარმოებებში პირველ საექიმო დახმარების პუნქტების მოწყობის გეგმა.

გეგმის მიხედვით პირველ საექიმო დახმარების პუნქტები მოეწყობა ისეთ წარმოებებში, რომლებიც ერთი კილომეტრით და მეტით არიან დაშორებული საექიმო დაწესებულებებისაგან. და საექიმო წერტების გახსნა შეთანხმებულია სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ჯანსახკომთან და საქ. პროფსაბჭოსთან.

წერტების საექიმო პერსონალის და მედიკამენტებით უზრუნველყოფა იკისრა საქ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა.

სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო წერტებს მომარაგებს სხვადასხვა ტეხნიკური მოწყობილობით.

ისეთ წარმოებებში, სადაც 150-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე ითვლება, პირველ საექიმო დახმარების პუნქტი მოეწყობა სრული მედპერსონალით, ხოლო იქ, სადაც 75-ზე ნაკლები მუშა-მოსამსახურეა, პუნქტი გაიხსნება საშუალო პერსონალით (ექიმის თანაშემწე და სხვა დაბალი მოსამსახურეები).

საბჭოთა ჰაეროპლანი „K—4“ *)

26 აგვისტოს, თბილელები გაოცებით შეხვდნენ არაჩვეულებრივ აეროპლანს ელიპტიკური ფრთებით. მოტორის ხმაურობა თითქმის არ ისმოდა. აეროპლანის სისწრაფე საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო: იგი აღემატებოდა 180 კილომეტრს საათში.

ჩვენ აეროპლანიდან („K—4“) დავინახეთ ქუჩის ერთ კუთხეში მჭიდროდ შეჯგუფებული ხალხი მაღლა აწეული თავებით. კუთხეში თავმოყრილნი ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადარბოდნენ და ალბად ერთმანეთს ეკითხებოდნენ საჰაერო გემის ამბავს.

ეს გემი საბჭოთა ფრთებით გამოექანა ხარკოვიდან ბაქო-თბილის-სოხუმის შორეული გზის გასავლელად. შესანიშნავია მისი აგების ისტორიაც. კომუნისტი ინჟენერი ქ. ა. კალინინი იძულებული იყო რამდენიმე წლის განმავლობაში დაეცვა თავისი აეროპლანის კონსტრუქციის იდეა ელიპტიკური ფრთებით, რომლებიც მეცნიერულის გამოანგარიშებით საგრძნობლად ასუსტებენ ჰაერის წინააღმდეგობას.

ამხ. კალინინი მართალი გამოდგა: ფრთებს, კორპუსის და ბოლო ნაწილის მოყვანილობა საშუალებას აძლევს აეროპლანს ისე იხრიალოს ჰაერში და ის ისე ავიდეს დიდ სიმაღლეზე რომ ჰაერი მას მინიმალურ წინააღმდეგობას უწევს.

ელიპტიკურმა ფრთებმა ამხ. კალინინს მოუხვეჭეს გამარჯვება და მსოფლიო სახელი. საზღვარგარეთელთა აზრებს შემდეგ შევეხებით, მაგრამ ახლა არ შემიძლია არ მოვიგონო ლეონარდო-და-ვინჩის სიტყვები, რომლებიც მან მე-15 საუკუნეში სთქვა:

„მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მე ფრთების შესახებ ვლაპარაკობო“. უეჭველია, ამხ. კალინინსაც იგივე აზრი ასულდგმულებდა, რაც ლეონარდო-და-ვინჩის, რაც პროფ. ჟუკოვსკის—ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს მსოფლიო ავიო-მეცნიერს, რომელმაც დაამუშავა ჰაერო-დინამიკის საფუძვლები. ამხ. კალინინმა დაგვანახვა, რომ ელიპტიკური ფრთები—ენერგიის დამზოგველია. ამიტომ გასაგებია, რომ ერთ-ერთმა იმიერ-ოკეანელმა ავიოჟურნალმა ჩრდილოეთ-ამერიკაში „ტზი ფლაიტმა“ (№806) საგანგებო მეთაურ წერილში ასე მონათლა კონსტრუქტორ-კომუნისტის გამოგონება:

„კალინინის ელიპტიკური ფრთები უძვირფასესი განძია მსოფლიო ავიაციის მოწინავე პოზიციებისათვის“.

ასეთივე აზრები იყო გამოთქმული იაპონურ, ფრანგულ და გერმანულ ავიო-პრესაში. მათი წაკითხვის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ, სამწუხაროდ, ჩვენ გამოგონებათა შესახებ ცნობებს ვიგებთ საზღვარგარეთიდან.

აქამდე ჩვენი საბჭოთა ცა ეკუთვნოდა გერმანელ სამგზავრო აეროპლანებს. ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ როგორც სამწუხარო ფაქტი, რომ საბჭოთა პრესამ არაფერი იცოდა პირველი მანქანის—„K—1“-ის შესახებ, რომელიც იმ დროს კიევიდან ხარკოვში მიფრინავდა. საბჭოთა გაზეთებმა არაფერი იცოდნენ კალინინის შესახებ, მაგრამ სამაგიეროდ არაჩვეულებრივი გულმოდგინებით შეხვდნენ იაპონელ მირიხიკოს, რომელმაც ფრენით გაიარა ტოკიო-მოსკოვი-ხარკოვი - სტამბოლი-პარიზი. უცხოელებს ჩვენ ვხვდებოდით ზეიმითა და ბანკეტებით, ხოლო საბჭ. მანქანას „K—1“-ს ჰაეროდრომზე.. ბღავილით დახვდა შეშინებული ძროხა.

მხოლოდ ავიო-ქარხნის მუშების წყალობით აგებულ იქნა შემდგომი მანქანები „K—2“, „K—3“, „K—4“.

ბიუროკრატები კი განზე დარჩნენ.

თუ კალინინის აეროპლანებს შევაფასებთ ტეხნიკურის თვალსაზრისით, შეუძლებელია არ დავრწმუნდეთ, რომ ეს აეროპლანები საუცხოო სამგზავრო აპარატებია.

გარდა იმისა, რომ „K—4“-ს 5.800 მეტრი სიმაღლის „ჭერი“ აქვს („დორნიე—3“-ს მხოლოდ 3.000—3200 მეტრის სიმაღლე აქვს), იგი აგრეთვე ნაკლებ ბენზინს ხარჯავს, ვიდრე „დორნიე—3“ და „მერკური“. „მერკური“ „დორნიეს“ ფირმის საუკეთესო აეროპლანია; მას აქვს 600 ძალიანი მოტორი, „K—4“-ს კი—240 ძალიანი. მათი სისწრაფე ერთნაირია—180—185 კილომეტრი საათში, მაგრამ „მერკური“ ორჯერ მეტ ბენზინს ხარჯავს.

საქარხნო გამოცდის დროს გამოირკვა, რომ „K—4“ აფრენის დროს 1.000 მეტრის სიმაღლეზე ადის 5 წუთსა და 40 წამში, „დორნიე—3“ კი—14 წუთში.

როგორც ვხედავთ, განსხვავება დიდია. საბჭოთა ტეხნიკამ თავი არ შეირცხვინა. წერილს სხვადასხვა ციფრებით არ დავტვირთავ. ერთი რამ კი უდავოა: კალინინის კონსტრუქციის საბჭ. აეროპლანი ყოველის მხრით სჯობია „დორნიეს“ აეროპლანს.

საქციო საზოგადოების „უკრვოზდუხპუტის“ გამგეობამ ამხ. ი. ი. კასიანენკოს მეთაურობით გაითვალისწინა „K—4“-ის საფრენი თვისებანი და გადასწყვიტა კალინინის მანქანების სერიის „K—4“ (ხუთადგილიანის და K—5-ის (რვა ადგილიანის) აგება. „უკრვოზდუხპუტის“ ავიო-ხაზის მანძილი (მოსკოვიდან სპარსეთის ფეხლევამდე) უდრის 3.700 კილომეტრს და ამჟამად სისტემატიურად დატვირთულია. საკმარისი არაა აეროპლანების რიცხვი მგზავრთა გადასაყვან-გადმოსაყვანად.

ამგვარად, კალინინის მანქანების აგებით და ამუშავებით ჩვენ შეუნარჩუნებთ ჩვენს ხაზინას ოქროს და იგი არ გადავა გერმანული ავიო-კაპიტალისტის დორნიეს ჯიბეში.

ამჟამად „K—4“ გარშემო უვლის კავკასიონ ქედს შემდეგი მარშრუტით: ხარკოვი — როსტოვი — არმავირი — მინერალური წყლები— კავკავი — მახაჩკალა — ბაქო — თბილისი— ქუთაისი — სოხუმი — ტუაპსე — კრასნოდარი — მინერალური წყლები და ხარკოვი. ეს არის საცდელი სამგზავრო რეისი სრული დატვირთვით.

მიუხედავად ცუდი მეტეოროლოგიური პირობებისა, „K—4“ სწრაფად მიჰქრის წინ და 13 საათის და 21 წუთის განმავლობაში განვლო 2.800-ზე მეტი კილომეტრი.

ფრენის დროს ჩვენ შეგვხვდა ძლიერი ნორდი, წვიმა უშხაპუნებდა კაბინასა და ფრთებს, მთის ქარის ქროლვა მიგვაქანებდა ჰაერის ჯურღმულებში, „K—4“ კი წარბშეუხრელად მიეშურებოდა წინ.

დედამიწა ჩვენ ქვეშ დაფენილია, როგორც თვალუწვდენი ხალიჩა ფერად-ფერადი სურათებით. ზოგჯერ დედამიწა მიჰქრის ჩვენ ქვეშ, როგორც მწვანე ჩანჩქერი ზოგჯერ იგი ემსგავსება ჰიგანტიურ ფანტასტიურ პარკებს, რომლის ზემოდაც ავიო-ვალსს უვლის ჩვენი აეროპლანი.

გულგახსნილი მზე ელერსება ფართო ფრთებს და გვტყორცნის მხურვალე სხივების კონას. ანკარასავით წმინდა ჰაერი გულმკერდს ესალმურება. მსუბუქად ვსუნთქავთ, თავისუფლად. მეტადრე ის გვახარებს, რომ შეგვიძლია გაუჭირვებლად ბაასი, წერა-კითხვა. მთები, როგორც შურიანი მეზობლები, შემომგვეტრიან თავიანთი ლურჯი ბორცვებს მესტიიდან და გვაცილებენ იისფერი უძრავი თვალებით; ასე გგონია, მათ არ სურთ ხელი აიღონ თავიანთ მფლობელობაზე და ეჭვევიან ცვრიანი თეთრი ღრუბლების ნაგლეჯებში.

უცნაური ფერადებით დაარშიავებული მინდორ-ველები მისრიალებენ ჩვენს ქვემოთ. მოტორი კრუსუნებს, როგორც დიდი ზღაპრული კატა და თითქოს ადამიანს თვალს ალულვინებს თავისი საავიო სიმღერით.

მე მაგონდება გორკის სიტყვები, რომლებიც მან სთქვა ხარკოვში—„ლიტერატურის სახლში“:

— მე ვამაყობ, რომ ჩვენი საბჭოთა ქვეყანა თავისი ხელით ამზადებს ნემსებსაო!—წამოიძახა მან მისალმების დროს.

— ჩვენ კი იმით ვამაყობთ,—უპასუხებთ ჩვენ,—რომ, ნემსების გარდა, ჩვენი ქვეყანა ჰქმნის საკუთარი კონსტრუქციის აეროპლანებს.

ამიტომ გულს სიხარული ეფინება, რომ ჩვენი ჰაეროპლანები თანდათან დაიპყრობენ მთელ საბჭოთა ცას, საცდელი რეისი გვიჩვენებს, რომ ავიომანქანებს შეუძლიათ დიდი სამსახური გაუწიონ ამიერ-კავკასიას. ამ მიზნით ზამთრისათვის განზრახულია ახალი ხაზის შექმნა შემდეგი მარშრუტით: ბაქო — თბილისი — სოხუმი — ტუაპსე — სოჭი — კრასნოდარი — მინერალური წყლები.

ყველამ იცის, რომ ჩვენი კურორტები ზამთრობითაც მოქმედებენ და ავადმყოფები სამკურნალოდ მიეშურებიან სამხრეთისაკენ. „უკრვოზდუხპუტის“ აეროპლანები მათ მაქსიმალური სისწრაფით გადააფრენენ კავკასიონის ქედზე.

ბილეთების ფასი არ აღემატება რბილი ვაგონით რკინის გზაზე მოგზაურობის ფასს. საერთოდ „უკრვოზდუხპუტის“ ბილეთები საბჭოთა კავშირში ყველაზე იაფი ავიო-ბილეთებია. ყველა უპირატესობა სამოქალაქო ავიაციის მხარეზეა.

მეორეს მხრით, ახალი ავიო-ხაზი ერთმანეთს დაუკავშირებს ამიერ-კავკ. ფედერაციის სამს დედა-ქალაქს: ბაქოს—თბილისს—სოხუმს. სწრაფი, გაუმჯობესებული კავშირის საჭიროება დიდი ხანია მომწიფდა. დღევანდელ პირობებში იგი გადაუდებელია, რადგან საბჭოთა ხელისუფლებას ბევრი მტერი ჰყავს. ამ ხაზს ის პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რომ რესპუბლიკების ცენტრებს შეეძლებათ უფრო სწრაფად მიიღონ დირექტივები ამიერ-კავკასიის ცენტრალური მთავრობისაგან, უფრო სწრაფად განახორციელონ ისინი. ტყუილად კი არა სთქვა რომელიღაც სახელმწიფო მოღვაწემ: „სისწრაფე ყველაფერიაო“.

საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ტემპი ბევრს მოიგებს. „უკრვოზდუხპუტი“, რომლის განკარგულებაშიაც იმყოფებიან საუკეთესო აეროპლანები (არც ერთ მათგანს 10 წლისაზე ნაკლები სტაჟი არა აქვს!), ხაზს უზრუნველჰყოფს საჭირო აეროპლანებით.

საჭიროა, რომ მთავრობამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ხელი შეუწყონ „უკრვოზდუხპუტს“, რათა მან ხაზის მთელ მანძილზე მოაწყოს სამოქალაქო ჰაეროდრომები და ააგოს სათანადო ანგარები.

ვიმედოვნებთ, რომ ეს საქმე გაკეთდება და უკვე ამ ზამთარს ამიერ-კავკასიის საბჭოთა ცას დასერავენ საბჭოთა აეროპლანები.

ვ. კუზმინი.

---

*) წერილის ავტორი, ამხ. კუზმინი უკრაინელი ჟურნალისტია. ის „კ—4“-ით მოფრინდა თბილისში. რედ.

ქრონიკა

ამხ. შ. ელიავას გამგზავრება

ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავა 27 აგვისტოს გაემგზავრა ქ. ბაქოში.

გერმანელ ჰიდროლოგთა ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ ცნობილი გერმანელი ჰიდროლოგები—პროფ. პრინცი და ინჟ. ეუგენბროტი. ისინი მოწვეულნი არიან თბილისის აღმასკომის მიერ ნატახტარის წყაროების გამოსაკვლევად.

გერმანელი ჰიდროლოგები რუს ჰიდროლოგებთან, პროფ. სურინთან, ილინთან და სხვებთან ერთად შეამოწმებენ თბილისის ახალი წყალსადენის პროექტს.

თვითმფრინავ „კალინინის" დათვალიერება

ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობების წევრები ესტუმრენ აეროდრომს, სადაც დეტალურად გაეცნენ კალინინის კონსტრუქციის თვითმფრინავს „კ—4" მთავრობის წევრებს ახსნა-განმარტებას აძლევდა „უკრვოზდუხპუტ"-ის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. კასიანენკო. მანქანის დათვალიერების შემდეგ გაიმართა ფრენა ქალაქზე.

მსმენელების მიღება ამიერ-კავკ. საბეითლო ინსტიტუტში

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, წელს ამიერ-კავკასიის საბეითლო ინსტიტუტში მიღებული იქნება 130 მსმენელი. ადგილების ეს რაოდენობა განაწილებულია შემდეგნაირად: აზერბეიჯანი—35, საქართველო—30, სომხეთი—25, ჩრდილოეთ-კავკასია და დაღესტანი—30. წითელი არმიისა და შუა აზიისათვის გამოყოფილია 10 ადგილი.

უცხო ენათა კურსები

მომავალ სამოსწავლო წლიდან უცხო ენათა კურსებზე გაიხსნება ახალი იტალიური ენის შემსწავლელი სექტორი.

კურსების ყველა სექტორზე (ფრანგული გერმანული, ინგლისური, იტალიური) ახალ მსმენელთა მისაღები გამოცდები დაიწყება 10 სექტემბრიდან, ხოლო მეცადინეობა 20 სექტემბრიდან.

სურსათის მიწოდება აჭარისტანისათვის

საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ აჭარისტანში შეიმუშავა აჭარისტანისათვის სასოფლო-სამეურნეო საქონლის და სურსათ-სანოვაგის მიწოდების გეგმა უახლოესი ექვსი თვისათვის.

გეგმის მიხედვით 1928 წლის 1-ლ ოქტომბრიდან 1929 წლის 1-ლ აპრილამდე ბათომში შეზიდული უნდა იქნეს: კვერცხები—1.070.000 ცალი, ყველი—9.000 ფუთი, ქარაქი—9.747 ფუთი, ხახვი—9.300 ფუთი, ლობიო—14.000 ფუთი, კარტოფილი—30.000 ფუთი, კომბოსტო—7.500 ფუთი და სხვა.

აღნიშნული პროდუქტების დამზადება იკისრეს „სოფლის კავშირმა", „ცეკავშირმა" და „სოფლის მეურნემ". პროდუქტების მიწოდება მომხმარებლებისათვის იწარმოებს კოოპერაციის საშუალებით.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

სახ. უნივერსიტეტის გამგებამ დაამტკიცა უნივერსიტეტის ახალი ბიბლიოთეკის მოწყობის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.

ახალი ბიბლიოთეკა დაიტევს წიგნების დიდ რაოდენობას; აქვე მოეწყობა დიდი სამკითხველო დარბაზი.

ბიბლიოთეკის შენობა აგებულ იქნება უნივერსიტეტის ეზოში.

ზუგდიდის ხე-ტყის ქარხანა

დამთავრდა ზუგდიდის ხე-ტყის ქარხნის გადაკეთება-გაფართოება. ქარხანაში ამჟამად მუშაობა სწარმოებს მექანიკურად.

გარდა ამისა, ქარხნის საჭიროებისათვის მოეწყო კანალიზაცია, წყალსადენი.

ქარხნის მთელი გადაკეთება და ხელახალი მოწყობა დაჯდა 60.000 მანეთი.

თბილისის აღმასკომში

◆ **სოფ. დუშეთის მაზრის თემების გასაერთიანებლად** აღმასკომმა გამოჰყო ცალკე კომისია.

◆ **დიფტერიტის და ქუნთრუშას წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად** თბ. აღმასკომმა გადასდო 7.000 მანეთი.

◆ **სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა აგოს სტუდენტთა მეორე საერთო საცხოვრებელი. შესაფერი ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა დაევალა კომუნალურ განყოფილებას. სახლის აგება დაიწყება მომავალ წლიდან.

◆ **კომუნალურ კურსებზე ლენინგრადში** თბილისის აღმასკომმა თავის ხარჯით მიავლინა ამხ. ხოჯაევი.

◆ **ახალგაზრდათა საერთაშორისო დღისათვის** აღმასკომმა გადასდო 1000 მანეთი.

◆ **აგურ-ქარხნების სამმართველოს მუშაობის გაჯანსაღების მიზნით,** კომუნალურ განყოფილებას დაევალა სასწრაფოთ შეადგინოს აგურ-ქარხნების რეალური საწარმოო გეგმა.

მიწსახკომში

◆ **ტყეების სივრცე აჭარისტანში.** მიწსახკომის ცნობით ამჟამად აჭარისტანში ტყეების სივრცე უდრის 142.570 ჰექტარს.

◆ **სატყეო ტეხნიკუმი.** ყვარელის სატყეო ტეხნიკუმის გასაფართოებლად კახეთის საადგილ-მამულო განყოფილებას კომ. ბანკიდან სესხად მიეცა 25.000 მანეთი.

◆ **შირაქის საბჭოთა მამული** მიწსახკომის ცნობით წელს ხორბლეულს დასთესავს 2.000 ჰექტარზე.

ჯანსახკომში

◆ **სამალარიო პუნქტი.** სოფ. კაკაბეთში (აჭარისტანი) გაიხსნა სამალარიო პუნქტი.

◆ **საექიმო რაზმები.** ჯანსახკომმა აღმოსავლეთ საქართველოში გაგზავნა კბილის საექიმო რაზმი.

სხვადასხვა

◆ **კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის** უმუშევარ წევრებს დახმარება გადიდდათ: ოჯახიანებს—10 მანეთამდე, უცოლშვილოებს—7 მანეთამდე.

◆ **შემოდგომის მატყლი.** „სოფლის კავშირი" წელს დაამზადებს 63.000 ფუთ შემოდგომის მატყლს.

◆ **საბეითლო ინსტიტუტში,** რომელიც წელს გაიხსნება ერევანში, საქართველოდან გაიგზავნება 30 კაცი.

◆ **ახალი გზატკეცილი.** გზატკეცილების სამმართველო მომავალ წლიდან შეუდგება ახალი გზატკეცილის გაყვანას სოფ. ენისელის, ორწყლის და ბარისახოს შორის (დუშეთის რაიონი).

◆ **გორის საკონსერვო ქარხნის** დასამთავრებლად სახალხო მეურნეობის უმაღლ. საბჭომ გადასდო 25.000 მანეთი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **სამუსიკო ტეხნიკუმი.** მომავალ სასწავლო წლიდან ბათომში გაიხსნება სამუსიკო ტეხნიკუმი. ტეხნიკუმის მოსაწყობად გადადებულია 24.300 მანეთი.

◆ **„ქეთო და კოტე" თურქულ ენაზე.** თურქულ ენაზე გადაითარგმნა ქ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე".

◆ **მუშათა ახალ კლუბში დღეს** გაიმართება სიმფონიური კონცერტი ბერდიაევის დირიჟორობით.

◆ **ვ. ფაფაზიანის გასტროლი.** საზღვარგარეთ გამგზავრების წინ ამ დღეებში თბილისში გაიმართება სომეხ მსახიობის ვ. ფაფაზიანის გამოსათხოვარი გასტროლი.

საქ. პროფსაბჭოში

კოლხელშეკრულებათა დადების კამპანია

მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრიდან კავშირების ხაზით დაიწყება კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლა დადების კამპანია. კომკავშირებს წინადადება მიეცათ, რომ ამ თავითვე შეუდგნენ მოსამზადებელ მუშაობას.

კამპანიის დროს მთავარ სამუშაოდ არის მიჩნეული კოლექტიურ ხელშეკრულებათა განხილვა საერთო კრებებზე, სამეურნეო ორგანოების ფინანსიური მდგომარეობის შესწავლა, ახალი სატარიფო ქსელის გატარება, მომქმედი კოლხელშეკრულებების შესრულების შემოწმება და სხვა.

სამხატვრო წრეების მუშაობის გამოკვლევა

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა სპეციალურ კომისიის მოხსენება სამხატვრო წრეების მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წრეებს მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად აქვთ ორგანიზაციული ხასიათის ნაკლოვანებანიც. აღნიშნულ დეფექტების აღმოსაფხვრელად პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლის ძალით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამხატვრო წრეებისათვის ხელმძღვანელობის გაძლიერებას კავშირების ც. გამგეობებისა და მუშათა კლუბების მხრიდან. ეს უნდა გამოიხატოს სამხატვრო წრეების საანგარიშო მოხსენებების მოსმენაში, საწარმოო და საკალენდარო გეგმების განხილვაში და წრეების მუშაობის პირობების შესწავლაში.

საკლუბო სამხატვრო წრეების მუშაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით საჭიროდ იქნა ცნობილი წრეების განტვირთვა და სამხატვრო წრეებისათვის სათანადო სამეცადინო ბინების მიჩენა.

ამასთან ერთად კავშირების ც. გ. და მუშათა კლუბებს დაევალათ მოაწყონ სამხატვრო წრეები მხოლოდ კავშირების ხაზით; კავშირის წევრის კმაყოფაზე მყოფ პირთა მიღება წრეებში აკრძალულია, ვინაიდან ეს ხელს უწყობს წრის წევრების პროფესიონალიზაციას.

რეპერტუარის უკეთესად შერჩევის მიზნით, პრეზიდიუმმა დაავალა ს.პ.კ.ს. კულტგანყოფილებას გადასინჯოს მუსიკალურ წრეების მთელი რეპერტუარი. დრამატიულ წრეებისათვის საკლუბო რეპერტუარის შესაქმნელად კი წინადადება მიეცა გამომცემლობა „შრომა"-ს გამგეობას გამონახოს საკლუბო პიესები.

კულტგანყოფილებას დაევალა აგრეთვე გამოარკვიოს ს.პ.კ.ს. საჩვენებელ სამხატვრო წრის და მისი სახელოსნოს მოწყობის შესაძლებლობა, გამონახოს ამ მიზნით საჭირო თანხები და დასვას ეს საკითხი პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე.

სასამართლო

ბნელ ოთახში

ეს ამბავი მოხდა ამ წლის 3 თებერვალს.

მოქ. ალექსანდრე ქიშვარდის ძე ორაგველიძეს ძლიერ მოსწონდა მისი მეზობელი ალისა მიხეილის ასული დავითაშვილი. მაგრამ ალექსანდრეს უბედურება იმაში იყო, რომ ქალს სიყვარულს ვერ უმხელდა. ეს იყო ასე ვსთქვათ, „შორით წ ვადა შორით დაგვა".

ეს ამბავი იცოდა მისმა მეგობარმა ივანე ალექსის ძე მენაღარიშვილმა, რომელსაც უზიარებდა თავის გულის ტკივილს და სთხოვდა რჩევა-დარიგებას.

— ალისას არ მომათხოვებენ მშობლები თუ იცი? დამიწუნებენ სიძეთ? რას იტყვი, ივანე.

— განა მათი დასაწუნი ბიჭი ხარ. მაშინ მოკვდეს ალექსანდრე ორაგველიძე.

— ეხლა დავრწმუნდი, რომ ნამდვილი მეგობარი ყოფილხარ ჩემი.

— მოსინჯე ნიადაგი და თუ ყოყმანობა დაიწყონ მოდი ჩემთან. სულ ავაფეთქებ იქაურობას,—და მუშტი დაჰკრა მაგიდაზე.

— აი, მეგობარიც ასეთი უნდა. წამოდი, გადავკრათ.

წავიდნენ მეგობრები საქეიფოდ.

მენაღარიშვილმა თავის ამხანაგს უსურვა მალე დაქორწინება მის სანეტარო ალისაზე.

მეგობრებმა ყანწებით დაიწყეს სმა. როცა ორივეს ღვინო მოეკიდა ორაგველიძეს მოაგონდა სატრფო.

ესტუმრენ დავითაშვილის ქალს.

არ გაუხარდა დავითაშვილის დედ-მამას ასეთი უდროვო სტუმრობა განსაკუთრებული ნერვიულობა დაეტყო ალისას დედას, რომელსაც „სასიძო" ქირივით ეჯავრებოდა.

ამის შემდეგ ორაგველიძე ხშირ-ხშირად დაიარებოდა ქალის ოჯახში. წინადადება მისცეს თავი დაენებებია „ვიზიტებისათვის", მაგრამ მაინც თავისას განაგრძობდა.

3 თებერვალს, ორთავე მეგობარი კარლ მარქსის მოედანზე შეხვდნენ დავითაშვილს. ორაგველიძემ სთხოვა შესულიყვნენ სასადილო „ნადკურორი"-ში სადილის საჭმელად. დიდი ყოყმანის შემდეგ ქალი დათანხმდა.

მეგობრები შემოუსხდნენ სუფრას ცალკე ოთახში დაიწყეს ღვინის სმა. ქალს ძალა დაატანეს, მაგრამ ღვინის დალევაზე მან უარი განაცხადა.

ქეიფი გაგრძელდა ღამის 10 საათამდე ქალმა სცადა გამოპარვა, მაგრამ შეზარხოშებული ამხანაგები არ უშვებენ მას.

— მგონი ეხლა დროა,—გაიფიქრა ორაგველიძემ. თვალით ანიშნა მენაღარიშვილს, რომელმაც დაუყოვნებლივ დასტოვა სუფრა. ის წინასწარ მოლაპარაკებული იყო ორაგველაძესთან, რომ ხელს შეუწყობდა მას დავითაშვილის ქალის გაუპატიურებაში.

როცა ორაგველიძემ კარჩაკეტილ ოთახიდან ნიშანი მისცა მენაღარიშვილს, უკანასკნელმა ჩააქრო ელექტრონის სინათლე და კარებთან სდარაჯობდა ამხანაგს.

ბნელ ოთახში ორაგველიძე გადავიდა შეტევაზე. ქალს თანდათან ახევს ტანისამოსს. ქალი იბრძვის, ყვირის. ხედავს, რომ საქმე წახდა, აიღებს თეფშს და დაარტყამს თავზე მოძალადეს.

ორაგველიძე არ სტოვებს ბრძოლის ფრონტს. დიდი ბრძოლის შემდეგ მან გააუპატიურა დავითაშვილის ქალი.

იმავე ღამეს ქალმა მომხდარი ამბის შესახებ განაცხადა მილიციაში.

მეორე დღესვე ორივე მეგობარი დააპატიმრეს და თავი ამოაყოფინეს გამასწორებელ სახლში.

საქმე გამოძიებულია და მალე გაირჩევა თბილისის სამაზრო სასამართლოში.

„იდეალური სიყვარულის" მოტრფიალენი

ამას წინად ქალაქის აღმასკომმა მუნიციპალიზაციაქმნილ სახლების კომენდანტად პირველ რაიონში დანიშნა ნოე ტარასის ძე ჩანტლაძე. უკანასკნელმა ტეხნიკურ მდივნად აიყვანა ილია ლუკას ძე ახვლედიანი.

ა. წ. 10 ივლისს, კომენდანტმა და მდივანმა დაათვალიერეს სახლი ყოფ. ანასტასიევის ქ. № 4 და შეუდგნენ მცხოვრებთა აღწერას.

ჩანტლაძეს ყოფ. სახლის პატრონმა განუცხადა, რომ მდგმურ ლიუდმილა კორიდიეს აიხოვა სხვადასხვა საოჯახო ავეჯეულობა, რომელიც აღარ დაუბრუნდა და სთხოვა მიეღო ზომები.

კომენდანტი იმწამსვე მივარდა კორიდიეს ქმართან და ერთი ალიაქოთი ატეხა: როგორ გაბედე ავეჯეულობის მითვისება. დაუბრუნე პატრონს, ჩქარა!

ამ დროს ოთახიდან გამოდის თვით ლიუდმილა, რომელიც თვალში დაუჯდა ჩანტლაძეს და ასეთი საუბარი ჩამოუგდო:

— რამდენი წლის გათხოვდი, რატომ ასე აჩქარდი, როგორ გიყვარს ქმარი?

მაგრამ მოსტყუვდა ანგარიშში ჩვენი არშიყი, მიიღო შეკითხვაზე მისთვის საჭირო პასუხი.

მიუხედავათ ამისა, დადის ხსენებულ სახლში და იმ მიზნით, რომ მოიგოს ქალის გული ნამდვილ „დონჟუანს" დაემგზავსა: „ტროსტი" ხელში, ულვაშები ტახის კუდივით დაიგრიხა, ნეკებზე საარშიყო ფრჩხილები გაუშვა და დილიდან საღამომდე კორიდიეს ქალს უთვალთვალებდა და მას ლექციებს უკითხავდა თავისუფალი სიყვარულის შესახებ.

— დამანებე თავი, თორემ ყველაფერს ვეტყვი ჩემ ქმარს.

— აფსუს, აფსუს, შენი „პატრონი" ასე გაცხოვრებდეს, ამაზე მეტი ცოდვა შეიძლება.

არ იქნა და ქალის გული ვერ მოინადირა. მაშინ მიმართა ასეთ ხრიკებს: უქსის სახელით შეადგინა ყალბი ქაღალდი, რომლის თანახმად კორიდიეს ქალს საოჯახო ავეჯეულობა უნდა დაებრუნებია პეტროვისათვის.

ეს ქაღალდი გადასცა მის ტეხნიკურ მდივანს და დაავალა სასწრაფოთ მოეყვანა სისრულეში უქსის „რეზოლიუცია".

ახვლედიანმა იმავე დღესვე წინადადება მისცა კორიდიეს ქალს დაებრუნებია ნივთები პეტროვისათვის.

როცა მან ხანგრძლივი საუბარი გამართა ქალთან—მოეწონა, თვალში დაუჯდა ქალი და უთხრა:

— ცოტა ხანს ოთახში შემოვალ, თუ ნებას მომცემთ.

— მობრძანდით, მობრძანდით,—იყო პასუხი.

ახვლედიანი ჩამოჯდა საფუძვლიანად და თვალები ქალს მიაპყრო.

— თუ დამნებდებით, ეს ქაღალდი დაიხევა და ნივთებიც არ ჩამოგერთმევათ.

და ქალის წინ დახია ქაღალდი.

ლიუდმილა კორიდიევამ პანღურის ცემით გამოაგდო გარეთ ახვლედიანი.

კომენდანტისა და მდივნის ამბავი მივიდა ქალაქის აღმასკომის ყურამდე.

საგამომძიებლო ორგანოებმა კომენდანტს და მდივანს ისეთი ნიმდღური აყლაპვინეს, რომ სამუდამოთ დაუკარგეს „თავისუფალ სიყვარულის" მადა.

საქმე ამ დღეებში გაირჩევა სასამართლოში.

თ.

მეცნიერება და ტეხნიკა

გემების მართვა შორ მანძილზე

ამ დღეებში კილში გაიმართა გერმანიის ფლოტის წლიური მანევრები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გერმანიის ყველა გემებმა, გარდა იმ გემებისა, რომლებიც უცხოეთში იმყოფებოდნენ. მიმდინარე წლის მანევრებმა დიდი ყურადღება მიიპყრო, როგორც თვით გერმანიაში, ისე უცხოეთში, რადგან ამ მანევრებზე პირველად გამოსცადეს სროლა მოძრავ ნიშანზე — გემზე, რომელსაც შორი მანძილიდან მართავდენ რადიოს საშუალებით. სანიშნოთ გამოიყენეს ძველი გემი „ცერინგენ", რომელიც სპეციალურად ამ მიზნით შეაკეთეს. „ცერინგენზე" დადგმულ იყო მოძრავი მიმღები რადიო-სადგური, რომელიც კარგათ იყო დაცული ჯავშნით ყუმბარების მოხვედრისაგან. ეს რადიო-სადგური ნაპირიდან გაგზავნილ ნიშნების მიხედვით განაგებდა ყველა მექანიზმებს გემზე — სვლა წინ და უკან, მოძრაობის დაჩქარება და შენელება. მობრუნება ყოველგვარი მიმართულებით და სხვა. კიდევ უფრო მეტი რადიო-ნიშნების საშუალებით გემზე ანთებდენ პროჟექტორს, ამუშავებდნენ სანალმო გაზების გამომშვებ აპარატებს.

25 სართულიანი შენობა 36 დღეში

ჩიკაგოში 36 დღეში ააგეს ფოლადის 25 სართულიანი შენობა სასამართლოსათვის. შენობის სიმაღლე 90 მეტრს უდრის და 800 კვ. მეტრი სივრცე უჭირავს.

შენობის აგებაზე დაიხარჯა 1.956 ტონა ფოლადი. შენობის აგებაზე მუშაობდა სულ 50 კაცი. სამუშაოების ასე სწრაფად დასრულება იმით აიხსნება, რომ შენობის ცალკე ნაწილები გამზადებული სახით მოჰქონდათ პირდაპირ ქარხნიდან.

წყალქვეშა ტანკი

ამერიკაში ააგეს და გამოსცადეს „წყალქვეშა ტანკი, რომელიც დანიშნულია წყალქვეშა სამუშაოებისათვის. გაზეთების ცნობით, ამ ტანკის წყალობით არაჩვეულებრივად ადვილდება წყალქვეშ მთელ რიგ ისეთ სამუშაოთა შესრულება, რომელიც წინად თითქმის შეუძლებელი იყო.

წყალის „მტვერი" ცეცხლის საქრობათ

ამერიკელმა სპეციალისტებმა სცნეს, რომ წყლის მილები, რომლითაც ამჟამად სარგებლობენ მეხანძრეთა რაზმები, წყლის ისეთ ძლიერ ნაკადს ისვრიან, რომ ზოგჯერ სარგებლობაზე მეტი ზარალი მოაქვთ, განსაკუთრებით ცეცხლის ქრობის დროს შენობის შიგნით; წყლის ძლიერი ნაკადი აზიანებს კედლებს, საოჯახო მოწყობილობას და სხ. ამიტომ ამერიკის მთელ რიგ სახანძრო რაზმებში რეზინის მილებს ბოლოში გაკეთებული აქვს სპეციალური მოწყობილობა, რომელიც ძლიერი ნაკადის მაგიერ იძლევა „წყლის მტვერს" (შხეფებს). „წყლის მტვერი" კი ცეცხლს ისეთივე ეფექტით აქრობს, როგორც წყლის ძლიერი ნაკადი და ამავე დროს არ აზიანებს შენობას.

პარაშიუტები ჰიდროპლანებისათვის

ამერიკის სამხედრო საჰაერო ფლოტში შემოღებულია ახალი ტიპის პარაშიუტები ჰიდროპლანებისათვის. როცა საფრენი აპარატის დაზიანების გამო მფრინავი ამ პარაშიუტით ეშვება დაბლა, პარაშიუტზე მიმაგრებული ბალონები ავტომატიურად ავსებენ ნახშირმჟავა გაზით პარაშიუტზევე მიმაგრებულ რეზინის ნავს, რომელზედაც ჯდება მფრინავი.

ოფიციალური განყოფილება

ბრძანება

სახალხო კომისართა საბჭოსა

1928 წელი, აგვისტოს 28.

თბილისი, სასახლე

გამოეცხადოს საყვედური ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. იასონ ჯანაშიას სახალხო კომისართა საბჭოს ა.-წ. აგვისტოს 17-ის სხდომაზე გამოუცხადებლობისათვის, რომელ სხდომაზედაც ის ტელეგრაფით იყო გამოწვეული.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ლ. ქართველიშვილი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 29 აგვისტოს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევართ: **კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან:** ბალდასარ ხანდალიანი; ვარსენიკ ეგიაზაროვი; სათენიკ ვართანესიანი; ნატალია მაკირტუმოვა; ვასილ ქიტიაშვილი; ბაგრატ არზუმანოვი; თეიმურ გულიევი; მუხთი-ოღლი ისმაილ. **გონებრივ მუშაკთა სექციიდან:** ნადია აროუთინოვა; ევგენია კალინსკაია; სოფიო ბანიძე; ფოტინე დადიანი; მერი მიკირტიჩიან-გვენცაძისა; ნინო ბეგიჯანოვა; ალექსანდრა კარალოვა; პოლია ხეცურიანი; ნადეჟდა მგალობლიშვილი; მარგარიტა ალიხანოვა; ანასტასია ვერდექტი; მარგარიტა მეგრაბიანი; ბარბარე ლეჟავა; ელისაბედ კაჩაროვა; არტაოზ პარავიანი; ბარბარე ბუცხრიკაძე; გრიგოლ ჯელია; ვერა ებრალიძე; ზოია ფარუმოვა; ლიუდმილა კახიანი; თამარ ფარსადანოვა; ელისაბედ კასაეკინა; მარიამ გაგუა; იულია ნაზარიანი; იოსებ ცირღილაძე; ნოე ევანია; დარია ჭყონია; გიორგი სუხიშვილი; ილია ბოჭორიშვილი; ილია რატიშვილი; ელენე ნამორაძე; დარია იორამაშვილი; ალექსანდრე ბამბაკიშვილი; ვლადიმერ კალაძე; გიორგი კუნაძე; ალექსანდრე ცერცვაძე; ნიკოლოზ მგალობლიშვილი; სოფიო ფოცხვერაშვილი; ლიუდმილა ღლონტი და ნინო ტერ-ოგანეზოვა. **შავ მუშათა სექციიდან:** თათეოზ ციხისელი; ნესტორ როთველაძე; მარიამ ჩაროლაშვილი და ვალოდია გუნცაძე. **მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** დავით პრეიტმანი და ვლადიმერ ივანოვი.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 29 აგვისტო.

დღეს, 29 აგვისტოს თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.
მუშათა რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე.
საუბარი რადიო-ტეხნიკაზე—ქართულ ენაზე.
შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები—ქართულ ენაზე.
წითელი ჯვრის სამდღიურის მიზანი და ამოცანები—რუსულ ენაზე.
ერიდეთ ცოფიანებს—მოხ. თურქულ ენაზე.
ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ახალი რაზმი—მოხ. სომხურ ენაზე.
ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.
31 აგვისტოს პროგრამის გადაცემა.
კონცერტი ან ტრანსლიაცია.
ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.
მოხსენებებს შუა—მუსიკალური ნომრები.

პარტიული კალენდარი

ოთხშაბათს, 29 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე მუშათა ახალ კლუბში მოწვეულია ყველა დელეგატ-ქალების და დიასახლისების საერთო სარაიონო კრება საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის ქალთა კომისიების თანდასწრებით.

დასწრება დაუგვიანებლად სავალდებულოა.

დახმარება უპატრონო ბავშვებს

მიმდინარე წლის აპრილში საქართველოს ცაკთან არსებულ უპატრონო ბავშთა დამხმარე კომისიამ ჩაატარა სამდღიური თავის ფონდის გასაძლიერებლად.

სამდღიურის განმავლობაში კომისიას თბილისში ყულაბებით ფულის შეგროვების საშუალებით შემოუვიდა 3.318 მ., ხოლო სხვადასხვა გასართობების ბილეთებზე დანარიცხებიდან—9.324 მანეთი.

სამდღიურის განმავლობაში მაზრებში შეგროვილი იქნა 4.490 მანეთი. სამდღიურიდან უპატრონო ბავშთა დამხმარე კომისიას წმინდა შემოსავლის სახით დარჩა სულ 15.880 მანეთი და 43 კაპ.

უპატრონო ბავშთა დამხმარე კომისია თავის საშუალებების გასაძლიერებლად აწყობს ნივთების ლატარიას. ლატარიაში გასათამაშებლად კომისიამ დღემდე სხვადასხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან შემოწირულების სახით მიიღო 1.183 მანეთის ნივთები.

ნივთების შეგროვება გრძელდება.

ცხინვალის სატყეო ქარხანა

საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულმა საამშენებლო - ტეხნიკურმა კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა ცხინვალის სატყეო ქარხნის პროექტი. აღნიშნული ქარხანა იქნება მექანიური და მასში იმუშავებს დაახლოვებით 30—40 კაცი.

ქარხნის მოწყობილობა — მანქანები შეძენილია ნაწილი საბჭოთა კავშირის ბაზარზე, ხოლო ნაწილი საზღვარ-გარეთ.

ზოგიერთი ნაწილები მიღებულია როგორც საბჭოთა კავშირიდან, აგრეთვე საზღვარ-გარეთიდანაც. საზღვარ - გარეთიდან უკვე მიღებულია 200 ცხენის ძალიანი ლოკომობილი. ქარხანა შენდება იმ ვარაუდით, რომ თუ საჭირო შეიქნა შესაძლო იქნეს მისი გაფართოება. ქარხნის აგება ჯდება 196.500 მანეთი.

ყოფილ მემამულეთა გადასახლება აღბულაღის რაიონიდან

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა განიხილა აღბულაღის რაიონში მცხოვრებ ყოფილ მემამულეთა საქმე და დაადგინა ქვევით ჩამოთვლილი პირები, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტები გადასახლებულნი იქნენ აღბულაღის რაიონიდან მთელი მათი ქონების კონფისკაციით.

პრეზიდიუმის დადგენილებით აღბულაღის რაიონიდან გადასახლებულნი იქნებიან შემდეგი ყოფილი მემამულენი: 1) საგინოვი გიორგი დავითის ძე, 2) საგინოვი დავითი ბეჟანის ძე, 3) საგინოვი მიხეილ ივანეს ძე, 4) საგინოვი ნიკო ივანეს ძე, 5) საგინოვი სიმონ ბეჟანის ძე, 6) საგინოვი ილია დიმიტრის ძე, 7) საგინოვი ზაქრო ნიკოლოზის ძე, 8) საგინოვი გიორგი მიხეილის ძე, 9) ლუისი (იგივე საგინოვი) ალექსი გიორგის ძე, 10) როსტიაშვილი ზაქრო (ყოფ. ოფიცერი) ზურაბის ძე, 11) არეშევი ბაგრატ ივანეს ძე, 12) საგინოვი როსტომ და 13) საგინოვი გიორგი.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა აღნიშნული დადგენილება დასამტკიცებლად წარუდგინა საქ. ცაკს.

რკინის გზეზე

27 პროცენტი ეკონომია

ა.-კ. რკინის გზების შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ბიურომ მოახდინა რკინის გზის ხაზის გამოსაცვლელად წარმოებული მუშაობის გამოკვლევა ა.-კ. რკინის გზების მეხუთე უბანზე.

გამოკვლევის შედეგად გამოირკვა, რომ აღნიშნულ უბანში მუშაობის არავითარი წინასწარ გეგმა არ ჰქონიათ, რის გამოც ხშირათ ჰქონია ადგილი ხელსაწყოების ნაკლებობას, დაბალი კვალიფიკაციის მუშა - ხელის მიღებას და სხვ.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ბიურომ აღნიშნულ დეფექტების თავიდან ასაცილებლად შემოიღო მუშაობის ახალი მეთოდები, რითაც მუშა - ხელის რაოდენობა შეამცირა 27,4 პროც-ით.

დაჯახება

28 აგვისტოს ღამით ქ. ბაქოს მეორე სადგურში მოხდა ორთქლმავალების დაჯახება. დაჯახების დროს საგრძნობლათ დაზიანდა ორივე ორთქლმავალი და ერთი დახურული ვაგონი. რკ. გზის ხაზი დაზიანდა 10 მეტრის სიგრძეზე.

შემთხვევები

მოწამვლა

გუშინ, დღისით, ლოლის მოედანზე პოსტზე მდგომმა მე-9 უბნის მილიციელმა სპირიდონ ახნიაძემ წყლის მაგიერ შეცდომით დალია სულემის ხსნარი. ახნიაძეს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში.

ჯიბგირების დაპატიმრება

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ს. თუმანოვი და ა. მანუკოვი, რომლებსაც ბრალდებათ ჯიბგირობა.

უბედური შემთხვევა

კინო „პალას"-თან ტრამვაის ვაგონიდან უცაბედათ გადმოვარდა სამტრედიიდან ჩამოსული ანეტა ვერულიშვილი, რომელიც მძიმედ დაშავდა. ვერულიშვილი გაგზავნეს საავადმყოფოში.

დაჯახება

გუშინ, საღამოს, კარუსელის ქუჩაზე ნავთით დატვირთული „ტაჩკა" დაეჯახა 4 წლის რაფიკო უხუმიანცს და მძიმედ დააშავა. „ტაჩკის" პატრონი არაქელოვი დაპატიმრებულია.

ქურდობა

ქურდობისათვის დააპატიმრეს ამ. მათეოსიანცი.—კარის გატეხის საშუალებით გაქურდეს გიორგი მჭედლიშვილის ბინა (ორჯონიკიძის ქ № 85), წაიღეს 800 მანეთის ნივთები.

ფიზკულტურა და სპორტი

ტურისტები

ამ ორი კვირის წინად, თბილისიდან ტურისტული მიზნით მანგლისის მიმართულებით ფეხით გავიდა 2 ფიზკულტურელი: ვასილიევი და აივაზოვი.

გუშინ ტურისტები დაბრუნდნენ თბილისში.

ტურისტებმა ფეხით შემოიარეს: თბილისი, მანგლისი, ციხის-ჯვარი, ბაკურიანი, აბასთუმანი, ზეკარის უღელტეხილი, ქუთაისი, ხონი, ფოთი და თბილისი.

ბათომის ველოსიპედისტების ჩამოსვლა

გუშინ, ველოსიპედით ბათომიდან თბილისში ჩამოვიდა 3 ბათომელი სპორტსმენი: ო. ბეხტერი, სკოზერლიდი და პეტროსოვი.

ველოსიპედისტები თბილისში ჩამოვიდნენ შემდეგი მარშრუტით: ბათომი—ქუთაისი, ოსეთის სამხედრო გზა—ონი—მამისონის უღელტეხილი—სტანიცა—არდონი—კავკავი — საქართველოს სამხედრო გზა—თბილისი.

გადარბენა სპორტიული ხასიათისაა.

ფიზკულტურელთა ჩამოსვლა

გუშინ, მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდნენ საკავშირო სპარტაკიადაზე მონაწილე ფიზკულტურელნი.

ექიმი-ვეტერინარი კოტე მიხეილის-ძე ფარეიშვილი, ცოლი მაგდალინა ქაიხოსროს ასული, უკანასკნელის ვაჟი გიორგი (ჟორჟიკა) პირველის ქალიშვილები: ნორა და ქეთო აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს რომ 26 აგვისტოს ტრაგიკულად დაიღუპა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ვალიკო ფარეიშვილი
(ჯომარჯიძე)

გამოსვენება მოხდება საქ. ბინიდან ძნელაძის (ყოფ. საპიორის) ქუჩა № 43 დღეს, 29 აგვისტოს ნაშუადღევის 5 საათზე. 3887

ღრმად დამწუხრებული ძმები ვალოდია, პეტრე და ირაკლი შანიძეები, ბიძა გიგო მეუღლით დესპინეთი; ბიძაშვილები: აკაკი, თამარი, ნოე, მოსე, მელქისედეკ, თეოფილე, გიორგი, ბიქტორი, იონა და აქვსენტი შანიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის უძვირფასესის

მარიამ (მაშო) ბესარიონის ასულის
შანიძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება დღეს 3 ნახ. საათზე ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოს პროზექტურიდან დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2895

დიდის მწუხარებით ს. ბოდბის ხევის ახალგაზრდობა, ამხანაგები და მეგობრები: პავლიაშვილი. ნაცვლიშვილი, ხოსიტაშვილი, გოზალაშვილი, ტუხაშვილი, გოგოლაშვილი, გელაშვილი, დულაშვილი, ბოლდაშვილი, ს. ნაცვლიშვილი, პავლიაშვილი, ჯაბაშვილი, ყაჭრიშვილი, ტუხაშვილი გ., ნაცვლიშვილი, ი., ბაგალაშვილი, კვესაძე, ი. გოზალიშვილი, ნ. გულაშვილი, კოკილაშვილი, ზურაშვილი, მაისურაძე, ტყავაძე, ტალაშვილი, გოზალიშვილი და ა. ჯაბაშვილი ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ახალგაზრდა მსახიობი

ვასო შიხაშვილი

დაკრძალვა მოხდა ს. ბოდბის-ხევში (კახეთის მაზრა) სამშაბათს 28 აგვისტოს. 2894

ღრმად დამწუხრებულნი: დეკოს—სავაგონო პარკის თანამშრომლები აუწყებენ ნაცნობთ მეგობრებს, რომ 26 აგვისტოს ქობულეთში ტრაგიკულად გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი

სერიოჟა ალექსანდრესძე ბაგდოევი

გამოსვენება თბილისში დღეს 4 ნახ. საათზე ყაზბეგის ქ. № 9 დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 3898

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი — ამერიკული კინო-რომანი **ამერიკელი ქალის თავგადასავალი** 3 და 4 სერია
საზაფხულო ეთერი — საზღვარ-გარეთის უკანასკნელი სურათი **ქირვეული ცოლი** რუფ კლიფორდის მონაწილეობით
საზაფხულო დარბაზი — სეზონის საუკეთესო კომედია **ორი მეგობარი, მოდელი და მეგობარი ქალი**
საზაფხულო პალასი — საუკეთესო სურათი **ატლანტიდა** ჟან ანჟელოს და სტასი ნაპერკოვსკაიას მონაწ.
პროლეტარი ავლაბარი — მხატვრული სურათი **ტყის ზღაპარი** დადგმა ი. ტარიჩისა
ანონსი: მალე საზღვარ-გარეთის მხატვრული ფილმი „ნეპტუნი" 0—23

მედსანშრომის საზაფხულო კლუბი
დღეს, 29 აგვისტოს,
სიმფონიური კონცერტი
ცნობილ დირიჟორის **ვალერი ბერდიაევის** ხელმძღვანელობით
ვიოლონის დამკვრელი სოლისტის ე. კაპელნიცკის მონაწილეობით
პროგრამაში—ჩაიკოვსკი, ბეტჰოვენი, სენ-სანსი, წოსკოვსკი, ბერლიოზი
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
ბაღში—კინო.
შემდეგი კონცერტი ხვალ, 30 აგვისტოს, მედსანშრომის კლუბში. ნ. 1522

გაზეთ „კომუნისტ"-ზე
ხელისმოწერა და განცხადებები მიიღება:
1) **ქ. ონსა** და მის რაიონში სახელგამის განყოფილებაში ამხ. ს. ბერიშვილთან;
2) **ქ. ჭრებალოში** და მის რაიონში—საკრედიტო ამხანაგობის ბუხჰალტერ ამხ. კოტე ცხვედიანთან.
3) **ბაღდადის** და მის რაიონში—ადგილობრივ პროფკავშირთა წიგნის მაღაზიაში რწმუნებულ ამხ. ალექსანდრე აგულაძესთან;
4) **ლეჩხუმის** და მის მაზრაში—რწმუნებულ ამხ. მირიან პაიჭაძესთან.
გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა. 2—2

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. დ სალ. 6—8 საათ.
ამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათამდე 5—7 საათ. სალ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—2

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, ანუსა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და სალ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ქუთაისში (დროებით)
მედიცინის დოქტორი
მ. ფ. მგალობელი
ქალთა სნეულებანი (მხოლოთ) იღებს სალ. 6—7 ს. ჯაფარიძის ქ. (ყოფილი პოლიციის) № 18. 3221

დაიკარგა: სამხედრო ნუსხა № 86 იპოლიტე ზარქუას სახელზე, ჩ. გ. 3885

დაიკარგა: უვადო ვინაობის წიგნაკი სამსონ გონგარის სახელზე, ჩ. გ. 3885

დაიკარგა: პირადობის მოწმობა, მოწმობა კვიცის ნიშნების შესახებ და ახალდაბის სახელ. ქარხნის ქვითარი—ერასტო ზუმბაძეს სახელზე, ჩ. გ. 3885

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 3201 ვანო სირაძეს სახელზე, ჩ. გ 3886

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის ფურცელი და კავშირის წიგნაკი შალვა ხაჟონიას სახელზე, ჩ. გ. 1884

დაიკარგა: პირადობის მოწმობა და სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი თედო გიორგის-ძე მაისურაძეს სახელზე, ჩ. გ. 3881

დაიკარგა: პირადობის მოწმობა გაცემული ოზურგეთის მილიციის მიერ და სხვადასხვა ხელწერილები ისიდორე ესეს ძე დოლიძეს სახელზე, ჩ. გ. 3882

დაიკარგა: საპენსიო წიგნაკი მელანა ძამაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3891

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი შოთა დომენტის-ძე თხილავას სახელზე ჩ. გ. ნ. 1532

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი, გრიგოლი კონსტანტინეს-ძე კვანტალიანის სახელზე, ჩ. გ. 3888

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 49 ლავროსი ურუმაძის სახელზე, 3896

დაიკარგა: კავშირის საწევრო წიგნაკი № 17—780 ეკატერინა ფანცულაიას სახელზე, ჩ. გ. 3896

დაიკარგა: პარტიული ბილეთი № 727514 იასონ უსუფაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3897

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 1 სექტემბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 49 ვერცხლის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. გონიევის მოძრავ ქონებას: შიფონერკას, კედლის საათს, მაგიდებს, სკამებს და სასადილოს მთელ მოწყობილობას შეფასებულს 362 მან. არტაშ მაღალოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 17 ივლისის 1928 წ. თარიღით, № 2898 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3890

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 3 სექტემბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 41 რუსთაველის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სასადილო „ივერია"-ს მოძრავ ქონებას: მრავალგვარ სპილენძეულობას, სკამებს, მაგიდებს და სასადილოს მთელ მოწყობილობას შეფასებულს 656 მან., სახკვების კავშირის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 3 ივლისის და 11 აგვისტოს 1928 წ. თარიღით, № 2626—3536 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3889

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა ღებულობს ავადმ. 5 7 ს. სალ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.
ელსმენი —11—78. 25—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ა. დ. პეპელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—სალ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—2

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 5 სა-დე



სათვალეების შერჩევა
— და —
მათი სწორი დაყენება
სპეციალისტ ექიმის მიერ
უფასოდ
სახმედვაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106 მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და ხელოვნური თვალები.

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
საღამოს 6—7 ქალებს.
25—1

სია

იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში (გაგრძელება № 43)

№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს დასახელება	ვის მიერ არის დამტკიცებული წესდება და როდის	მისამართი	წარმოების მიზანი	მოქმედების რაიონი	ძირითადი თანხა	საპაიო	სარ. მოწ. ხარ.
1106	14 ივლისი 28 წ.	ოზურგეთის სამრეწვ. ტრესტი	ოზურგეთის აღმასკ. პრეზიდიუმის მიერ 1928 წ. 7 თებერვალს	ქ. ოზურგეთი	ადგილობ. მრეწველობ. განვითარებ.	ს.ს.ს.რ.	75110—37	—	მე-4-ე
1107	3 აგვის. 28 წ.	თბ. ჯანმრთ. განყოფ. აფთიაქ. სამმართველო	თბ. აღმას. პრეზიდ. მიერ	ქ. თბილისი კომინტერ. ქ. № 5	აფთიაქის მართ. გამგ.	ქ. თბ. და მისი რაიონ.	200.000	—	—
1108	11 „ „	სამრეწ. კოოპერატ. ამხ—ბა ნადი „წით. ოქტომბერი"	საქ. კოოპ. საქმეთა კოლეგიის მიერ 26 ივლისს 1928 წ.	ყორესის ქ. № 24	საწ. ქარხანა ფუნთ. და საშაქარლამო	ქ. თბილისი	780 მ.	100 მ.	—
1109	14 „ „	1-ლი კოოპ. ნადი „გამოკვება"	საქ. კოოპ. საქმეთა კოლეგიის მიერ 5 აგვისტოს 1928 წ.	ქ. თბილისი	კალბასის საწარმო	ქ. თბილისი	—	50 მან.	—
1110	26 ივლისი „	საქ. ინვალ. კოოპ. ნადების კავშირი „კოოპინკავშირი"	საქ. ეკონ. საბჭ. მიერ 20 მარტს 1928 წ.	ქ. თბილისი, ლადო დუმბაძის ქ. № 12	შეკავშირ შრომის და საწ. ნადებ.	ს.ს.ს.რ.	10580—83	25%/ნომინალ. საპაიო გადას.	—
1111	„ „	საქ. სახ. გამომც. „სახელგამი"	ს.ს.ს.რ. სახკომსაბჭოს მიერ 10/1—28 წ.	ქ. თბილისი, რუსთ. გამზ. № 22	გამომცემლ.	ს.ს.რ.ქ	500.000	—	—
1112	7 აგვის. „	გასანოვი-მაშადიკაფარ	—	სად. სადახლო ბორჩ. მაზრა	შეშის დამზ.	—	არ აქვს	—	—
1113	13 „ „	ოკინაშვილი ანა მიხეილის ასული	—	ქ. თბილისი, პეტრეპავ. ქ. № 1	ღვინის სარდაფი	—	800 მან.	—	—
1114	3 „ „	ყურაშვილი კირილე პავლეს-ძე	—	ორჯონიკ. ქ. № 100	სასადილო	—	500 „	—	—
1115	2 „ „	ლებანიძე მელქისედეკ ლუარსაბის-ძე	—	კამოს ქ. № 37	ხე-ტყის ქარხანა	—	9.000 „	—	—
1116	„ „	ჯავახოვი ვასილი ზაქარიას-ძე	—	ორჯონ. ქ. № 2	გასტრონომ. სავაჭრო	—	500 „	—	—
1117	„ „	ლაღიძე მიტროფანე ერმილოზის-ძე	—	წულუკ. ქ. № 6	კვასის ქარხანა	—	1288—50 კ.	—	მე-5-ე
1118	„ „	ტერპოღოსოვი აშოტ ვართანის-ძე	—	სად. შულავერი ბორჩალ. მაზრა	სასადილო	—	300 მან.	—	მე-4-ე
1119	„ „	ლაღიძე მიტროფანე და მღვდელაძე ერმოლოზი	—	რუსთ. გამზ. № 18	მინერ. ხილ. წყლით ვაჭ.	—	2183—09	—	—
1120	„ „	ლაღიძე მიტროფანე ერმოლოზის-ძე	—	წულუკ. ქ. № 6	ლიმონადის ქარხანა	—	17651—77	—	მე-5-ე
1121	11 მაისი „	ჩიკვაიძე ალექსანდრე ილიას-ძე	—	სოფ. ღრმა ღელე თბილ. მაზრა	სასადილო	—	100 მან.	—	მე-4-ე
1122	„ „	ხანიძე აქვსენტი არსენის-ძე	—	სოფ. ლიბკნეხტდორფ ავჭ. თემი	—	—	500 „	—	—
1123	„ „	ლომიშვილი ლევან იოსების-ძე	—	სოფ. ზემო-ავჭალა	—	—	100 „	—	—

ამ.-კავკ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველის მაგიერ **შარმაჯანაშვილი.**

ნ. 1531

სავაჭრო რეგისტრაციის განყ. გამგე **ქ. ორჯონიკიძე.**

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.